საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კანონის ანალოგიის, კანონის განმარტებისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან დაკავშირებით (საქმე №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი).

მოსარჩელემ (პირველი კასატორი) საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტის მიმღებისაგან მოითხოვა დავალიანების გადახდევინება, თანხის ამოღების მიზნით კი - სოლიდარული თავდებებისათვის თავდებობის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში პასუხისმგებლობის დაკისრება, აგრეთვე იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაცია.

იპოთეკისა საგნის მესაკუთრის (არაპირადი მოვალე) მიერ წარდგენილი იქნა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი გარემოებების გამო: მართალია მხარეებს შორის გაფორმებული იქნა იპოთეკის ხელშეკრულება, თუმცა, მოპასუხის ქონება დაიტვირთა ფიზიკური პირების მიერ გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე გასაცემი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით და არა შპს-ს სესხის უზრუნველყოფისათვის. იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, შესაბამისად, იპოთეკის საგნის მესაკუთრე პირისათვის, რომელიც არ არის მსესხებელი, დიდი მნიშვნელობა გააჩნია, თუ ვინ წარმოადგენს მსესხებელ მხარეს. ქონების იპოთეკით დატვირთვისას მესაკუთრე ყოველთვის რისკის ქვეშ არის, რადგან უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ დგება მისი ქონება, რის გამოც ყოველი პირი, ასეთი ნაბიჯის გადადგმისას აფასებს, რამდენად კეთილსინდისიერია მსესხებელი და ამასთან ერთად, მისი ფინანსური მდგომარეობა იძლევა თუ არა კრედიტის დაფარვის შესაძლებლობას. იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის ცნობილი არ ყოფილა, რომ მოხდა მოვალე ფიზიკური პირების ჩანაცვლება. რადგან იპოთეკა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა და უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის მოვალის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც ვალის გადაკისრებისას მნიშვნელოვანია, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ეცნობოს, რათა რეალურად შეფასებული იქნეს ახალი მოვალე პირი შეძლებს თუ არა ვალდებულების შესრულებას და მესაკუთრე ეთანხმება თუ არა, უზრუნველყოს ახალი მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ ვისთან უნდა დადონ

ხელშეკრულებები, ვინ იქნება მათი კონტრაქტორი მხარე და ვისთან უნდა შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობებში. მესაკუთრე, როდესაც ის არ არის პირადი მოვალე, სამართლებრივ ურთიერთობაში შედის როგორც კრედიტორთან, ასევე მოვალესთან. მას შეიძლება მომავალში იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნები წარმოეშვას მოვალესთან და შესაბამისად, მესაკუთრის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება, თანაც ის, რომ არაფერი ჰკითხონ მოვალის ცვლილებასთან დაკავშირებით, არ გამომდინარეობს კანონიდან. ამას მოწმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ვალის გადაკისრებისას ანუ მოვალის ცვლილებისას, შეწყვეტილად ითვლება თავდებობა და გირავნობა და ამ კონტექსტში სრულიად წარმოუდგენელია არ იყოს გათვალისწინებული იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლებები, მით უმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც უძრავი ქონების დაცვის უფრო მაღალ გარანტიებს აწესებს სახელმწიფო, თუნდაც საჯარო რეესტრის არსებობით და კეთილსინდისიერი შემძენის ცნებებით. სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესმა არ მოიცვა იპოთეკის ხელშეკრულება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იპოთეკის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური ფორმა და გარიგების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საკმარისი ვერ იქნება მესკუთრის მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი, ან კონკლუდენტური ფორმის თანხმობის განცხადება. საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა და მისი განკარგვის საკითხი მესაკუთრის გარდა, სხვა პირის გადასაწყვეტი ვერ იქნება. კრედიტორმა კი ისე შეცვალა მოვალე პირი, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის არ მიუცია შესაძლებლობა, შეეფასებინა ახალი პირის ქონებრივი შესაძლებლობები და მისი გადახდისუნარიანობა, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტორის მიერ მოხდა მოვალე პირის ცვლილება და ეს ცვლილება იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან არ შეთანხმებულა და არ მომხდარა ამ ცვლილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ნიშნავს, რომ კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე.

გირავნობის საგნის მესაკუთრემ (არაპირადი მოვალე) შესაგებლითა და სასამართლო სხდომაზე განმარტებით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ გირავნობის ხელშეკრულებები ბათილია, რადგან ჯერ ერთი, დამგირავებელს არ ჰქონდა უფლებამოსილება დაედო აღნიშნული გარიგებები და მოსარჩელისათვის ცნობილი იყო უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ კი, ვინაიდან არ

მომხდარა გირავნობის რეგისტრაცია შესაბამისი წესით, აღნიშნული ხელშეკრულებები არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასაამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, სარჩელი იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ (პირველი კასატორი) საკასაციო საჩივრით სადავოდ გახადა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციაზე უარის თქმის ნაწილში.

პირველი კასატორის (მოსარჩელე) ერთ-ერთი პრეტენზია ეხებოდა მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების დამატებითი პირობების სამართლებრივი ბუნების სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორ განმარტებას.

კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია ყურადღება გაემახვილებინა სოლიდარული ვალდებულების თავისებურებებზე და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არ წარმოშობილა სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება, ასევე არ იყო სსკ-ის 371-ე მუხლის დანაწესის გამოყენების შესაძლებლობაც, რადგან არ მომხდარა მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება. საკასაციო პალატამ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობების სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე გონივრული განსჯის შედეგად, სრულად გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ აღნიშნული შეთანხმებით, ადგილი ჰქონდა სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებულ ე.წ. „პრივატული“ ვალის გადაკისრებას.

პირველი კასატორის (მოსარჩელე) მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონის ანალოგია, რომ გირავნობის საგნის მესაკუთრის და თავდების მიმართ მოქმედი რეგულაცია, აუცილებლად უნდა მოქმედებდეს იპოთეკის საგნის მესაკუთრეზეც. კანონის ანალოგიის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების დასადგენად, პირველ რიგში, უნდა განიმარტოს სსკ-ის 206-ე მუხლის სამართლებრივი ბუნება. დასახელებული მუხლის შინაარსით უდავოდ დასტურდება, რომ ნორმა ატარებს საგამონაკლისო ხასიათს. სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სპეციალური ურთიერთობის

მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები), არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ანალოგიით.

საკასაციო პალატამ საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 206-ე მუხლის სამართლებრივ დანაწესზე, რომლის თანახმად, „ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე“. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კანონის ამგვარი დანაწესი განპირობებულია იმით, რომ უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის, მოვალის პიროვნება მნიშვნელოვანია როგორც გადახდისუნარიანობის, აგრეთვე ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების ნდობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სსკ-ის 206-ე მუხლის მიზანია, ვალის გადაკისრების შემთხვევაში თავდებისა და დამგირავებლის ინტერესების დაცვა. თავდები და დამგირავებელი (როდესაც ხდება მესამე პირის მოძრავი ნივთის ან/ და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დაგირავება, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფაზე თანხმობას აცხადებენ მოვალის პიროვნების გამო, რადგან მას ენდობიან არა მხოლოდ იმის გამო, რომ ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს, არამედ იმის გამოც, რომ არის გადახდისუნარიანი. ეს რწმენა იკარგება ვალის გადაკისრების შემთხვევაში, რადგან ახალი მოვალე შეიძლება აღმოჩნდეს არაკეთილსინდისიერი ან გადახდისუუნარო და ასეთ შემთხვევაში, მაღალია აქცესორული უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა, ამიტომაცაა გათვალისწინებული სსკ-ის 206-ე მუხლით თავდებისა და დამგირავებლის ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ვალის გადაკისრების შემთხვევაში აქცესორული უფლებების შეწყვეტით, კანონმდებელი კრედიტორის ინტერესის ერთგვარ იგნორირებას ახდენს, თუმცა ეს განპირობებულია იმით, რომ ვალის გადაკისრება მოხდა კრედიტორის თანხმობით და მისთვის ცნობილი იყო გადაკისრების სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი ითვალისწინებს ვალის გადაკისრებისას თავდებობისა და გირავნობის შეწყვეტას, ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე თავდებისა და დამგირავებლის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში და, არაფერს ამბობს იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც უძრავი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე (სსკ-ის 286 I, 291-მუხლი) - სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, საჭიროა თუ არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ახალ მოვალესთან მიმართებით იპოთეკის ურთიერთობის გაგრძელებაზე. **საკასაციო პალატის**

მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენდა იპოთეკის საგნის მესაკუთრის (არაპირადი მოვალე) მიმართ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაციის ნაწილში, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს.

პირველი კასატორის (მოსარჩელე) პრეტენზია სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ დაუშვებელია სსკ-ის 206-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება, რაგან აღნიშნული ნორმით ცალსახად არის განსაზღვრული, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ გირავნობასა და თავდებობაზე. (იხ. საკასაციო საჩივარი).

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ განმარტება contra legem-ის შემთხვევაში სახეზეა კონფლიქტი ნორმის სხვადასხვა მიზანს შორის. მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლიანი. განმარტება contra legem უპირატესობას ანიჭებს სამართალს, რომელიც გამომდინარეობს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან და უზრუნველყოფს კონკრეტული ურთიერთობის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას. ამ „სამართლის“ მოძიება და კონკრეტულ გადაწყვეტილებებში რეალიზაცია არის მართლმსაჯულების ფუნქცია. განმარტება contra legem შეუძლია არა „ჩვეულებრივ“ სამართლის შემფარდებელს, არამედ მხოლოდ მოსამართლეს. მოსამართლემ უნდა იმოქმედოს არა სამართლიანობის სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე, არამედ მხოლოდ მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში, იმ ღირებეულებების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლის სისტემას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნორმატიული რეგულირების მასშტაბები განუხრელად იზრდება. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ არ არსებობს იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც მოითხოვს სამართლებრივ გადაწყვეტას. როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსახლველი და გადასაწყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული და რეგულირებული კანონის არც ერთ ნორმაში, ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში. ნორმის შერჩევა მოითხოვს მართლწესრიგის მთელი სისტემის სათანადო ცოდნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის შემფარდებელი ვერ განსაზღვრავს, თუ რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული. ნორმის შერჩევა რთული აზრობრივი პროცესია. ნორმის შერჩევის პროცესი შეიძლება დამთავრდეს იმით, რომ ვერ იქნეს მოძიებული კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. სამოქალაქო დავა, რომელიც კანონით არაა პირდაპირ მოწესრიგებული, შეიძლება გადაწყდეს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის საფუძველზე. თუ სამართლის შემფარდებელი, სამართლის განმარტების ხერხების გამოყენების მიუხედავად, ვერ „პოულობს“ კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელ ნორმას, მან უნდა გამოიყენოს ყველაზე უფრო მსგავსი

შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა (analogia legis). მოსამართლე ვალდებულია საკითხი გადაწყვიტოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის მე-5. I მუხლის თანახმად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). **ურთიერთობის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმის არარსებობისას, სსკ-ის მე-5 მუხლი, მოსამართლეს ანიჭებს ანალოგიური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენების უფლებას. აღნიშნული ნორმის მიზანია მოსამართლისათვის სსკ-ის მე-4 მუხლით დაკისრებული მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება, ანუ მოსამართლეს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.** კანონის ხარვეზი კანონის საკანონმდებლო პროცესის ბუნებრივ თანამდევ მოვლენად ანდა სამართლის განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობად ითვლება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა გამოსაყენებელ კანონში არ არის. **ანალოგიის ადრესატი არის მოსამართლე. მხოლოდ მას შეუძლია სამართალგამოყენების ამ მეთოდით სარგებლობა. კანონის ანალოგიის გამოყენების წინაპირობა არის კანონის ე.წ. დაუგეგმავი, ე.ი. წინასწარ გაუთვალისწინებელი არასრულყოფილება.** იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელს ურთიერთობა მოწესრიგების გარეშე შეგნებულად აქვს დატოვებული, კანონის ანალოგია არ გამოიყენება. ამიტომ უნდა შემოწმდეს, დადგენილ ხარვეზთან გვაქვს თუ არა საქმე. ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულოობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი.

ნორმის შემფარდებელი კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს ავსებს არა თვითნებურად, არამედ განსაზღვრული მეთოდური მოთხოვნების დაცვით. ნორმის შემფარდებელმა, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს საკანონმდებლო ხარვეზის არსებობის ფაქტი. ხარვეზი სახეზეა მაშინ, როდესაც არ გვაქვს ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა. ანალოგია არ დაიშვება, თუ არსებობს ნორმის უშუალო, პირდაპირი შეფარდების შესაძლებლობა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხარვეზის შევსება უნდა მოხდეს შემდეგი მოთხოვნების დაცვით: ა) უნდა გაირკვეს, კანონმდებელმა შეგნებულად ხომ არ დატოვა სამართლებრივი რეგულირების მიღმა რომელიმე ურთიერთობა; ბ) ანალოგია უნდა განხორციელდეს მართლწესრიგთან მჭიდრო კავშირში და მართლწესრიგის ერთიან სისტემაში; გ) ანალოგია არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მოსაზრებეს. ანალოგიის დროს უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი წესი, რომლის საფუძველზეც გადაწყდება კონკრეტული შემთხვევა. სამართლის შემფარდებელმა ანალოგიას უნდა მიმართთოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმის განმარტების საფუძველზე ვერ ხერხდება საკითხის იურიდიული გადაწყვეტა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ანალოგია მოითხოვს განსაკუთრებულ არგუმენტაციას. **ანალოგია უნდა განხორციელდეს ნორმის მიზნის ღირებულებითი შეფასების საფუძველზე.** ნორმის ღირებულებითი მასშტაბის გადატანა სხვა ურთიერთობებზე უნდა დასაბუთდეს არსებული მართლწესრიგიდან გამომდინარე და არა ინდივიდუალური, სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე. **ანალოგიის პროცესში ნორმის შემფარდებელი ერთმანეთთან ადარებს ურთიერთობას, რომელიც კანონითაა რეგულირებული და ურთიერთობას, რომელიც კანონით არაა რეგულირებული. მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, თუ სავარაუდოდ როგორ შეაფასებდა კანონმდებელი იურიდიულად მოუწესრიგებელ ურთიერთობას.** ამ შემთხვევაში შედარების მასშტაბის როლს ასრულებს სამართლის „შინაგანი სისტემა“, სამართლებრივი ნორმების სისტემა და არა ნორმის შემფარდებლის ინდივიდუალური შეფასების სისტემა. ანალოგია არ ნიშნავს ახალი ნორმის დადგენას. ანალოგიის დროს ნორმის შემფარდებელი ადგენს არა ახალ ნორმას, არამედ ცდლობს პოზიტიური სამართლის სისტემაში „იპოვოს“ კანონმდებლის რამდენადმე „დაფარული“, ბუნდოვნად ფორმულირებული შეფასება. **ნორმა ანალოგიურია თუ არა, უნდა გადაწყდეს ნორმის განმარტების საფუძველზე**. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კანონის ანალოგიის საკითხის განხილვა, როგორც წესი, ხდება ნორმათა განმარტების მეთოდებისა და სახეების განხილვის პარალელურად.

კანონის ანალოგიის წესით მსგავსი ნორმის გამოყენებისას მნიშვნელოვანია კანონის მიზნის განსაზღვრა, რადგან სწორედ კანონის მიზანი იძლევა პასუხს კითხვაზე, შეიძლება თუ არა მოსაწესრიგებელი ურთიერთობის მიმართ ანალოგიური ნორმის გამოყენება. ანალოგიით დაუშვებელია გამოყენებული იქნეს სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ე.წ. „საგამონაკლისო ნორმები". ასეთი ნორმები კანონმდებლის მიერ მიიღება მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონის ანალოგიის გამოყენებისას თვალსაჩინო ხდება სამართლის ფუნქციური დამოკიდებულება. თუ კანონი სამართლებრივი პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტის ფუნქციას ვერ ასრულებს, მაშინ საჭიროა მისი განვრცობა. ასეთი ხარვეზის დადგენის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონის კონტექსტის შედარებითი ანალიზი: ხარვეზის დადგენა იწყება მაშინ, როცა გვხვდება კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევა, რომლის მოსაწესრიგებლადაც მართებული იქნებოდა კანონით მოწესრიგებული მსგავსი შემთხვევის წესის გამოყენება. **ანუ ადგილი აქვს შემთხვევას, როცა არსობრივად ერთნაირს თანაბარი მოპყრობა არა აქვს. მსგავსი შემთხვევების თანაბარი მოპყრობის პრინციპი წარმოადგენს კანონის ხარვეზის აღმოფხვრის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.** საჭიროა თუ არა საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა (de laga lata), დამოკიდებულია იმაზე, რომ **მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება არა მხოლოდ კანონს, არამედ იმ სამართლებრივ პრინციპებსაც, რომლებიც მოცემულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, აგრეთვე სხვა სამართლებრივ წყაროებში ან გამოხატულებას ჰპოვებს „საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებულ წარმოდგენებში სამართლიანობის შესახებ"**. მოსამართლეებს უფლება ეძლევათ ამ „მართალი სამართლით" დაწერილი კანონები შემდგომ განავითარონ არა მხოლოდ კანონთა ინტერპრეტაციის გზით, არამედ, ასევე, კანონის ხარვეზის შევსებისა და რესტრიქციის გზითაც. **„სამოსამართლეო სამართლის" მიერ სამართლის განვითარება დასაშვებია, თუ კანონის სიტყვითი მნიშვნელობა იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კანონმდებელმა ესა თუ ის პრობლემატური შემთხვევა არასაკმარისად გაიაზრა და ამიტომ იგი კანონის რეგულირების სფეროში არ გაითვალისწინა.**

კანონის ანალოგიით გამოყენება გულისხმობს ამ ნორმის განზოგადებას, რომელიც ხდება შეფასებით: **ნორმის შინაარსით დგინდება, რომ განსხვავება კანონით მოწესრიგებულ და მოუწესრიგებელ შემთხვევებს შორის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომელიც გაამართლებდა მათ განსხვავებულად გადაწყვეტას, ანუ**

გამოსაყენებელი ნორმის საერთო, ზოგადი ნიშნები, საკმარისი უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის გამოყენების დასასაბუთებლად. ამით დასტურდება ის, რომ კანონის (სამართლის ნორმის) ანალოგიით გამოყენება, წარმოადგენს თანაბარი მოპყრობის პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას. აგრეთვე შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს ზღვარი, რომელიც კანონის ინტერპრეტაციასა და ხარვეზის შევსებას შორის არსებობს. ეს ზღვარი საკანონმდებლო დანაწესების შესაძლო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით არის გავლებული. კანონის სიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებში ხორციელდება ინტერპრეტაცია (ნორმის გამოყენების სფერო). სადაც ამ ზღვრის გადასვლა ხდება, ადგილი აქვს კანონის ხარვეზის დადგენასა და შევსებას. (სამართლებრივი პრინციპის მოქმედების სივრცე), ან დადგენილია, რომ ეს შემთხვევა ამ ნორმის გამოყენების სფეროდან უნდა იქნეს ამოღებული (რესტრიქცია - ქმედების საგამონაკლისო შემადგენლობა).

საკასაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **შემთხვევათა ერთგვაროვანი შეფასების საკითხი ყოველთვის ამა თუ იმ სამართლებრივი პრობლემის თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, რომელიც სამართლის ნორმამ უნდა გადაწყვიტოს.** ანალოგიის გზით ხარვეზის აღმოფხვრისათვის სამართლის ის ნორმა წარმოადგენს შედარების ბაზისს, რომლის ანალოგიით გამოყენებაც უნდა შემოწმდეს. **მოსამართლემ, უპირველესად უნდა გააცნობიეროს, ინტერპრეტაციის ან კანონის განვრცობის (ანალოგიის) რომელი ვარიანტი შეესაბამება საზოგადოების უმრავლესობის კონსენსუნარიან წარმოდგენებს სამართლიანობის თაობაზე.**

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელე კასატორის პრეტენზია განსახილველ შემთხვევაში სსკ-ის 206-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების დაუშვებლობასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კანონში მოცემული ზოგადი ცნებები ხშირად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. განმარტების ხერხები ემსახურება ნორმის ერთგვაროვანი შეფარდების მიზანს. სამართლის ნორმის განმარტება (ინტერპრეტაცია) გულისხმობს მისი შინაარსის გარკვევას, ე.ი. იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა. განმარტების პროცესში ხდება იმის გარკვევა, თუ კონკრეტული შემთხვევა რამდენად შეესაბამება ნორმით განსაზღვრულ ქცევის ზოგად წესს. ნორმის განმარტება ხორციელდება სამართლის შეფარდების პროცესში ანუ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში. სამართლის ნორმის განმარტება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევით. **ნორმის განმარტებას უნდა ჰქონდეს ზოგადი მნიშვნელობა - ნორმის განმარტებამ გონივრული შედეგი უნდა მოგვცეს სხვა, სავარაუდო შემთხვევების**

მიმართაც. ნორმის განმარტება არ უნდა იძლეოდეს კანონის მოთხოვნების დაცვისაგან თავის არიდების ან მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ნორმის განმარტებამ, ასევე არ უნდა დაარღვიოს სამართლებრივი უსაფრთხოება. მართლწესრიგი ერთიანია, რამდენადაც მისი შემადგენელი ნორმები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იმყოფება და ერთიან სისტემას ქმნის. სისტემური განმარტება მოითხოვს, რომ სამართლის ნორმა გააზრებული უნდა იქნეს სხვა ნორმებთან კავშირში და არა იზოლირებულად. სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი ითვალისწინებს, რომ ვალის გადაკისრებისთანავე, თუ თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე, შეწყდება არა მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი პიროვნული საშუალება, როგორიცაა თავდებობა, არამედ შეწყდება მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი სანივთო აქცესორული საშუალებაც, როგორიცაა გირავნობა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული მოწესრიგება, სტრუქტურულად განთავსებულია არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულ გირავნობის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებში (სსკ-ის 254-ე - 285-ე მუხლები), არამედ ვალის გადაკისრების მომწესრიგებელ ზოგადი ხასიათის ნორმების თავში (სსკ-ის 203-206-ე მუხლები). თავის მხრივ, გირავნობისა და იპოთეკის მომწესრიგებელი ნორმები სტრუქტურულად განთავსებულია ერთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეექვსე თავში - საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. ორივე უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას გააჩნია ერთი საერთო მიზანი - დატვირთული ქონებით კრედიტორის დაკმაყოფილება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ ვალის გადაკისრების შემთხვევაში, დამგირავებელი ან თავდები თანხმობას არ განაცხადებს ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული გირავნობის ან თავდებობის შეწყვეტა გათვალისწინებულია არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გირავნობისა და თავდებობის შეწყვეტის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით, არამედ სწორედ ზოგადი ხასიათის ნორმით, კერძოდ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესით. **შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულებისა და სისტემური განმარტების შედეგად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი არ წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ (ე.წ.“ საგამონაკლისო ნორმა“) ნორმას და მისი ანალოგიით გამოყენება იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართაც, დასაშვებია.**

საკასაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი იქნებოდა საგამონაკლისო (ე.წ. სპეციალური) ნორმა იმ შემთხვევაში, თუ მასში საუბარი იქნებოდა მხოლოდ თავდებობის შეწყვეტაზე. ასეთ შემთხვევაში, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ეს არის სპეციალური ნორმა (Argumentum e contario -კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი სხვა უზრუნველყოფებთან მიმართებით), შეეხება მხოლოდ თავდებს, რადგან თავდები უფრო მეტ საფრთხეშია, აგებს რა პასუხს ძირითადი მოვალის ვალდებულებისათვის, ის პრივილეგირდება, ხოლო გირავნობის ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე მესამე პირი (არა პირადი მოვალე), არ თავისუფლდება და ეს არის კანონმდებლის პრინციპული ნება. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ სსკ-ის 206-ე მუხლში საუბარია გირავნობაზეც, როგორც უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებაზე, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ როგორც რეგისტრირებული გირავნობის, აგრეთვე იპოთეკის შემთხვევაში, დამგირავებელი ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე (არაპირადი მოვალე), (იმის გათვალისწინებითაც, რომ როგორც რეგისტრირებული გირავნობა, აგრეთვე იპოთეკა იდება წერილობითი ფორმით და სამართლებრივ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან), პრინციპულად ერთნაირ სამართლებრივ მდგომარეობაში არიან. **ამიტომაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს ის „არაგეგმაზომიური“ ვაკუუმი („Planwidringen Regelungslücke“), რაც აუცილებელია კანონის ანალოგიით გამოყენებისათვის.**

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის, მოვალის პიროვნება მნიშვნელოვან და ამგვარი ხელშეკრულების დადების განმაპირობებელ გარემოებას წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფის საშუალებების გაცემას იგი უკავშირებს მოვალის გადახდისუნარიანობას და იმ ნდობას, რომ მოვალე თავის ვალდებულებებს ჯეროვნად შეასრულებს. იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა უზრუნველყოფილია არა პირადი მოვალის (მესამე პირი) საკუთრებით (მოძრავი ან უძრავი ნივთი, აგრეთვე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე), სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის გადაკისრებისას, შეიძლება საფრთხე დაემუქროს უზრუნველყოფილი ქონების მესაკუთრის ინტერესს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მსგავსად გირავნობისა, ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელია იპოთეკის საგნის მესაკუთრის (არა პირადი მოვალე) და იპოთეკარის შეთანხმება, რომ არ შეწყდეს იპოთეკა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო ნორმა - სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი, უნდა შეფასდეს აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ლეგიტიმურ

მიზანთან მიმართებითაც. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა აყალიბებს საზოგადოების ლეგიტიმურ მოლოდინს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას. **სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის (დამგირავებელი) უფლების დაცვის უფრო მეტი გარანტიების დაწესება, ვიდრე ანალოგიურ ვითარებაში მყოფი იპოთეკის საგნის მესაკუთრისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინააღმდეგობაში მოვიდოდა თანაბარი მოპყრობისა და სამართლიანობის პრინციპებთან.** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „ყოველ განსახილველ შემთხვევაში უნდა დაადგინოს, თუ რა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას ემსახურება სადავო რეგულაცია და რამდენად შეესაბამება იგი თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს“ და, რომ „მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესებს წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგისა და სტაბილურობის დამყარება (მოწესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა)“.

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია მესამე პირის (არა პირადი მოვალე) უძრავი ქონებით, შესაძლებელია სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესის ანალოგიით გამოყენება.

პირველი კასატორის (მოსარჩელე) ერთ-ერთ პრეტენზია ეხებოდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოსარჩელისათვის დამგირავებლის (არაპირადი მოვალე) მიმართ გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებლად უარის თქმას.

საკასაციო პალატამ დამგირავებლის მიერ შესაგებელში მითითებული მოსაზრებების გათვალისწინებით აღნიშნა, რომ სამართალი არის მართლწესრიგისა და სამართლიანობის ხელოვნება (“Ius est ars boni et aequi”, იხ. Corpus Juris Civilis, დიგესტები,1.1.). სამართალმა უნდა უზრუნველყოს სადავო საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა. ეს მიზანი გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ

შემთხვევაში კანონმდებლს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები, ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. **კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში.** კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული და, როგორც წესი, ეძებს კომპრომისს სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის, რომელიც სამართლიანია. ასეთი თვალსაზრისები აისახებიან გადაწყვეტილებათა ანალიზის ზოგად სქემებში, რომლებიც, ასევე, გამოყენებული უნდა იქნას საკანონმდებლო ხარვეზის შევსების პროცესშიც. სამართალი უნდა ემსახურებოდეს მიზნების განხორციელებას, ე.ი. განსაზღვრული სიკეთეების მოპოვებას ან შენარჩუნებას და ამ სიკეთეებზე ორიენტირებული ინტერესების დაკმაყოფილებას. ამისათვის საჭიროა, წინასწარ შეიქმნას შეძლებისდაგვარად ფართო წარმოდგენა იმ სიკეთეებზე, რომლებზეც გადაწყვეტილებამ, ერთი მხრივ, პოზიტიურად, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს. ამ ზემოქმედების „სასურველი“ და „არასასურველი“ შედეგი ყოველი დაცული სიკეთისათვის ცალ-ცალკე დგინდება. გარკვეულ როლს თამაშობს ის ღირებულება, რომელიც კონკრეტულ სიკეთეს დაცვის ქვეშ მყოფ სხვა სიკეთეებთან შედარებით გააჩნია. გადაწყვეტილების განსაზღვრული ალტერნატივა აერთიანებს სავარაუდო შედეგის პოზიტიურ და ნეგატიურ ნაწილებს. გადაწყვეტილებათა ალტერნატივების შედარება კი შეიძლება მანამ, ვიდრე არ მივიღებთ ოპტიმალურ და სამართლიან კომპრომისს ზიანსა და სარგებელს შორის. მინიმალური მიზანია, რომ პოზიტიური ელემენტები ნეგატიურს სჭარბობდეს („თანაზომიერების“ პრინციპი).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს

წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში. მკაცრი გაგებით, ყოველი საინტერპრეტაციო ნორმის ზღვარი არის „სიტყვის შესაძლო მნიშვნელობა". თუ სამართლიანი თანაბარი მოპყრობის მიზნით საჭიროა ამ წესიდან გადახვევა, ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის განვრცობითი ან „სამართლის განვითარების" საფუძველზე.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ რეგისტრირებული გირავნობის დროს გირავნობის საგანი რჩება დამგირავებლის მფლობელობაში, მაგრამ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ამ ნივთის (თუ უფლების) დატვირთვა **გირავნობით ფორმდება მარეგისტრირებელ ორგანოში** (საჯარო რეესტრი ან შსს მომსახურების სააგენტო) **რეგისტრაციით.** განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, სსკ-ის 258-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **რეგისტრირებული გირავნობის ნამდვილობისათვის აუცილებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმება და გირავნობის უფლების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში - საჯარო რეესტრში ან მომსახურების სააგენტოში.** მოგირავნეზე ნივთის გადაცემა კი არ არის სავალდებულო.

გრამატიკული განმარტების მეთოდის გამოყენების შედეგად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 258 I-ე მუხლის დანაწესით, ადგილი აქვს კუმულაციას და არა ალტერნატივას, ანუ რეგისტრირებული გირავნობის ნამდვილობისათვის (მოგირავნის მოთხოვნის უფლების წარმოშობა) საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა (მოგირავნე - დამგირავებელი) წერილობითი შეთანხმება, არამედ ასევე სავალდებულოა გირავნობის უფლების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში. საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არ წარმოშობია გირავნობის უფლება, რაც გირავნობის საგნის რეალიზაციის ნაწილში საკასაციო საჩივრის (შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ყურადღება გაემახვილებინა სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ როგორც ფაქტების მითითების, აგრეთვე მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა. გარდა ამისა, **დემოკრატიულ**

საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით, უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ" განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი ადგენს, უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო **თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.** საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლო შესაგებლის სტადიაზე, მით უმეტეს, მტკიცების სტადიაზე არ უნდა გადავიდეს, თუ მოსარჩელემ არ მიუთითა ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178–ე მუხლის „ ე" ქვეპუნქტში, **რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201–ე მუხლის „დ" ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე**

სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178–ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს, რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები). საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრიციპი გამოხატულია სსსკ-ის 102–ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე–4 მუხლი).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. **კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა - სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.**

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევი: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ

სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. **მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები.** თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა.

შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? **იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია.** სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. **ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.**

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი

გასაჩივრებით. განსხვავებით მტკიცების ტვირთისაგან, რომელსაც მოსამართლე აქტიურად ხელმძღვანელობს და კარნახობს მხარეებს, თუ ვინ უნდა ამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი, იგი პასიურია ფაქტების მითითებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე ვერ დაეხმარება მხარეს სარჩელის/შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთების შედგენაში. **მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს.**

საქმე №ას-559-2019 **04 დეკემბერი, 2019 წელი**

ქ. თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა:

ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ეკატერინე გასიტაშვილი, ბესარიონ ალავიძე

სხდომის მდივანი - ლელა სანიკიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენით

პირველი კასატორი – სს „ს–ი“ (მოსარჩელე)

მეორე კასატორი – შპს „რ–ი“ (მოპასუხე)

მოწინააღმდეგე მხარე - შპს ,,ფ–ი“, M.(მ–ი), შპს ,,ს“, სს „რ–ი“, სს ,,ე–ი“ (თავდაპირველი მოპასუხეები)

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის განჩინება

პირველი კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით M.-ისა (მ–ი) და შპს ,,ს“-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილება

მეორე კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილებულ ნაწილში სარჩელის უარყოფა

დავის საგანი – თანხის დაკისრება, იპოთეკისა და გირავნობის საგნის რეალიზაცია

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. სს „ს–მა“ (**შემდეგში: მოსარჩელე ან პირველი კასატორი ან ბანკი)** სარჩელი აღძრა მოპასუხეების: შპს ,,რ–ის“ **(შემდეგში: მოპასუხე ან მოპასუხე კომპანია ან მეორე აპელანტი ან მეორე კასატორი),** შპს ,,ფ–ის“, სს ,,ე–ისა“ და სს ,,რ–ის“ მიმართ და მოითხოვა: ა) მოპასუხეებისათვის ბანკის სასარგებლოდ 2015 წლის 24 ივნისის N..... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების - 19 717 897,41 აშშ დოლარის (ძირი თანხა - 17 500 000 აშშ დოლარი, პროცენტი - 2 180 977,96 აშშ დოლარი, ჯარიმა - 36 919,45 აშშ დოლარი) გადახდის დაკისრება სოლიდარულად; ბ) მოპასუხეებისათვის ბანკის სასარგებლოდ 2017 წლის 10 ნოემბრიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, 2015 წლის 24 ივნისის N....საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირ თანხაზე - 17 500 000 აშშ დოლარზე, წლიური 12,5% სარგებლის გადახდა სოლიდარულად, რაც ყოველდღიურად შეადგენს 5 993,15 აშშ დოლარს; გ) მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2017 წლის 10 ნოემბრიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, 2015 წლის 24 ივნისის N..... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირ თანხაზე - 17 500 000 აშშ დოლარზე, წლიური 25% პირგასამტეხლოს გადახდა, რაც ყოველდღიურად შეადგენს 11986,30 აშშ დოლარს, სოლიდარულად დაკისრება; დ) დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული შემდეგი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა: - ქ–ი, ს. ქ.N6, რესტორან „ა–ი“-სა და ფირმა „ვ“-სათვის დამაგრებულ ნაკვეთებს შორის, (ნაკვ. 2/1) მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 1540.00 კვ.მ ს/კ ..... (შემდეგში: იპოთეკის პირველი საგანი); - ქ–ი, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, (ნაკვ. #001/0---/ქალაქი თბილისი, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, ს-ის სახელობის ს. #1 (რესტორან ა–ის მიმდებარე

ტერიტორია), (ნაკვეთ. #2...)/ქალაქი თბილისი, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, ს-ის სახელობის ს. #1 (რესტორან ა–ის მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი #2/21) მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 2177.00 კვ.მ ს/კ ..... (შემდეგში: იპოთეკის მეორე საგანი); -ქ–ი, მდ. მ-ის მარჯვენა ს-ზე, თ-მ-ს ხიდსა და რესტორან ,,ა--ს“ შორის, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, თ. მ-ს გამზირსა და ც-ის ასასვლელი გზის კუთხეში, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 8001.00 კვ.მ ს/კ შემდეგში: იპოთეკის მესამე საგანი); -M-ს არამატერიალური აქტივი - A S.A-ს 10%-იანი წილი (შემდეგში: გირავნობის პირველი საგანი); - M--ს არამატერიალური აქტივი - შპს ,,რ–ი“-ს 10%-იანი წილი (შემდეგში: გირავნობის მეორე საგანი); ხოლო, იმ შემთხვევაში თუ, უზრუნველყოფის საგნებზე გადახდევინების მიქცევით მიღებული სარგებელი სრულად არ დაფარავდა უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, სარეალიზაციოდ მიქცეულიყო მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული სხვა უძრავ-მოძრავი ქონება.

2. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რ.ფ-ას და ქ.ჩ-სთან 2011 წლის 05 იანვარს გაფორმდა N .... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება. სხვადასხვა პერიოდში აღნიშნულ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ცვლილება/დამატებები. ამასთან, სხვადასხვა პერიოდში მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებითაც განისაზღვრა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები. 2017 წლის 30 იანვარს ბანკს, რ.ფ-ას, ქ.ჩ-ს და შპს ,,ფ.–ს“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები N....., რომლის მიხედვითაც შპს ,,ფ–ი“ გახდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი, ხოლო რ.ფ-ა და ქ.ჩ. გავიდნენ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან. 2011 წლის 05 იანვრის N.... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკსა და რ.ფ-ას შორის 2015 წლის 24 ივნისს გაფორმდა N ..... საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მსესხებელზე გაიცა სესხი 17 500 000 აშშ დოლარი. 2014 წლის 18 თებერვლის N ..... სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით მოპასუხემ 2011 წლის 05 იანვრის N ..... ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 2 500 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად იკისრა მითითებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. 2014 წლის 24 დეკემბერს ბანკსა და შპს ,,ს“-ს შორის გაფორმდა N -ს იპოთეკის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით იპოთეკით დაიტვირთა იპოთეკის პირველი, მეორე და მესამე საგანი; 2015 წლის 06 ნოემბერს M-ს (მ–ი) და ბანკს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებით ბანკის სასარგებლოდ დაგირავდა გირავნობის პირველი საგანი; 2016 წლის 22 აგვისტოს M-ს (მ-ი) და ბანკს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკის სასარგებლოდ დაგირავდა გირავნობის მეორე საგანი.

3. მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 30 იანვრის N.... სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით სს ,,....მა“ და მოპასუხემ 2011 წლის 05 იანვრის N ..... ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 35 000 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად იკისრეს მითითებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. შპს ,,ფ–მა“ დაარღვია 2015 წლის 24 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც გამოიხატა მისი მხრიდან კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევაში. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს ერთი მხრივ, N ..... კრედიტის დაფარვის გრაფიკი, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულ კრედიტზე შპს ,,ფ–ის“ ამონაწერი განხორციელებული გადახდების თაობაზე. 2017 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით შპს ,,ფ–ის“ დავალიანება შეადგენს 19 717 897,41 აშშ დოლარს, საიდანაც ძირითადი თანხაა - 17 500 000 აშშ დოლარი, საპროცენტი სარგებელი - 2 180 977,96 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 36 919,45 აშშ დოლარი.
4. შპს ,,ფ-მა“ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს საკრედიტო დავალიანების ოდენობას, მხოლოდ ცალმხრივად გაცემული დოკუმენტი - „ცნობა დავალიანების შესახებ“ კი, არასაკმარისი მტკიცებულებაა.
5. **შპს ,,ს“-მა 2017 წლის 25 დეკემბერს წარდგენილი მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით, სარჩელი დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი გარემოებების გამო:** მართალია მხარეებს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, თუმცა, მოპასუხის ქონება დაიტვირთა ფიზიკური პირების რ.ფ-სა და ქ.ჩ-ს მიერ გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე გასაცემი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით და არა შპს ,,ფ–ის“ სესხის უზრუნველყოფისათვის. იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, შესაბამისად, იპოთეკის საგნის მესაკუთრე პირისათვის, რომელიც არ არის მსესხებელი, დიდი მნიშვნელობა გააჩნია, თუ ვინ წარმოადგენს მსესხებელ მხარეს. ქონების იპოთეკით დატვირთვისას მესაკუთრე ყოველთვის რისკის ქვეშ არის, რადგან უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ დგება მისი ქონება, რის გამოც ყოველი პირი, ასეთი ნაბიჯის გადადგმისას აფასებს, რამდენად კეთილსინდისიერია მსესხებელი და ამასთან ერთად, მისი ფინანსური მდგომარეობა იძლევა თუ არა კრედიტის დაფარვის შესაძლებლობას. შპს ,,ს“-ის დირექტორის და იმ დროს დამფუძნებელი პირის მიერ სწორედ რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს კეთილსინდისიერება და ფინანსური მდგომარეობა იქნა შეფასებული და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა არპირადი მოვალე იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიერ მსესხებლის ვალის უზრუნველყოფის მიზნით ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე თანხმობის გაცემა. სს“ ს–ის“ მიერ კი, ისე, რომ ამის შესახებ იპოთეკის საგნის მესაკუთრე შპს ,,ს“-ისათვის ცნობილი არ ყოფილა,

მოხდა მოვალე პირების ჩანაცვლება, კერძოდ კი 2017 წლის 30 იანვარს რ.ფ-ასა და ქ.ჩ–ს ნაცვლად მოვალე მხარედ ჩაენაცვლა შპს ,,ფ–ი“, ისე რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ამაზე თანხმობა არ განუცხადებია. სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, ამისათვის საჭირო იყო მესაკუთრისა და კრედიტორის შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რაც არ განხორციელებულა. მითითებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ იმგვარად, რომ სიტყვა „სხვა მოთხოვნა“ გულისხმობს მხოლოდ ახალი საფუძვლით თუ ახალი გარიგებით წარმოშობილ სხვა მოთხოვნას. აქ იგულისხმება ის შემთხვევაც, როდესაც იცვლება მოვალე პირი, ანუ მოთხოვნა წარდგენილია არა თავდაპირველი, არამედ ახალი მოვალის მიმართ. რადგან იპოთეკა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა და უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის მოვალის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამომდინარე იქიდან, რომ ურთიერთობების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მოვალის გადახდისუნარიანობაზე და ნდობაზე, რომ ის შეძლებს თავისი ვალდებულების შესრულებას. **ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ეცნობოს, რათა რეალურად შეფასებული იქნეს ახალი მოვალე პირი შეძლებს თუ არა ვალდებულების შესრულებას და მესაკუთრე ეთანხმება თუ არა უზრუნველყოს ახალი მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა.** სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი, სწორედ იპოთეკის საგნის მესაკუთრის დამცავი ნორმაა და სავალდებულოს ხდის მის თანხმობას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ ვისთან უნდა დადონ ხელშეკრულებები, ვინ იქნება მათი კონტრაქტორი მხარე და ვისთან უნდა შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობებში. მესაკუთრე, როდესაც ის არ არის მოვალე, სამართლებრივ ურთიერთობაში შედის როგორც კრედიტორთან, ასევე მოვალესთან. მას შეიძლება მომავალში იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნები წარმოეშვას მოვალესთან და შესაბამისად, **მესაკუთრის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება, თანაც ის, რომ არაფერი ჰკითხონ მოვალის ცვლილებასთან დაკავშირებით, არ გამომდინარეობს კანონიდან. ამას მოწმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ვალის გადაკისრებისას ანუ მოვალის ცვლილებისას, შეწყვეტილად ითვლება თავდებობა და გირავნობა და ამ კონტექსტში სრულიად წარმოუდგენელია არ იყოს გათვალისწინებული იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლებები, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც უძრავი ქონების დაცვის უფრო მაღალ გარანტიებს აწესებს სახელმწიფო, თუნდაც საჯარო რესტრის არსებობით და კეთილსინდისიერი შემძენის ცნებებით.** სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესმა არ მოიცვა იპოთეკის ხელშეკრულება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იპოთეკის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური ფორმა და გარიგების

რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საკმარისი ვერ იქნება მესკუთრის მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი, ან კონკლუდენტური ფორმის თანხმობის განცხადება, (რაც თავდებობისა და გირავნობისათვის საკმარიასია) და ამიტომაც სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს, რომ საჭიროა ასევე რეესტრში რეგისტრაციაც. საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა და მისი განკარგვის საკითხი მესაკუთრის გარდა, სხვა პირის გადასაწყვეტი ვერ იქნება. სს „ს–მა“ ისე შეცვალა მოვალე პირი, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის არ მიუცია შესაძლებლობა, შეეფასებინა ახალი პირის ქონებრივი შესაძლებლობები და მისი გადახდისუნარიანობა, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. ბანკი არ იყო უფლებამოსილი, ასე ჩარეულიყო შპს „ს“-ის უფლებებში. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სს „ს–ის“ მიერ მოხდა მოვალე პირის ცვლილება და ეს ცვლილება იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან არ შეუთანხმებია და არ დაურეგისტრირებია საჯარო რეესტრში, ნიშნავს, რომ კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე, შესაბამისად, ბანკის მოთხოვნა შპს „ფ-ს ნ-ის“ მიმართ არ არის უზრუნველყოფილი შპს „ს“-ის უძრავი ქონებით.

6. შპს „ს-მა“ აგრეთვე მიუთითა, რომ მის მიერ მოძიებული იქნა ქართულ კანონმდებლობასთან ყველაზე ახლოს მდგომი სამართლის - გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები და აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლი ანალოგიურად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს, ვინაიდან მოვალის შეცვლა უზრუნველყოფის მიმცემისათვის (თავდები, დამგირავებელი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე) გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვინაიდან სრულიად შესაძლებელია, რომ ახალი მოვალე უფრო ნაკლებად გადახდისუნარიანი აღმოჩნდეს, ვიდრე თავდაპირველი მოვალე იყო. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების დროს წარმოდგენილი იქნა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, სადაც სესხის მაქსიმალურ მოცულობად მითითებული იყო კონკრეტული თანხა 5000000 მილიონი აშშ დოლარი და სწორედ ამ ფარგლებში გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულებაც; აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ნომერი და არ არის აღნიშნული, რომ მასში ცვლილებები იქნა შეტანილი რომელიმე სხვა დამატებითი შეთანხმებით, მაშინ როდესაც გირავნობის საგნის მესაკუთრე შპს „მ-სთან“ გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებაში მითითებულია ყველა იმ შეთანხმების ნომერი და თარიღი, რომელიც გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების შემდეგ. ამის გათვალისწინებითაც არ უნდა მოხდეს შპა „ს“-ის ქონების რეალიზაცია მოსარჩელის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სს ‘ს–მა“ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში ახალი მოვალის ჩანაცვლებით უარი თქვა შპს „ ს“-თან გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაზე, ამიტომაც არ არსებობს ქონების რეალიზაციის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. **(იხ. შპს „ს“-ის შესაგებელი, ტ.1.ს.ფ. 237-250).**

7. შპს ,,რ–ი“-მა წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ, 2014 წლის 14 თებერვლის N.... სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება ბანკსა და შპს ,,რ-ს“ შორის კი გაფორმდა, მაგრამ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების 18.02.2014წ. დამატებითი N..... პირობების თანახმად, პირველადი მსესხებელ რ. ფ-ას და ქ. ჩ-ს მიერ 3.2. პუნქტით აღებული იქნა შემდეგი ვალდებულება: ,,კლიენტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს წინამდებარე დანართის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შპს ,,რ–ის“ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პარტნიორის მოწონების აქტის ბანკისათვის მისაღები ფორმით წარმოდგენა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ბანკსა და შპს ,,რ-ს“ შორის დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით“, მაგრამ მხოლოდ შპს ,,რ–ის“ მაშინდელი გენერალური დირექტორის მ.კ-ის მიერ ხელმოწერილი 18.02.2014წ. განცხადება სოლიდარული თავდებობის შესახებ და N..... სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება ვერ ჩაითვლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგიტიმაციის მქონე სამართლებრივი ვალდებულების დამადასტურებელ დოკუმენტად, რადგან შპს ,,რ–ის“ 2012 წლის წესდების მე-5 მუხლის თანახმად საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა პარტნიორთა საერთო კრება და ამავე წესდების მე-6 მუხლის, კერძოდ, 6.3 პუნქტის მიხედვით მხოლოდ პარტნიორთა კრება იღებდა გადაწყვეტილებას კრედიტების და სესხების უზრუნველყოფაზე, თუ ისინი სცილდებოდა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს და არა გენერალური დირექტორი მ.კ-ი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის 18 თებერვლის სოლიდარული თავდებობის სამართლებრივი ურთიერთობისთვის სავალდებულო იყო იმ პერიოდისათვის შპს ,,რ–ის“ 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის სს ,,ა“-ს თანხმობა, საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების სახით, რაც მოსარჩელე მხარის მიერ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი არ არის.
8. M-მა (მ–ი) წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ 2015 წლის 06 ნოემბერსა და 2016 წლის 22 აგვისტოს M-ს და ბანკს შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულებები ბათილია, რადგან M-ს, როგორც შპს ,,რ–ის“ 10% წილის მფლობელს, შეზღუდული ჰქონდა უფლებები, კერძოდ კი, გირავნობის ხელშეკრულების გაფორმების დროს M. არ იყო უფლებამოსილი, გაესხვისებინა და დაეგირავებინა კუთვნილი წილი, რის შესახებაც ცნობილი იყო ბანკისათვის და სწორედ მოსარჩელის არამართლზომიერი ქმედებების გამო M. იძულებული გახდა დაედო გირავნობის ხელშეკრულება. გარდა ამისა, ვინაიდან გირავნობის რეგისტრაცია არ განხორციელებულა შესაბამისი წესით, აღნიშნული ხელშეკრულებები არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს.
9. სს ,,....-სა“ და სს ,,.....“-ს შესაგებელი არ წარმოუდგენიათ. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხეების წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო.
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.04.2018 წლის გადაწყვეტილებით: -ბანკის სარჩელი შპს ,,ფ–ი“-ს, შპს ,,რ–ი“-ს, სს ,,რ–ი“-ს

და სს ,,ე“-ის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -ბანკის სარჩელი M-ს (მ-ე ლმიტედი) და შპს ,,ს“-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა; - შპს ,,ფ-ს“, შპს ,,რ-ს“, სს ,,ე-ს“ და სს ,,რ-ს“ ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2015 წლის 24 ივნისის N .... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების - 19 717 897,41 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირი თანხაა - 17 500 000 აშშ დოლარი, პროცენტი 2 180 977,96 აშშ დოლარი, ჯარიმა-36 919,45აშშ დოლარი; - შპს ,,ფ–ს“, შპს ,,რ-ს“, სს ,,ე-ს“ და სს ,,რ-ს“ სს ,,ს–ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სარჩელის შემოტანიდან - 2017 წლის 28 ნოემბრიდან, 2015 წლის 24 ივნისის N..... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირ თანხაზე - 17 500 000 აშშ დოლარზე, 2018 წლის 19 თებერვლამდე, წლიური 12,5% სარგებლის გადახდა, რაც ყოველდღიურად შეადგენს 5 993,15 აშშ დოლარს; -შპს ,,ფ–ს“, შპს ,,რ-ს“, სს ,,ე-ს“ და სს ,,რ-ს“ ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სარჩელის შეტანიდან - 2017 წლის 28 ნოემბრიდან, 2015 წლის 24 ივნისის N... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირ თანხაზე - 17 500 000 აშშ დოლარზე, 2018 წლის 19 თებერვლამდე, წლიური 25% პირგასამტეხლოს გადახდა, რაც ყოველდღიურად შეადგენს 11986,30 აშშ დოლარს; -შპს ,,რ–ის“ პასუხისმგებლობა თანხის დაკისრების ნაწილში, განისაზღვრა 2 500 000 აშშ დოლარით; -თანხის დაკისრების ნაწილში დადგინდა, გადაწყვეტილების მიქცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

11. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა ბანკისა და მოპასუხის მიერ.
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის განჩინებით ორივე სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.04.2018 წლის გადაწყვეტილება.
13. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
14. ბანკს, რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს შორის 2011 წლის 05 იანვარს გაფორმდა N.... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება, საკრედიტო ხაზის მოცულობად განისაზღვრა 5 000 000 აშშ დოლარი.
15. 2014 წლის 26 თებერვალს მხარეთა შეთანხმებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნული გენერალურ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში და საკრედიტო ხაზის მოცულობა განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით.
16. 2015 წლის 24 ივნისს მხარეთა შეთანხმებით კიდევ ერთხელ იქნა შეტანილი ცვლილება საკრედიტო ხაზის მოცულობაში და განისაზღვრა 40 000 000 აშშ დოლარით.
17. 2011 წლის 05 იანვრის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის 24 ივნისს ბანკს და რ.ფ–ასშორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება N ..., რომლის საფუძველზეც ბანკმა გასცა მსესხებელზე კრედიტი

17 500 000 აშშ დოლარი, კრედიტის ვადა 36 თვე, წლიური განაკვეთი - 12,5% სარგებლით, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%;

18. 2014 წლის 24 დეკემბერს ბანკს და შპს ,,ს"-ს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა უზრუნველყოფილი მოთხოვნები და მათი საფუძვლები.
19. ხელშეკრულების შესაბამისად, იპოთეკით დაიტვირთა იპოთეკის პირველი, მეორე და მესამე საგანი. მხარეთა შეთანხმებით მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს: ა) ძირითადი ხელშეკრულება - .... გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება; ბ) ძირითად ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები - ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე და მის შესაბამისად დადებული შემადგენელი ან/და სხვა გარიგება ან/და დოკუმენტი, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია ძირითადი ხელშეკრულებით ან/და ხდება მის საფუძველზე, და რომლის მხარეებსაც წარმოადგენს/წარმოადგენენ ქვემოთ მითითებული არსებული ან/და სამომავლო მოვალეები. არსებული ან/და სამომავლო მოვალე ხელშეკრულების მიხედვით წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების ან/და ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების მხარე (გარდა ბანკისა) ან/და პირი, რომელიც მომავალში გახდება ძირითადი ხელშეკრულების მხარე. რაც შეეხება იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა შემდეგნაირად - ძირითადი ხელშეკრულებიდან ან/და ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის სასარგებლოდ არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნები არსებული ან/და სამომავლო მოვალეების მიმართ (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად: ნებისმიერი სახის დავალიანება, საკომისიო, პირგასამტეხლო/ჯარიმა და ბანკისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი), ასევე, სასამართლოს (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლოს) აღსრულების და ამგვარი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯი.
20. 2014 წლის 18 თებერვლის N.... სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით მოპასუხემ 2011 წლის 05 იანვრის N... ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 2 500 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად იკისრა მითითებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.
21. 2015 წლის 06 ნოემბერს M-ს და ბანკს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკის სასარგებლოდ დაგირავდა გირავნობის პირველი საგანი.
22. 2016 წლის 22 აგვისტოს M-ს და ბანკს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკის სასარგებლოდ დაგირავდა გირავნობის მეორე საგანი.
23. 2017 წლის 30 იანვარს ბანკს, რ.ფ-ას, ქ.ჩ–სდა შპს ,,ფ-ს" შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები N...., რომლის მიხედვით შპს ,,ფ–ი" გახდა გენერალური საკრედიტო ხაზის

ხელშეკრულების კლიენტი, ხოლო, რ.ფ–ა და ქ.ჩ. გავიდნენ დასახელებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან.

24. 2017 წლის 30 იანვრის N... სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით ,,....-სმა“ და მოპასუხემ 2011 წლის 05 იანვრის N.... ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 35 000 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად იკისრეს მითითებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. მსესხებელს 2015 წლის 24 ივნისის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისა და 2017 წლის 30 იანვრის გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობების N... საფუძველზე შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად უნდა გადაეხადა სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის ნაწილი.
25. მსესხებელმა დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, გადაცილებული იქნა სესხის დაფარვის ვადები. მსესხებელს წარმოეშვა სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის დავალიანება, ასევე, დაერიცხა პირგასამტეხლო.
26. 2018 წლის 08 თებერვალს ბანკის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა შპს ,,ფ-ს ნ–ის“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება.
27. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 თებერვლის განჩინებით ბანკის განცხადება შპს ,,ფ–ის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებული იქნა სასამართლოს წარმოებაში.
28. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სარჩელის სასამართლოში შეტანის დროისათვის, შპს ,,ფ–ს ნ–ის“ დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენს - 19 717 897,41 აშშ დოლარს, საიდანაც ძირი თანხაა 17 500 000 აშშ დოლარი, სარგებელი 2 180 977,96 აშშ დოლარი, ჯარიმა 36 919,45 აშშ დოლარი.
29. აღსანიშნავია, რომ შპს ,,ფ–ს ნ–ი“ შემოიფარგლა ზოგადი ხასიათის შედავებით, კერძოდ, აღნიშნა, რომ სარჩელს არ ეთანხმება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება მასზედ, რომ ბანკის მიერ მითითებული და შპს ,,ფ“-ს მიერ არაკვალიფიციურად შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმფციას, რომ ბანკის მიმართ დარღვეული იქნა თანხის გადახდის ვალდებულება და დავალიანების ოდენობა შეადგენს ზემოაღნიშნულ თანხებს, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მოვალეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს დავალიანების ცნობაში მითითებული თანხის გადახდის ფაქტზე ან დაანგარიშებული თანხის შეუსაბამობაზე.
30. შპს „რ–ის“ მოსაზრებით, 2014 წლის 18 თებერვალს დადებულ თავდებობის ხელშეკრულებაზე ხელს არაუფლებამოსილი პირი აწერს, რის გამოც, ბანკის სასარჩელო მოთხოვნა მის მიმართ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

31. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან მიმართებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში - სსკ-ის) 10--ე მუხლის პირველი ნაწილით, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს, ან წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. სამეწარმეო სუბიექტებს შორის დადებული გარიგებების დროს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კანონის საფუძველზე გააჩნიათ დირექტორებს. თავდებობის ხელშეკრულებას მოპასუხის მხრიდან ხელს აწერდა დირექტორი მ.კ-ი, რომელიც გარიგების დადების მომენტისათვის იყო მოპასუხის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი. კომპანიის ყოფილი დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას რაც შეეხება, კერძოდ, მოქმედებდა თუ არა ის დამფუძნებელი პარტნიორის მითითებით და თანხმობით, სასამართლოს მოსაზრებით, ამ კონკრეტულ შემთხვევისათვის სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, რადგანაც მოსარჩელეს შეუძლია დაეყრდნოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3 მუხლი), რომლის გაქარწყლების გარეშე მოპასუხე დასახულ მიზანს ვერ აღწევს. თავდებობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მოპასუხის დირექტორმა მ.კ-მა დაადასტურა, რომ ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა ან/და მინდობილობა. ამასთან, მართალია, მოპასუხე აღნიშნავს, რომ კომპანიის დირექტორს დამფუძნებლის თანხმობის გარეშე არ შეეძლო თავდებობის ხელშეკრულების დადება მესამე პირის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა, მას თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ამ პირობებში, თავდებობის ხელშეკრულება მიიჩნევა ნამდვილად, რის გამოც, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა.

32. რაც შეეხება ბანკის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს, პალატამ მიიჩნია, რომ არც აღნიშნულის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არსებობდა და მიუთითა შემდეგზე:

33. სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ვალდებულების შესრულების ძირითად კრიტერიუმებს, კერძოდ, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველია, 2011 წლის 05 იანვარს ბანკს, რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს შორის დადებული N....

გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელს კრედიტის სახით ასათვისებლად გამოეყო ფინანსური რესურსები. ბანკს, რ.ფ-ასა და ქ.ჩ–ს შორის 2011 წლის 05 იანვრის N.... გენერალური გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე 2015 წლის 24 ივნისს ბანკსა და რ.ფ–ას შორის გაფორმდა N.... შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რ.ფ–ასსახელზე გაიცა სესხი 17 500 000 აშშ დოლარის ოდენობით, სარგებლის წლიურად 12,5%-ის დარიცხვით, 36 თვის ვადით, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე -0.5%.2017 წლის 30 იანვარს ბანკს, რ. ფ-ას, ქ.ჩ–ს და შპს ,,ფ–ს" შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები N ..., რომლის მიხედვითაც შპს ,,ფ–ი" გახდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი, ხოლო, რ.ფ–ა და ქ.ჩ. გავიდნენ დასახელებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან.

34. სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. სსკ-ის 203-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე. აღნიშნული გარიგების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გარიგებით თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და შესაბამისად, კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს კრედიტორის ნება მასზედ, რომ მესამე პირმა მოვალის ადგილი დაიკავოს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ მხრივ, საკანონმდებლო თვალსაზრისით, ნიშანდობლივია სსკ-ის დებულებანი, რომელიც ე.წ. ექსპრომისიის ცნებას არ ითვალისწინებს, რა დროსაც, მესამე პირი, მართალია, კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებას კისრულობს, თუმცა, იგი თავდაპირველი მოვალის ადგილს არ იკავებს, არამედ თავდაპირველ მოვალესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

35. სსკ-ის 203-ე მუხლი ექსპრომისიის გამომრიცხველ დათქმას შეიცავს, კერძოდ, თუ დადგინდა ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობა სსკ-ის 203-ე მუხლის კონტექსტში, ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე მეტყველებს სსკ-ის 205-ე მუხლის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც, ახალ მოვალეს უფლება არა აქვს გაქვითოს ის მოთხოვნები, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე აპელირებს ასევე ამავე კოდექსის 206-ე მუხლი,

რომლის შესაბამისადაც, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ამდენად, სსკ-ის 203-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, სახეზე უნდა იყოს კრედიტორსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულება. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ვალის გადაკისრება დასაშვებია კრედიტორსა და მესამე პირს შორის ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, მესამე პირი შპს ,,ფ–მა“ დაიკავა თავდაპირველი მოვალის ადგილი. მითითებული 2017 წლის 30 იანვარის ხელშეკრულებით შპს ,,ფ–ი“ გახდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი, ხოლო რ. ფ-ა და ქ. ჩ. კი, გავიდნენ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან.

36. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკსა და შპს ,,ფ-ს“ შორის არსებული ურთიერთობა იძლევა ვალის გადაკისრების სამართალურთიერთობის შემადგენლობას და ექცევა სსკ-ის 203-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში.

37. სსკ-ის 254-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. სახელშეკრულებო გირავნობა იყოფა მფლობელობით და რეგისტრირებულ გირავნობად. მფლობელობითი გირავნობის დროს, ადგილი აქვს დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის ზეპირი ან წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებას გირავნობის დადგენის შესახებ (გირავნობის ხელშეკრულება) და მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემას (257 I). რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა საჭირო არ არის. რეგისტრირებული გირავნობის დროს პუბლიკაცია მიიღწევა გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში (სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის შემთხვევაში-სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში) რეგისტრაციის გზით. თავად გირავნობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით (258 I). აღნიშნული ფორმის დაუცველობის შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია. გირავნობის უფლების ძირითადი საგანია მოძრავი ნივთები, რომლებიც წარმოადგენს გარე სამყაროს სივრცობრივად შემოფარგლულ მობილურ სხეულებრივ საგნებს. გარდა

მოძრავი ნივთებისა, გირავნობის საგანს წარმოადგენს ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელსაც მიეკუთვნება გასხვისებადი ქონებრივი ხასიათის მოთხოვნები და უფლებები (152). მოთხოვნების (უფლებების) დაგირავება ხდება მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის ფორმით (259 I და II). სსკ-ის 152-ე მუხლი შეიცავს არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ზოგად განმარტებას. ნორმის მიხედვით, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის უფლებები და მოთხოვნები, რომელთა მიზანია მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიანიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს განეკუთვნება ასევე წილები და აქციები. სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს წილის დეფინიციას და მას არც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს. წილი ეწოდება პარტნიორის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას საზოგადოებაში, რომელიც პირს აქვს საზოგადოების წევრობიდან გამომდინარე. პარტნიორის წილი განისაზღვრება მის მიერ საზოგადოების კაპიტალში განხორციელებული შენატანების შესაბამისად. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა. შესაბამისად, წილი გამოხატავს პარტნიორის უფლებას მიიღოს საზოგადოების მართვაში მონაწილეობა. არამატერიალური ქონებრივი სიკეთის კიდევ ერთ განმარტებას შეიცავს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლი, რომლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიეკუთვნება წილები და აქციები, ასევე ყველა ის მოთხოვნა და უფლება, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მის მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელიან/და მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს რაიმე სხვა პირებს.

38. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2015 წლის 06 ნოემბერს M-ი (მ–ი) და ბანკს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული იქნა M-ი (მ–ი) არამატერიალური აქტივი - A-ს 10%-იანი წილი. 2016 წლის 22 აგვისტოს M-ს (მ–ი) და ბანკს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული იქნა M-ს (მ–ი) არამატერიალური აქტივი - მოპასუხის 10%-იანი წილი.
39. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს წილზე გირავნობის წარმოშობისათვის სავალდებულო იყო სამეწარმეო რეესტრში გირავნობის რეგისტრაცია, რაც საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება.
40. შესამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ ბანკს M-ი (მ–ი) სახელზე რეგისტრირებულ საწარმოს წილებზე, არ წარმოშობია გირავნობის უფლება.
41. სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის

რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

42. მოცემულ შემთხვევაში, ბანკსა და შპს ,,ფ-ს“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზე რ.ფ-ასა და ქ.ჩ–ს ვალი იკისრა შპს ,,ფ–მა“ და ამგვარად, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში დაიკავა თავდაპირველი მოვალის ადგილი.

43. სსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის, მოვალის პიროვნება მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფის საშუალებების გაცემას იგი დამოკიდებულს ხდის მოვალის გადახდისუნარიანობაზე და იმ ნდობაზე,რომ მოვალე თავის ვალდებულებებს შეასრულებს. კანონი ითვალისწინებს უზრუნველყოფის გამცემი პირის განსაკუთრებულ ინტერესებს და ადგენს, რომ თავდებობა და გირავნობა წყდება, თუ თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მაშასადამე, ნორმის მიზანია თავდებისა და დამგირავებლის დაცვა. თავდებმა და დამგირავებელმა კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფაზე თანხმობა განაცხადეს მოვალის პიროვნების გამო. ისინი მას იცნობენ, მას ენდობიან, ამასთან, ენდობიან არა მარტო იმის გამო, რომ იგი შეასრულებს ვალდებულებებს, არამედ იმისათვის, რომ იგი გადახდისუნარიანია. ეს რწმენა იკარგება, როდესაც ხდება ვალის გადაკისრება. ახალი მოვალე შეიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი ან გადახდისუუნარო. მეტი შესაძლებლობა იქმნება, რომ დადგეს აქცესორული უფლებების რეალიზაციის საკითხი. იკვეთება თავდებისა და დამგირავებლის ინტერესების დაცვის აუცილებლობა. მესაკუთრის თანხმობის აუცილებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 286-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში. იმის გამო, რომ ამ დროს პრაქტიკულად საფრთხე შეიძლება შეექმნას კრედიტორის ინტერესებს, კანონი ითვალისწინებს კრედიტორის სავალდებულო თანხმობას. იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნის პირადი მოვალე და მესაკუთრე განსხვავებული პირები არიან, მოთხოვნის შეცვლით შეიძლება საფრთხე დაემუქროს მესაკუთრეს. მან ქონება ერთი კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ჩადო და არა სხვა მოთხოვნის. ამიტომ კანონის მის თანხმობასაც ითვალისწინებს. უფრო ზუსტად, მოთხოვნის შეცვლის შესახებ უნდა შეთანხმდნენ მესაკუთრე და კრედიტორი. ეს შეთანხმება შეცვლილ მოთხოვნასთან რეგისტრაციაში ერთად უნდა გატარდეს. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადების დროს შპს ,,ს“-ის მხრიდან თანხმობა გაცხადებული არ

ყოფილა და შესაბამისად არც შეთანხმების რეგისტრაცია განხორციელებულა საჯარო რეესტრში.

44. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, აუცილებელი იყო მესაკუთრის შპს ,,ს"-ისა და იპოთეკარის - ბანკის შეთანხმება, რადგან (მესაკუთრის) უძრავი ნივთი სხვა მოვალის (შპს ,,ფ–ის") უზრუნველსაყოფად უნდა გამოყენებულიყო, რასაც ადგილი არ ჰქონია.
45. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბანკის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.
46. გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარმოადგინა ბანკმა (მოსარჩელე/ პირველი აპელანტი/ პირველი კასატორი) და მოპასუხემ (მეორე აპელანტი/მეორე კასატორი).
47. პირველმა კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.
48. მეორე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოპასუხის ნაწილში.
49. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ დარღვეულია სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, აგრეთვე საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, ტ.3.ს.ფ.26-51).
50. პირველი კასტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევა გამოიხატა, 2017 წლის 30 იანვარს გაფორმებული 2... ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების, არასწორად განმარტებაში.
51. პირველი კასატორი მიუთითებს, საქმეზე უდავო ფაქტობრივ გარემოებად არის დადგენილი , რომ „2017 წლის 30 იანვარს ბანკს, რ.ფ–ას, ქ.ჩ–ს და შპს ,,ფ–ს" შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები N...., რომლის მიხედვით შპს ,,ფ–ი" გახდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი, ხოლო რ.ფ–ა და ქ.ჩ. გავიდნენ დასახელებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან." აღნიშნულით მხარეები შეთანხმდნენ, რომ: „მხარეთა გადაწყვეტილებით, შპს „ფ-ს ნ–ი" გახდეს გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი (სოლიდარული მოვალე/თანამსესხებელი) და მასზე სრულად გავრცელდეს ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის (მათში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით) ყველა პირობა და ნორმა." სსკ-ის 463-ე მუხლის მიხედვით „თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს." ამავე კოდექსის 464-ე მუხლის მიხედვით კი - „სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით,

კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით“. წარმოდგენილი ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ შპს „ფ–მა“ სხვა მსესხებლებთან ერთად სოლიდარულად იკისრა ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამასთან, გასათვალისწინებელია, ის ფაქტიც, რომ 2017 წლის 30 იანვრის ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით: „მხარეთა შეთანხმებით მოხდეს რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს გასვლა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან და მათზე აღარ გავრცელდეს ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები და ნორმები.“ სსკ-ის 449-ე მუხლის მიხედვით „ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს.“ ამდენად, ის ფაქტი, რომ რ.ფ–ა და ქ.ჩ. ბანკის თანხმობის საფუძველზე გავიდნენ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებიდან და მათ მიმართ აღარ გავრცელდა დასახელებული ხელშეკრულებების პირობები, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადგილი ჰქონდა მხარეთა შორის ვალის გადაკისრების ხელშეკრულების გაფორმებას. შესაბამისად, პირველ კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშრებით, თითქოს 2017 წლის 30 იანვრის ხელშეკრულებით რ. ფ-ამ და ქ.ჩ–მ, ბანკის წინაშე არსებული ვალდებულება გადააკისრეს შპს „ფ-ს“.

52. პირველი კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბანკსა და შპს ,,ფ“-ს შორის არსებული ურთიერთობა იძლევა ვალის გადაკისრების სამართალურთიერთობის შემადგენლობას და ექცევა სსკ-ის 203-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მითითებული არგუმენტაცია დატოვა შეფასების გარეშე და განჩინების 33-ე გვერდზე გაკეთებული კომენტარით შემოფარგლა და მიუთითა, რომ: „ვერ იქნება გაზიარებული ბანკის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახეზე არ არის ვალის გადაკისრების შემთხვევა“. სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა, პირველი კასატორის მითითებით, ერთი მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ მითითებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებასთან, ხოლო მეორე მხრივ, ეწინააღმდეგება ვალის გადაკისრების თაობაზე დოქტრინალურად განვითარებულ თეორიას, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსით რეგულირებულია ვალის გადაკისრების ორი საკანონმდებლო შემადგენლობა: მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება (სსკ-ის 203-ე მუხლი) და მოვალესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება ვალის გადაკისრების შესახებ (სსკ-ის 204-ე მუხლი). სსკ-ის 203-ე მუხლის შემადგენლობა ისეთივე ცხადია, როგორც კანონმდებლის ნება: ვალის გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება იდება მოთხოვნის მფლობელსა და ახალ მოვალეს შორის და იგი, როგორც წესი, არ საჭიროებს მოვალის თანხმობას. სსკ-ის 204-ე მუხლით ვალის გადაკისრება შესაძლებელია ასევე მოვალესა და მესამე პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება მოვალესა და მესამე პირს შორის იდება ზოგადი წესების თანახმად. ხელშეკრულების

მხარეებმა, ნება ვალის გადაკისრების შესახებ ნათლად უნდა გამოავლინონ. როგორც წესი, შესაძლებელია ნებისმიერი ვალდებულების აღება. ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია კრედიტორის თანხმობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია რა სამართლებრივი არგუმენტაციით ჩაერია სასამართლო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსსა და მხარეთა მიერ გამოხატულ ნებაში.

53. პირველი კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილია მთელი რიგი მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზიარებულ იქნება სასამართლოს პოზიცია იპოთეკის საგნის მესაკუთრის მხრიდან „ვალის გადაკისრების“ პირობებში დამატებითი თანხმობის საჭიროების თაობაზე, ასეთი თანხმობა რეალურად მხარეებს შორის არსებობდა.

54. პირველი კასატორი მიუთითებს სსკ-ის 50-ე მუხლსა და 327-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ 2014 წლის 24 დეკემბერს ბანკსა და შპს „ს“-ს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილ იქნა ძირითადი ხელშეკრულება - N .... გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, ამასთან, გათვალისწინებულ იქნა, რომ უზრუნველყოფა ვრცელდებოდა არსებული ან/და სამომავლო მოვალეების მიმართ. საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების შინაარსითაც დასტურდება, რომ ყველა პირობა არის ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად შეჯერებული, თავად ხელშეკრულების პირობები კი, არის ცალსახა და განჭვრეტადი, მათ შორის სამომავლო მოვალის უზრუნველყოფის ნაწილშიც. იპოთეკის საგნის მესაკუთრის მზაობა, რომ სამომავლო მოვალეების მიმართ გამოყენებულიყო შპს „ს“-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სასამართლო პრაქტიკათან. სსკ-ის 286-ე მუხლის მეორე ნაწილით იპოთეკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამომავლო მოთხოვნასთან დაკავშირებით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს, რომ იგი იდება ამ მიზნით.“ (იხ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინება, საქმეზე ას-1206-1135-2012). მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფის შემთხვევაში, კრედიტორის ვალდებულებას დამატებით, მოვლენის დადგომისას ხელახლა გააფორმოს ხელშეკრულება ან/და შეთანხმება და დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში.

55. პირველ კასატორს მიაჩნია, რომ იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას იმთავითვე ნათელი იყო, თუ სად გადიოდა იპოთეკის საგნის მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზღვარი, ხოლო სასამართლომ ისე უგულვებელჰყო ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ დაფიქსირებული ნება, რომ სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფაზე შეთანხმების ბათილობის საკითხი, მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან, დღის წესრიგში არც კი დაყენებულა.

56. რაც შეეხება იპოთეკის საგნის მესაკუთრის თანხმობას ვალის გადაკისრების შემთხვევაში, პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა „ვალის გადაკისრების“ შემთხვევაში, იმისათვის, რათა კრედიტორმა შესძლოს საკუთარი

მოთხოვნის იპოთეკის საგნის რეალიზაციით დაკმაყოფილება, აუცილებელ წინაპირობად მიიჩნიეს იპოთეკის საგნის მესაკუთრესა და კრედიტორს შორის შეთანხმების არსებობა - იპოთეკის საგნის მესაკუთრის თანხმობა კვლავაც უზრუნველყოს მოვალის ვალდებულება. პირველი კასატორის მოსაზრებით, სსკ-ის 206-ე მუხლით ცალსახად არის განსაზღვრული, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ გირავნობასა და თავდებობაზე და იპოთეკის მიმართ მისი ანალოგიით გამოყენება, დაუშვებელია.

57. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა იპოთეკის საგნის მესაკუთრის თანხმობაზე საუბრისას, საერთოდ ყურადღების მიღმა დატოვეს და არანაირი შეფასება არ მისცეს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: შპს „ს“-ს და სს „ს-ს“ შორის 2014 წლის 24 დეკემბერს იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს, შპს „ს“-ის 100%-იანი წილის მესაკუთრეს და დირექტორს წარმოადგენდა გ.შ-ე; შპს „ს“-ს და სს „ს-ს“ შორის 2014 წლის 24 დეკემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება ხელმოწერილია შპს „ს“-ის 100%-იანი წილის მესაკუთრის და დირექტორის გ.შ-ის მიერ; სს „ს-ს“, შპს „ფ–ს“, რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს შორის 2017 წლის 30 იანვარს ხელშეკრულების დადებისას, შპს „ფ–ის“ 100%-იანი წილის მესაკუთრეს და დირექტორს წარმოადგენდა გ.შ-ე; სს „ს-ს“, შპს „ფ-ს“, რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს შორის 2017 წლის 30 იანვარს ხელშეკრულების დადებისას, შპს „ს“-ის დირექტორს წარმოადგენდა კვლავაც გ.შ-ე, ხოლო კომპანიის 100 %-იანი წილი კი - 2016 წლის 1 დეკემბრის წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ჰქონდა შპს „ტ“-ს. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ როგორც იპოთეკის ხელშეკრულების, ასევე „ვალის გადაკისრების ხელშეკრულების“ (როგორც მას სასამართლო აფასებს), გაფორმებისას შპს „ს“-ის და შპს „ფ–ის“ ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა გ.შ-ე, მეტიც, ამ უკანასკნელის უშუალო მონაწილეობით მოხდა მხარეებს შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების დადება. შესაბამისად, მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ს“-ის მხრიდან არ იყო გამოთქმული თანხმობა, პირველი კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია.

58. პირველი კასატორის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება, რომლის მიხედვითაც „მეწარმე სუბიექტთან გარიგების დადება მუდმივად არ უნდა იყოს დაკავშირებული რისკთან, რომ დირექტორის უფლებამოსილება შესაძლოა შეზღუდული აღმოჩნდეს. მესამე პირი, რომელიც შედის საწარმოსთან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის ვალდებული, შეამოწმოს საწარმოს შიდაკორპორაციული დოკუმენტები. მესამე პირებს უნდა შეეძლოთ დამატებითი შემოწმებებისა და დოკუმენტაციის მოძიების გარეშე მიიჩნიონ, რომ საწარმოს დირექტორი უფლებამოსილია, დადოს გარიგება საწარმოს სახელით. შეუძლებელი იქნებოდა ეფექტიანი სამოქალაქო ბრუნვის არსებობა, თუ ყველა კონტრაჰენტს მოვთხოვდით გარკვეულიყვნენ კონკრეტული საწარმოს შიდა

პროცედურებში და საწარმოს ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნაში. ასეთი მიდგომა დააბრკოლებდა გარიგებების მარტივად და ეფექტიანად დადების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა მხარეების ტრანზაქციულ ხარჯებს.“ ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 16 ივლისის Nას-652-900-04 განჩინების მიხედვით განმარტებულია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.4 მუხლის თანახმად, დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. აღნიშნული ნორმის თანახმად, საწარმოს დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებულ იქნა გარიგება, რომელმაც გარკვეული ზიანი მიაყენა საზოგადოებას, ამოქმედდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლით დაწესებული ნორმა დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ საზოგადოების წინაშე. გარე ურთიერთობებში, ანუ მესამე პირებთან ურთიერთობებში გამგეობა და დირექტორატი შეუზღუდავია და არც შეიძლება შეიზღუდოს თავის წარმომადგენლობით უფლებებში. საზოგადოების შიგნით, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობაში კი იგი ვალდებულია მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ე.ი. იმ ფარგლებში რომლებიც დაწესებულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული ხელშეკრულებით. დირექტორის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ის არ იწვევს მათთან დადებული გარიგებების ბათილობას.“

59. „თანხმობის ფორმას“ რაც შეეხება პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ თანხმობა გამოხატული უნდა იყოს სავალდებულო ფორმით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თანხმობის გამოხატვის აუცილებლობას ითვალისწინებს კანონმდებლობა. შესაბამისად, თუ გარიგებისათვის იურიდიული ძალის მინიჭება დამოკიდებულია თანხმობაზე, ეს თანხმობა უნდა იყოს მოთხოვნილი კანონით. თუ მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო თანხმობის წარმოდგენა არ არის გაწერილი, წარმოუდგენელია პირს მოეთხოვოს ამგვარი თანხმობის მიღებაზე ზრუნვა.

60. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცვლილებას რაც შეეხება, პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ვალდებულების ცვლილებას. 2017 წლის 30 იანვრის ხელშეკრულებით, განხორციელდა მხოლოდ ახალი სუბიექტის შემოსვლა გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებაში, რაც არ უნდა იქნეს აღქმული მოთხოვნის ცვლილებად. ამდენად, არ შეცვლილა მოთხოვნა, არც მისი არსი და არც მისი ოდენობა. გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოვალის ცვლილების გაიგივება მოთხოვნის ცვლილებასთან კი, წინააღმდეგობაში მოვა არამხოლოდ სსკ-ის 286-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსთან, არამედ ზოგადად მოთხოვნის სამოქალაქო-სამართლებრივ განმარტებასთან. პირველი კასატორი აღნიშნავს,

რომ მოთხოვნის ცვლილებას კანონმდებელი უკავშირებს მოთხოვნის გაზრდას ან/და შემცირებას, ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მოთხოვნის წარმოშობას და ა.შ. განსახილველ შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების არცერთ პუნქტში ცვლილება არ შესულა, ვინაიდან, უცვლელი დარჩა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში გაცემულ კრედიტებსაც უზრუნველყოფდა იპოთეკა. ამდენად, პირველი კასატორისთვის გაუგებარია, რა ცვლილება უნდა წარედგინა კრედიტორს საჯარო რეესტრისათვის, როდესაც იპოთეკის ხელშეკრულების არც ერთ პუნქტს ე.წ „ვალის გადაკისრების“ ხელშეკრულება არ ეხებოდა.

61. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ გირავნობით დატვირთული აქტივის რეალიზაციაზე უარის თქმის საფუძვლები, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 14 თებერვლის განჩინების 35-ე გვერდზე მიუთითა, კერძოდ, „ს-ს“ M. L-ი (მ-ე ლ-ი) სახელზე რეგისტრირებულ საწარმოს წილებზე არ წარმოშობია გირავნობის უფლება.“ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიმეორა თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა საჭირო არ არის. რეგისტრირებული გირავნობის დროს პუბლიკაცია მიიღწევა გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში (სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის შემთხვევაში - სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში) რეგისტრაციის გზით. თავად გირავნობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით (258 I). აღნიშნული ფორმის დაუცველობის შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია. სს „ს–ი“ ვერ დაეთანხმება სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას, ვინაიდან, მხარეთა მიერ გამოხატულ იქნა ნება, რომ შპს "მ"-ს საკუთრებაში არსებული აქტივით უზრუნველყოფილიყო სს "ს-ს", რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს შორის 2011 წლის 5 იანვარს გაფორმებული N.... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები. აღნიშნული საკითხი არ არის სადავო. წინა ინსტანციების სასამართლოების მიერ დაუსაბუთებლად არ იქნა გაზიარებული მყარად დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის N2ბ/5318-15 გადაწყვეტილების მიხედვით - „კანონმდებლის რეალური მიზანი, რასაც მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენდა უძრავ ნივთებთან მიმართებაში უფლებათა საჯაროობის უზრუნველყოფა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა. პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, უძრავ ნივთებზე გარიგების დადებისათვის ამ გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულო პირობაა, თუმცა, ამგვარი რეგისტრაციის არარსებობა ხელშეკრულებას ავტომატურად იურიდიულ ძალას არ უკარგავს. იგი მოქმედებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის, მაგრამ ძალა ვერ ექნება მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ რა თქმა უნდა, მათთვის ცნობილი არ არის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, დავა

მიმდინარეობს უშუალოდ ხელშემკვრელ მხარეებს შორის, სწორედ, ამიტომ სადავო ხელშეკრულებები, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებული არ არის კანონის მოთხოვნათა დაცვით, არ ბოჭავს მოსარჩელეს წარადგინოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-343-326-2013). მითითებული განმარტება უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა ასევე №ას-797-764-2016 საქმეზე განჩინების მიღებისას. ხელშეკრულების შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის ნამდვილობა ეჭვქვეშ დგება მხოლოდ მესამე პირთან დავისას, წარმოუდგენელია, რეგისტრაციის არარსებობის ფაქტმა ხელშეკრულებას დაუკარგოს ძალა, აღნიშნული არ არის კანონმდებლის ნება, რომელმაც რეგისტრაციას დაუქვემდებარა გარკვეული ხელშეკრულებები.

62. პირველი კასატორის საპროცესო-სამართლებრივი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მომწესრიგებელი ნორმების გაუგებარი გამოყენებით, საფუძველი გამოაცალა სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, კანონმდებლობა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. გასაჩივრებული განჩინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გააზრებული გამოყენებული ნორმების მიზანი და უგულვებელყოფილი იქნა კეთილსინდისიერი მხარის ინტერესი. დავის არსიდან და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან გამომდინარე, იგი განხილული უნდა იქნეს, როგორც პრეცედენტის შემქმნელი გადაწყვეტილება სადავო საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ პრეცედენტული გადაწყვეტილების შექმნის პროცესში კი მნიშვნელოვანია გააზრებული იქნეს სადავო საკითხის მასშტაბურობა, ვინაიდან, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამართლის ძირითადი პრინციპების სწორად გააზრების გარეშე, ვიღებთ მართლწესრიგისა და ეკონომიკური სტაბილურობისათვის საფრთხის შემცველ გადაწყვეტილებას. საქმის განმხილველი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ფართოდ უნდა იაზრებდეს კანონმდებლის მიზანს და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არ უნდა იყოს სასამართლოს განჭვრეტადობისათვის საფუძვლის გამომცლელი. (იხ.დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, ტ.3.ს.ფ.31.).

63. მეორე საკასაციო პრეტენზია აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და დარღვევებზე:

64. მეორე კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, კერძოდ, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში - სსსკ-ის) 102-ე და 10-ე მუხლები და საქმის განხილვისას მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი.

65. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც, რომლის უფლებამოსილება ან კანონით გამომდინარეობს ან დავალების საფუძველზე, მაგრამ ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს მინდობილობაში. მეორე კასატორის განმარტებით, წესდების მიხედვით, მოპასუხის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა პარტნიორთა საერთო კრება, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებას სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფაზე და არა საზოგადოების გენერალური დირექტორი. შესაბამისად, 2014 წლის 18 თებერვლის სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება ვერ ჩაითვლება სამართლებრივი ვალდებულების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მოპასუხის დირექტორმა, რომელსაც წესდებით შეზღუდული ჰქონდა ამგვარ გარიგებაზე ხელის მოწერა და საჭიროებდა მინდობილობას.
66. მეორე კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა შპს „ფ–ის“ მიერ კრედიტის დაფარვის გრაფიკი, მაშინ, როდესაც ცნობა დავალიანების შესახებ მხოლოდ ცალმხრივად მიუთითებდა სარჩელით მოთხოვნილი ფულადი თანხის ოდენობას. ამასთან, მოსარჩელემ არ მიუთითა ვალდებულების დარღვევის ზუსტი პერიოდი, ასევე ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა, რომ მოპასუხეს გაეგზავნა და ჩაბარდა გაფრთხილების წერილები, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. ამას ადასტურებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის დოკუმენტები.

სამოტივაციო ნაწილი:

67. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 აპრილის განჩინებით პირველი საკასაციო საჩივარი, ხოლო 2019 წლის 13 მაისის განჩინებით მეორე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.
68. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინებით პირველი საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის

საფუძვლებით, ხოლო მეორე საკასაციო საჩივარი კი -სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

69. **საქმეზე ჩატარდა სამი ზეპირი სხდომა 2019 წლის 23 ოქტომბერს, 15 ნოემბერს და 21 ნოემბერს.** საკასაციო პალატამ მხარეებს რამდენჯერმე შესთავაზა დავის მორიგებით დასრულება, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

70. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოაწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

71. მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ:

72. ბანკს, რ.ფ–ას და ქ.ჩ–სშორის 2011 წლის 05 იანვარს გაფორმდა N.... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება, საკრედიტო ხაზის მოცულობად განისაზღვრა 5 000 000 აშშ დოლარი. 2014 წლის 26 თებერვალს მხარეთა შეთანხმებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნული გენერალურ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში და საკრედიტო ხაზის მოცულობა განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით. 2015 წლის 24 ივნისს მხარეთა შეთანხმებით კიდევ ერთხელ იქნა შეტანილი ცვლილება საკრედიტო ხაზის მოცულობაში და განისაზღვრა 40 000 000 აშშ დოლარით.

73. 2014 წლის 24 დეკემბერს ბანკს და შპს ,,ს“-ს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა უზრუნველყოფილი მოთხოვნები და მათი საფუძვლები. ხელშეკრულების შესაბამისად, იპოთეკით დაიტვირთა: ქ–ი, ... N6, რესტორან „ა“-სა და ფ. „ვ“-სათვის დამაგრებულ ნაკვეთებს შორის, (ნაკვ. 2/1) მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 1540.00 კვ.მ ს/კ ... (იპოთეკის პირველი საგანი); - ქ–ი, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, (ნაკვ. #.../ქალაქი თბილისი, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, ს-ის სახელობის ს- #1 (რესტორან ა–ის მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთ. #2....)/ქალაქი თბილისი, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, ს-ის სახელობის ს. #1 (რესტორან ა–ის მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი #2/21) მიწის ნაკვეთის დაზუსტებული

ფართობი 2177.00 კვ.მ ს/კ .... (იპოთეკის მეორე საგანი); - ქ–ი, მდ. მ-ის მარჯვენა ს-ზე, თ. მ-ს ხიდსა და რესტორან ,,ა-ს“ შორის, ც-სა და ყოფილ რესტორან ,,ა-ს“ შორის, თ.მ-ს გამზირსა და ც-ის ასასვლელი გზის კუთხეში, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 8001.00 კვ.მ ს/კ .... (იპოთეკის მესამე საგანი);

74. 2015 წლის 06 ნოემბერს M-სა (მ–ი) და ბანკს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებით ბანკის სასარგებლოდ დაგირავდა M-ის არამატერიალური აქტივი - A. S.A-ს 10%-იანი წილი (გირავნობის პირველი საგანი); - 2016 წლის 22 აგვისტოს M-ს (მ--ი) და ბანკს შორის გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკის სასარგებლოდ დაგირავდა გირავნობის მეორე საგანი - M-ის არამატერიალური აქტივი - შპს ,,რ“-ს 10%-იანი წილი. (გირავნობის მეორე საგანი) (იხ. ტ.1.ს.ფ.85-104; 105-112).
75. 2014 წლის 18 თებერვლის N.....სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით მეორე კასატორმა (მოპასუხემ) 2011 წლის 05 იანვრის N... ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 2 500 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად იკისრა მითითებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. (იხ.ტ.1.ს.ფ.50-55).
76. 2011 წლის 05 იანვრის N.... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკსა და რ.ფ–ასშორის 2015 წლის 24 ივნისს გაფორმდა N ..... საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მსესხებელზე გაიცა სესხი 17 500 000 აშშ დოლარის ოდენობით, სარგებლის წლიურად 12,5%-ის დარიცხვით, 36 თვის ვადით, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - 0,5%. (იხ.ტ.1.ს.ფ.44-45, სესხის დაფარვის გრაფიკი - ს.ფ.46).
77. 2017 წლის 30 იანვრის N... სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით სს ,,...მა“ და სს „რ–ის ა-მა“ 2011 წლის 05 იანვრის N ... ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 35 000 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად იკისრეს მითითებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. (იხ.ტ.1.ს.ფ.122-127).
78. 2017 წლის 30 იანვარს ბანკს, რ. ფ-ას, ქ.ჩ–ს და შპს ,,ფ-ს“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები N...., რომლის მიხედვითაც შპს ,,ფ–ი“ გახდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი, ხოლო რ.ფ–ა და ქ.ჩ. გავიდნენ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან.
79. შპს ,,ფ-მა“ დაარღვია 2015 წლის 24 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც გამოიხატა მისი მხრიდან კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევაში. მსესხებელს წარმოეშვა სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის დავალიანება, აგრეთვე დაერიცხა პირგასამტეხლო.
80. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.04.2018 წლის გადაწყვეტილებით: ბანკის სარჩელი შპს ,,ფ–ი“-ის, შპს ,,რ–ი“-ის, სს ,,რ–ი“-

ის და სს ,,ე“-ის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; **ბანკის სარჩელი M-ს (მ–ი) და შპს ,,ს“- ის მიმართ არ დაკმაყოფილდა;** შპს ,,ფ-ს“, შპს ,,რ-ს“, სს ,,ე-ს“ და სს ,,რ-ს“ ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2015 წლის 24 ივნისის N ..... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების - 19 717 897,41 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირი თანხაა - 17 500 000 აშშ დოლარი, პროცენტი 2 180 977,96 აშშ დოლარი, ჯარიმა-36 919,45აშშ დოლარი; შპს ,,ფ-ს“, შპს ,,რ-ს“, სს ,,ე-ს“ და სს ,,რ-ს“ სს ,,ს–ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სარჩელის შემოტანიდან - 2017 წლის 28 ნოემბრიდან, 2015 წლის 24 ივნისის N... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირ თანხაზე - 17 500 000 აშშ დოლარზე, 2018 წლის 19 თებერვლამდე, წლიური 12,5% სარგებლის გადახდა, რაც ყოველდღიურად შეადგენს 5 993,15 აშშ დოლარს; -შპს ,,ფ–ს“, შპს ,,რ-ს“, სს ,,ე-ს“ და სს ,,რ-ს“ ბანკის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სარჩელის შემოტანიდან - 2017 წლის 28 ნოემბრიდან, 2015 წლის 24 ივნისის N.... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირ თანხაზე - 17 500 000 აშშ დოლარზე, 2018 წლის 19 თებერვლამდე, წლიური 25% პირგასამტეხლოს გადახდა, რაც ყოველდღიურად შეადგენს 11986,30 აშშ დოლარს; **-შპს ,,რ–ის“ პასუხისმგებლობა თანხის დაკისრების ნაწილში განისაზღვრა 2 500 000 აშშ დოლარ**ით; თანხის დაკისრების ნაწილში დადგინდა, რომ გადაწყვეტილების მიქცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რაზედაც გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი.

81. **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელე ბანკისა (პირველი კასატორი) და სოლიდარული თავდების შპს „რ–ის“ (მეორე კასატორი) მიერ.**
82. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის განჩინებით ორივე სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.
83. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე *(საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა*), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორების შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, მან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით;
84. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა

კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

85. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა როგორც პირველი კასატორის, აგრეთვე მეორე კასატორის საკასაციო საჩივარები და მხარეთა პრეტენზიების საფუძვლიანობის შემოწმებას, მათ შორის, დავის ფაქტობრივი ნაწილის კვლევას სამი სხდომა მიუძღვნა, შესაბამისად, მტკიცებულებათა დონეზე შემოწმდა ყველა ის პრეტენზია, რომლებზე დაყრდნობითაც კასატორები მიიჩნევდნენ, რომ მიღებული გადაწყვეტილება იყო არასწორი.

86. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, **რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.**

87. საკასაციო სასამართლომ ზეპირი განხილვისას შეამოწმა სადავო გარემოებები და მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი პირველი საკასაციო საჩივრის ფარგლებში არ არის ფორმალურად გამართული, იგი არ შეიცავს დამაჯერებელ, ლოგიკურ დასაბუთებას იმ ფაქტების თაობაზე, რომლებსაც ემყარება მხარის მოთხოვნა. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მიერ ზეპირ განხილვაზე კასატორის მხრიდან მიღებული განმარტებებისა, **იგი შეზღუდულია პირველი ინსტანციის**

სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპის დასრულების დროისათვის წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

88. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების გაწევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (***იხ.*** *გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0- 31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I*). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (***იხ.*** *ჰაუსშილდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47;* ***დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ****, №42095/98, §30, ECHR 2000-X*). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (***იხ.*** *Case If Galstyan v, Armenia, საჩივარი no26986/0-*), რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, როგორც პირველ, აგრეთვე მეორე კასატორთან მიმართებით უზრუნველყოფილ იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, როგორც აღინიშნა, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

89. საკასაციო სასამართლოს სხდომებზე მიღებული განმარტებების შედეგად, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ **მოსარჩელე (პირველი კასატორი) საკასაციო საჩივრით სადავოდ ხდის გასაჩივრებული**

გადაწყვეტილების კანონიერებას მხოლოდ იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციაზე უარის თქმის ნაწილში. (იხ. პირველი საკასაციო საჩივარი).

90. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს პირველი კასატორისათვის (მოსარჩელე) იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციის მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი - კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (*ფორმალური გამართულობა*), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (*მტკიცების საგანი*) და გაანაწილოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (*მტკიცების ტვირთი*).

91. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

92. **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით,** რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

93. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. (**იხ**. *ჰ.ბოელინგი , ლ.ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.*) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (**იხ.** *ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).*

94. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

95. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის

საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი - კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

96. **შპს ,,ს“-მა 2017 წლის 25 დეკემბერს წარდგენილი მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით, სარჩელი დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი გარემოებების გამო:** მართალია მხარეებს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, თუმცა, მოპასუხის ქონება დაიტვირთა ფიზიკური პირების რ.ფ-ასა და ქ.ჩ–ს მიერ გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე გასაცემი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით და არა შპს ,,ფ–ის“ სესხის უზრუნველყოფისათვის. იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, შესაბამისად, იპოთეკის საგნის მესაკუთრე პირისათვის, რომელიც არ არის მსესხებელი, დიდი მნიშვნელობა გააჩნია, თუ ვინ წარმოადგენს მსესხებელ მხარეს. ქონების იპოთეკით დატვირთვისას მესაკუთრე ყოველთვის რისკის ქვეშ არის, რადგან უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ დგება მისი ქონება, რის გამოც ყოველი პირი, ასეთი ნაბიჯის გადადგმისას აფასებს, რამდენად კეთილსინდისიერია მსესხებელი და ამასთან ერთად, მისი ფინანსური მდგომარეობა იძლევა თუ არა კრედიტის დაფარვის შესაძლებლობას. შპს ,,ს“-ის დირექტორის და იმ დროს დამფუძნებელი პირის მიერ სწორედ რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს კეთილსინდისიერება და ფინანსური მდგომარეობა იქნა შეფასებული და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა არპირადი მოვალე იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიერ მსესხებლის ვალის უზრუნველყოფის მიზნით ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე თანხმობის გაცემა. სს“ ს–ის“ მიერ კი, ისე, რომ ამის შესახებ იპოთეკის საგნის მესაკუთრე შპს ,,ს“-ისათვის ცნობილი არ ყოფილა, მოხდა მოვალე პირების ჩანაცვლება, კერძოდ კი 2017 წლის 30 იანვარს რ. ფ-ასა და ქ.ჩ–ს ნაცვლად მოვალე მხარედ ჩაენაცვლა შპს ,,ფ–ი“, ისე რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ამაზე თანხმობა არ განუცხადებია. სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, ამისათვის საჭირო იყო მესაკუთრისა და კრედიტორის შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რაც არ განხორციელებულა. მითითებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ

იმგვარად, რომ სიტყვა „სხვა მოთხოვნა“ გულისხმობს მხოლოდ ახალი საფუძვლით თუ ახალი გარიგებით წარმოშობილ სხვა მოთხოვნას. აქ იგულისხმება ის შემთხვევაც, როდესაც იცვლება მოვალე პირი, ანუ მოთხოვნა წარდგენილია არა თავდაპირველი, არამედ ახალი მოვალის მიმართ. რადგან იპოთეკა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა და უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის მოვალის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამომდინარე იქიდან, რომ ურთიერთობების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მოვალის გადახდისუნარიანობაზე და ნდობაზე, რომ ის შეძლებს თავისი ვალდებულების შესრულებას. **ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ეცნობოს, რათა რეალურად შეფასებული იქნეს ახალი მოვალე პირი შეძლებს თუ არა ვალდებულების შესრულებას და მესაკუთრე ეთანხმება თუ არა უზრუნველყოს ახალი მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა.** სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი, სწორედ იპოთეკის საგნის მესაკუთრის დამცავი ნორმაა და სავალდებულოს ხდის მის თანხმობას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ ვისთან უნდა დადონ ხელშეკრულებები, ვინ იქნება მათი კონტრაქტორი მხარე და ვისთან უნდა შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობებში. მესაკუთრე, როდესაც ის არ არის მოვალე, სამართლებრივ ურთიერთობაში შედის როგორც კრედიტორთან, ასევე მოვალესთან. მას შეიძლება მომავალში იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნები წარმოეშვას მოვალესთან და შესაბამისად, **მესაკუთრის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება, თანაც ის, რომ არაფერი ჰკითხონ მოვალის ცვლილებასთან დაკავშირებით, არ გამომდინარეობს კანონიდან. ამას მოწმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ვალის გადაკისრებისას ანუ მოვალის ცვლილებისას, შეწყვეტილად ითვლება თავდებობა და გირავნობა და ამ კონტექსტში სრულიად წარმოუდგენელია არ იყოს გათვალისწინებული იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლებები, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც უძრავი ქონების დაცვის უფრო მარალ გარანტიებს აწესებს სახელმწიფო, თუნდაც საჯარო რესტრის არსებობით და კეთილსინდისიერი შემძენის ცნებებით.** სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესმა არ მოიცვა იპოთეკის ხელშეკრულება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იპოთეკის ხელსეკრულებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური ფორმა და გარიგების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საკმარისი ვერ იქნება მესკუთრის მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი, ან კონკლუდენტური ფორმის თანხმობის განცხადება, (რაც თავდებობისა და გირავნობისათვის საკმარისია) და ამიტომაც სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს, რომ საჭიროა ასევე რეესტრში რეგისტრაციაც. საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა და მისი განკარგვის საკითხი მესაკუთრის გარდა, სხვა პირის გადასაწყვეტი ვერ

იქნება. სს „ს–მა“ ისე შეცვალა მოვალე პირი, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის არ მიუცია შესაძლებლობა, შეეფასებინა ახალი პირის ქონებრივი შესაძლებლობები და მისი გადახდისუნარიანობა, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. ბანკი არ იყო უფლებამოსილი, ასე ჩარეულიყო შპს „ს“-ის უფლებებში. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სს „ს–ის“ მიერ მოხდა მოვალე პირის ცვლილება და ეს ცვლილება იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან არ შეუთანხმებია და არ დაურეგისტრირებია საჯარო რეესტრში, ნიშნავს, რომ კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე, შესაბამისად, ბანკის მოთხოვნა შპს „ფ–ს ნ–ის“ მიმართ არ არის უზრუნველყოფილი შპს „ს“-ის უძრავი ქონებით.

97. შპს ,,ს“-მა აგრეთვე მიუთითა, რომ მის მიერ მოძიებული იქნა ქართულ კანონმდებლობასთან ყველაზე ახლოს მდგომი სამართლის - გერმანიის სამოქალაქო კოდექსისი შესაბამისი ნორმები და აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლი ანალოგიურად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს, ვინაიდან მოვალის შეცვლა უზრუნველყოფის მიმცემისათვის (თავდები, დამგირავებელი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე) გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვინაიდან სრულიად შესაძლებელია, რომ ახალი მოვალე უფრო ნაკლებად გადახდისუნარიანი აღმოჩნდეს, ვიდრე თავდაპირველი მოვალე იყო.

98. შპს ,,ს“-ის მითითებით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების დროს წარმოდგენილი იქნა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, სადაც სესხის მაქსიმალურ მოცულობად მითითებული იყო კონკრეტული თანხა 5000000 მილიონი აშშ დოლარი და სწორედ ამ ფარგლებში გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულებაც; აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ნომერი და არ არის აღნიშნული, რომ მასში ცვლილებები იქნა შეტანილი რომელიმე სხვა დამატებითი შეთანხმებით, მაშინ როდესაც გირავნობის საგნის მესაკუთრე შპს „მ–თან“ გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებაში მითითებულია ყველა იმ შეთანხმების ნომერი და თარიღი, რომელიც გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების შემდეგ. ამის გათვალისწინებითაც არ უნდა მოხდეს შპა „ს“-ის ქონების რეალიზაცია მოსარჩელის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

99. შპს ,,ს“-მა მიუთითა, რომ შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ს–მა“ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში ახალი მოვალის ჩანაცვლებით უარი თქვა შპს „ს“-თან გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაზე, ამიტომაც არ არსებობს ქონების რეალიზაციის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. (იხ. დეტალურად შპს „ს“-ის შესაგებელი, ტ.1.ს.ფ. 237-250).

100. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამოწმებენ

გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. **თუ ასეთი შემოწმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.** იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

101. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (**შდრ.,** *სუსგ №ას-1338-2018,25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41).* **თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას.** სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

102. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება, ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული

სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა. (***იხ. დამატებით:*** *ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 132; ბიოლინგი ჰ.,/ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრემენი, 2004-2009, 14; ქოჩაშვილი ქ., მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, თბ,, 2012, 280; ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2011, 39; ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., 2009, 84;).*

103. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პ-1-2 აღნიშნულ პირველი კასატორის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებაზე და მიაჩნია, **რომ შპს „ს"-ის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მოწესრიგებას სსკ-ის 286-ე და 301-ე მუხლების საფუძველზე.**

104. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ცნობილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვანი შესრულების საშუალებებია. ისინი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება ისაა, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთული და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამიტომაცაა, რომ ისინი ყველაზე გავრცელებული უზრუნველყოფის საშუალებებია სამოქალქო ბრუნვაში. (***შდრ.*** *ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 44. Wiegand in Staundinge BGB Komm, §1204, Rn.3.4.*).

105. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მოვალე არ ასრულებს, ანდა არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა ზომის გამოყენებით აიძულოს მოვალე შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა დამოკიდებულია რაიმე ვალდებულების არსებობაზე, რომლის

შესრულების უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობენ. ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, წარმოადგენს მთავარ (ძირითად) ვალდებულებას, ხოლო მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს იპოთეკა. იპოთეკის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სსკ-ის 286-ე მუხლის I ნაწილში, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

106. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იპოთეკა უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებს განეკუთვნება. ერთი მხრივ, ის განმტკიცებულია სანივთო სამართალში, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს რეგისტრირებულ სანივთო უფლებას ინდივიდუალიზებულ და კონკრეტულ უძრავ ნივთზე. იპოთეკა, როგორც სანივთო უფლება, აფუძნებს სანივთო პასუხისმგებლობას, რომელიც დგება მესაკუთრის ბრალის მიუხედავად ***(შდრ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ.63. Lüke, Sachenrecht, 2.Aufl.,2010, §18,Rn. 674).***

107. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ როგორც გირავნობის, ისე იპოთეკის შემთხვევაში, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს განსაზღვრული ნივთი. მაგრამ, თუკი გირავნობის დროს მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება მოძრავი ნივთით ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთით, იპოთეკის დროს მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება მხოლოდ უძრავი ნივთით. სკ-ის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. იპოთეკის უპირატესობა არა მხოლოდ იმაშია, რომ იპოთეკარს (კრედიტორს) კონკრეტული უძრავი ნივთიდან შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, არამედ იმაშიც, რომ მას სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში შეუძლია მიიღოს დაკმაყოფილება **(იხ. დამატებით:** თ. შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, 22). წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება სახელშეკრულებო და კანონისმიერი იპოთეკა **(იხ. დამატებით:** ლ. ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 1999, 18. ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 200-, 330; თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, თბ., 2014, 366; თ.ზარანდია, სანივთო სამართლის საფუძვლები - ქონება, მფლობელობა, საკუთრება, თბილისი, 2016).

108. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები.

109. პირველი კასატორის (მოსარჩელე) ერთ-ერთი პრეტენზია შეეხება მოდავე მხარეთა შორის 2017 წლის 30 იანვარს გაფორმებული 2... ხელშეკრულების დამატებითი პირობების სამართლებრივი ბუნების სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორ განმარტებას. კასატორი აღნიშნავს, საქმეზე უდავო ფაქტობრივ გარემოებად არის დადგენილი, რომ 2017 წლის 30 იანვარს ბანკს, რ. ფ-ას, ქ.ჩ–ს და შპს ,,ფ–ს" შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობები N2...., რომლის მიხედვით შპს ,,ფ–ი" გახდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი, ხოლო რ.ფ. და ქ.ჩ. გავიდნენ დასახელებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან." აღნიშნულით მხარეები შეთანხმდნენ, რომ: „მხარეთა გადაწყვეტილებით, შპს „ფ-ს ნ-ი" გახდეს გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი (სოლიდარული მოვალე/თანამსესხებელი) და მასზე სრულად გავრცელდეს ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის (მათში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით) ყველა პირობა და ნორმა." სსკ-ის 463-ე მუხლის მიხედვით „თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს." ამავე კოდექსის 464-ე მუხლის მიხედვით კი - „სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. წარმოდგენილი ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ შპს „ფ–მა" სხვა მსესხებლებთან ერთად სოლიდარულად იკისრა ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.51).

110. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, **საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სოლიდარული ვალდებულების თავისებურებებზე:**

111. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა უმეტესობა მარტივი სახისაა და როგორც წესი, მასში მონაწილეობს ერთი კრედიტორი და ერთი მოვალე. როგორც სსკ-ის 316-ე მუხლის დანაწესიდან ჩანს, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო მოდელიც, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში ერთი მოვალისა და ერთი კრედიტორის არსებობის პრეზუმფციიდან გამოდის. თუმცა თანამედროვე ეკონომიკურ-სამართლებრივ რეალობაში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა რთულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა მატების ტენდენცია, რომელშიც ერთ ან მეორე მხარეზე, ან ორივეზე

ერთდროულად რამდენიმე კრედიტორი ან მოვალე მონაწილეობს. სოლიდარული ვალდებულება ვალდებულებით - სამართლებრივ ურთიერთობებში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული და რთული სახეა. სოლიდარული ვალდებულება მოვალეთა სიმრავლის ყველაზე უსაფრთხოა სახეა კრედიტორისათვის, რადგან მას თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს ერთი ან რამდენიმე მოვალე და შეეცადოს მოთხოვნის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. სოლიდარული ვალდებულება კრედიტორს არა მარტო მოთხოვნის სწრაფი დაკმაყოფილების შესაძლებლობას ანიჭებს, არამედ მოთხოვნის უზრუნველყოფასაც გულისხმობს. *(**შდრ.** ირ. რობაქიძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 463, ველი2. www.gccc.ge).*

112. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სოლიდარული ვალდებულების არსებობა (კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე) რამდენიმე წინაპირობას უკავშირდება: **უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა.** ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვალდებულების რომელ მხარეზე მონაწილეობს სოლიდარულად რამდენიმე პირი, თითეულს ერთი და იმავე მოვალის მიმართ შეიძლება გააჩნდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ანდა თითოეულ მათგანს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ დაეკისროს ვალდებულების შესრულების ვალდებულება.

113. სწორედ ის ფაქტი, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში მონაწილე რამდენიმე პირთაგან თითოეულს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება, ანდა თითოეული მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, განასხვავებს სოლიდარულ ვალდებულებას წილადი ვალდებულებისაგან. ვალდებულებაში წილობრივად მონაწილე ნებისმიერ პირს ვალდებულების შესრულება მხოლოდ კუთვნილი წილის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს და შესაბამისად, მას მხოლოდ ამ წილის ოდენობით ეკისრება შესრულების ვალდებულებაც. შესაბამისად, წილადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორი იმ შემთხვევაშიც შეძლებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როდესაც მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალე აღმოჩნდება გადახდისუნარიანი. შედეგად სოლიდარულ მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულების შემდეგ, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ, სსკ-ის 473-ე მუხლიდან გამომდინარე, რჩება მხოლოდ უკუმოთხოვნა. ეს მოთხოვნა კი სუსტი ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნაა, რადგან მისი განხორციელება დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული.

114. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები შესაძლებელია ორ ნაწილად დავყოთ - „გარე“ და „შიდა“ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებად და მოვალეობებად. „გარე“ ურთიერთობა გულისხმობს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს ვალდებულების მეორე მხარის მიმართ გააჩნია. რაც შეეხება

შიდა ურთიერთობას, იგი ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს მოიცავს ერთმანეთთან მიმართებაში. როგორც წილადი, ასევე სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში ვალდებულების არსიდან ნათლად გამომდინარეობს წილობრივად, ანდა სოლიდარულად მონაწილე თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობათა ოდენობა „გარე“ ურთიერთობაში. განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე ვალდებულებაში მონაწილე ამ რამდენიმე სუბიექტის „შიდა“ ურთიერთობასთან დაკავშირებით. „გარე“ ურთიერთობაში წილობრივი ან სოლიდარული უფლებამოსილება თუ ვალდებულება იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ როგორ აქვთ მოწესრიგებული „შიდა“ ურთიერთობები ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს. შესაბამისად, შესაძლებელია ვალდებულებაში სოლიდარულად, ანდა წილობრივად მონაწილე პირებს „შიდა“ ურთიერთობა სრულიად განსხვებულად ჰქონდეთ დარეგულირებული. „შიდა“ ურთიერთობა მხოლოდ „გარე“ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ხდება აქტუალური. სწორედ „შიდა“ ურთიერთობებით დადგენილი წილი განსაზღვრავს იმას, თუ საბოლოოდ ვინ რა ოდენობითაა ვალდებულების შესრულებაზე ვალდებული ანდა მის მიღებაზე უფლებამოსილი.

115. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სოლიდარული ვალდებულება პრაქტიკაში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული სახეა. სოლიდარულ მოვალეთა ცნებას კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლში აყალიბებს. ნორმის დანაწესით, თუკი რამდენიმე მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ისე, რომ თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ ერთჯერადი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, მათ სოლიდარული მოვალეები ეწოდებათ.

116. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. **უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი** ***(შდრ. სუსგ №ას- 164-158-2011, 01 აგვისტო, 2011).*** გარდა ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებულნი. კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს.

117. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. **აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერი მოვალისაგან თანაბრად უნდა შეეძლოს ვალდებულების მთლიანი ანდა ნაწილობრივი შესრულების მოთხოვნა.** (*შდრ. Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3,*

13. Aufl., 2010, §421, Rn.16). მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან დაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას ქმნიან. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ნიშნავს მთლიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასასრულსა და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულება ეკისრება. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მთლიანი ვალდებულების შესრულება, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბოლო კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია.

118. სოლიდარულ მოვალეებად არ ჩაითვლებიან პირები იმ შემთხვევაში, როდესაც მათ, მართალია, მსგავსი შესრულების ვალდებულება აკისრიათ კრედიტორის წინაშე, თუმცა მათ მიერ განხორციელებული შესრულება კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არ არის მიმართული.

119. კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (**UNIDROIT – International Institute for the Unification of Private Law**) მიერ შემუშავებულმა პრინციპებმა (**The UNIDROIT Principles for International Commercial Contracts**) ყურადღების მიღმა არ დატოვა სოლიდარული ვალდებულების განმარტების საკითხი. ეს ფაქტი მეტყველებს, სოლიდარული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშიც. კერძოდ, სოლიდარული ვალდებულება სახეზეა, როცა რამდენიმე მოვალე კრედიტორთან დაკავშირებულია საერთო ვალდებულებით: ა) ვალდებულება საერთოა (სოლიდარულია), როდესაც რამდენიმე მოვალიდან თითოეული, მთლიანადაა პასუხისმგებელი ნაკისრ ვალდებულებაზე; ბ) ვალდებულება წილობრივია, როდესაც თითოეული მოვალე პასუხისმგებელია მხოლოდ მისი, წინასწარ განსაზღვრული წილის შესაბამისად (11; Art. 11.1.1). (***შდრ.*** *International Institute for the Unification of Private law. 2016. ROME. "The Unidroit Pnciples of International Commercial Contracts".)*

120. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძვლით წარმოიშვას: **ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების საგნის განუყოფლობა (Numerus Clausus).** კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევები სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ მრავლადაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ზიანის დადგომაში მონაწილე პირების სოლიდარულ პასუხისმგებლობას აწესებს.

განსაკუთრებით ხშირია კანონისმიერი საფუძვლები საკორპორაციო სამართალში. მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების (კს) პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები), მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ საზოგადოების ვალდებულებისათვის სოლიდარულად. მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოშობილი ამხანაგობის ვალდებულებებისათვის ამხანაგობის წევრები პასუხს აგებენ სოლიდარულად (სსკ-ის 937 I-ლი მუხლი).

121. ვალდებულების საგნის განუყოფლობის გამო, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში. ამისათვის აუცილებელია ვალდებულების საგნის განუყოფადობა. სწორედ ვალდებულების საგნის განუყოფადობა იმთავითვე გამორიცხავს წილადი ვალდებულების არსებობას. თუმცა თავისთავად ის გარემოება, რომ რამდენიმე პირი განუყოფადი ვალდებულების შესრულებაზეა ვალდებული, არ განაპირობებს ამ პირების ავტომატურად სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევას. ვალდებულების საგნის განუყოფლობის შემთხვევაში, რამდენიმე მოვალე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სოლიდარულ მოვალეებად, როდესაც თითოეულ მოვალეს მთლიანი ვალდებულების შესრულება მარტომ შეუძლია რომ განახორციელოს *(**შდრ.** Gehrlein, in Bamberger/Roth BGb Komm. 3. Aufl., Band 1, §431, Rn.1; Looschelders, in Staudinger, BGB Komm. 2012, Buch II, §431,Rn.2., Böttcher, in Ermann BGB Komm.,15-e Aufl., 2017, §431, Rn.3.).* ვალდებულების საგნის განუყოფლობის მიუხედავად, სოლიდარული ვალდებულების არსებობა გამოირიცხება, თუ მოვალეებს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების განხორციელება მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით შეუძლიათ *(**შდრ.** Bydinski in MüKo.BGB, 6. Aufl., 2012, , §431, Rn.3.).*

122. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია ხელშეკრულება. იმისათვის, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვას, აუცილებელია, რომ რამდენიმე პირმა სოლიდარულად იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. სოლიდარულმა მოვალეებმა კრედიტორთან ხელშეკრულება შესაძლოა ერთდროულად ან ცალ-ცალკე გააფორმონ. შესაძლებელია სოლიდარული ვალდებულების შეთანხმების შემდეგ, კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთი მოვალე შემდეგ შევიდეს ვალდებულებაში სოლიდარულ მოვალედ (*__შდრ.__ Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, §421, Rn.6).* **მთავარია კრედიტორთან გაფორმებული შეთანხმება ნათლად ადასტურებდეს თითოეული მოვალის სურვილს - სხვა მოვალეებთან ერთად სოლიდარულად აგონ კრედიტორის წინაშე პასუხი.** (*__შდრ.__ Looschelders, in Staundinger, BGB Komm 2012, Buch II, §421, Rn.53).* სოლიდარული ვალდებულების შესახებ შეთანხმებას **იმ შემთხვევაშიც ექნება ადგილი, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ**

კრედიტორს საკუთარი სურვილისამებრ მთლიანად ანდა ნაწილობრივ შეუძლია ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, დანარჩენებსაც ათავისუფლებს შესრულების ტვირთისაგან. *(**შდრ.** K.Schreiber, Die Gesamtschuil, Jura 1989, s.354.).*

123. **საეჭვოობისას ხელშეკრულებისა და ნების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს.** ამ შემთხვევაში ხელშეკრულებისა (სსკ-ის 337-340-ე მუხლები) და ნების გამოვლენის განმარტების (სსკ-ის 52-ე მუხლი) წესების გამოყენებით, აგრეთვე სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელ ნორმათა მოხმობით უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ რამდენიმე პირის მიერ ვალდებულების შესრულება იქნა შეთანხმებული, მოვალეთა სოლიდარულ მოვალეობად მიჩნევისათვის არაა საკმარისი და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა გარემოებები. **სოლიდარული ვალდებულების არსებობის განმარტების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოვალეთა ნება, ვალდებულების შესრულებით სხვა მოვალეებიც გაათავისუფლოს ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.** *(**შდრ.** Böttcher L , in Ermann BGB Komm.,15-e Aufl., 2017, §421, Rn.20).*

124. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში განთავსებულ 2017 წლის 30 იანვრით დათარიღებულ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობების **№... (იხ. ტ.1, ს.ფ.43**), მე-3-ე პუნქტით გათვალისწინებულ, მხარეთა დამატებით შეთანხმებულ პირობებზე, კერძოდ: ***3.1 ქვეპუნქტი*** *- „მხარეთა შეთანხმებით შპს „ფ–ი“ გახდეს გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კლიენტი (სოლიდარული მოვალე/თანამსესხებელი) და მასზე სრულად გავრცელდეს ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის (მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) ყველა პირობა და ნორმა“.* ***3.2 ქვეპუნქტი*** *- „მხარეთა შეთანხმებით მოხდეს რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს გასვლა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან და მათზე აღარ გავრცელდეს ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები და ნორმები.*

125. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ **ხელშეკრულებათა** განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

126. ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსესუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

127. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. **თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ.** მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

128. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს. ***(ხელშეკრულების განმარტების საკითხებზე იხ., სუსგ №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).***

129. საკასაციო პალატა მიუთითებს, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას, უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო გამოცდილებას მოცემულ საქმეზე გავლენა ვერ ექნება და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის - სახელმწიფოს

სახელით მიღებული გადაწყვეტილების დაფუძნება უმართებულოა. თუმცა გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, ყურადსაღებია. ერთ-ერთ საქმეზე გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა: „მოსარჩელის მოთხოვნის უფლების არსებობა აგრეთვე ვერ დადგინდება ხელშეკრულების დამატებითი განმარტების გზით, ვინაიდან ხელშეკრულება არ შეიცავს გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზს. მსგავსი ხარვეზი ხელშეკრულების პირობების გაწერისას სახეზეა, როდესაც მხარეებს გამორჩებათ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი, ან შეგნებულად ღიად დატოვებენ მას, ვინაიდან ხელშეკრულების დადების მომენტში, არ მიიჩნიეს, რომ საჭირო იყო მისი განსაზღვრა, ხოლო მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ მათი ეს ვარაუდი არასწორია. ამასთან გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზზე საუბრობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ შეიცავს პუნქტს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს მხარეთა იმ შეთანხმებული გეგმის განხორციელება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ პუნქტს, და რის გამოც ხელშეკრულების სრულყოფის გარეშეც ვერ მივიღებთ ჯეროვან, მხარეთა ინტერესების შესატყვის გამოსავალს..... ის, თუ რამდენად არის სახეზე გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზი, ამის დადგენა შესაძლებელია ხელშეკრულების განმარტების გზით.....“ (იხ. ამონარიდი გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 20.04.2017 – VII ZR 194/13 – NJW 2017, 2025). ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრული და არა გამოთქმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ „ბოლომდე უნდა იფიქროს“ იმასთან დაკავშირებით, თუ სავარაუდოდ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მხარეთა სურვილი. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება [10.11. 1999 – I ZR 183/97 – NJW 2000, 743]: „ხელშეკრულების დამატებით განმარტების არსი მდგომარეობს ხარვეზის შემცველი გარიგების მხარეთა ჰიპოთეტური სურვილის შესაბამისად განვრცობაში. ამასთან, სასამართლო უნდა ამოვიდეს იქიდან, თუ რაზე შეთანხმდებოდნენ მხარეები, როგორც კეთილსინდისიერი ხელშეკრულების მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მათი ინტერესების ჯეროვანი შეჯერების პირობებში, თუ მათ არ გამორჩებოდათ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი. არსებული ხარვეზები უნდა შეივსოს ხელშეკრულების დამატებით განვრცობის გზით იმგვარად, რომ „ბოლომდე იყოს ნაფიქრი“ კონკრეტული ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები (შდრ. BGHZ 84, 1, 7; 90, 69, 77; 135, 387, 392). აქედან გამომდინარე, მხარეთა ჰიპოთეტური ნების გამორკვევისას ხელშეკრულების დანარჩენი შინაარსისა და ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული სხვა გარემოებების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთა ფაქტობრივ ნებას, რამდენადაც შესაძლებელია მისი დადგენა....“. ***(შდრ. სუსგ №ას -1161-1116-2016, 12 ოქტომბერი, 2017).***

130. **საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ 2017 წლის 30 იანვრის შეთანხმებით ადგილი ჰქონდა სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არ წარმოშობილა სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება.** ვინაიდან, მოცემულ საქმეზე არ დასტურდება აღნიშნული ნორმით დადგენილი ისეთი საფუძვლის არსებობა, როგორიცაა კანონიდან ან ვალდებულების საგნის განუყოფლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, სახეზე არ არის არც ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმომშობი ფაქტობრივი შემადგენლობა.

131. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე თავდებობის ხელშეკრულებისა და სოლიდარული ვალდებულების ურთიერთმიმართების საკითხზეც. თავდებობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

132. თავდებობა მიეკუთვნება მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას. იგი გახლავთ აქცესორული ხასიათის და პირდაპირ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების არსებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილენი არიან, ძირითადი ვალდებულების კრედიტორი და თავდები. თავდებობა შეიძლება იყოს: სუბსიდიური და სოლიდარული. სუბსიდიური თავდებობის შემთხვევაში, კრედიტორი არ არის უფლებამოსილი, ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მიმართოს თავდებს, თუ მან ძირითადი მოვალის მიმართ არ სცადა იძულებითი აღსრულება. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ძირითადი მოვალის მიმართ სასამართლოსადმი მიმართვის გზით შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები უშედეგო აღმოჩნდება, მას უფლება აქვს მიმართოს თავდებს ძირითადი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სუბსიდიური თავდებობა, თანამედროვე საქმიან ურთიერთობებში არაპრაქტიკულად მიიჩნევა და შესაბამისად ნაკლები დაინტერესებით გამოირჩევა.

133. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები, განსაკუთრებით საფინანსო ინსტიტუტები, ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ თავდებობის ისეთი ფორმა, რომელიც სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად იქცევა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და მისთვის ყველაზე ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენს. ამ დროს კრედიტორს შეუძლია შესრულების მოთხოვნით მიმართოს როგორც ძირითად მოვალეს, ასევე თავდებსაც ან/და რამდენიმე თავდებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

134. ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ სოლიდარული თავდებობა და თანათავდებობა. სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში, შესაძლებელია

თავდებს მოთხოვნა წაეყენოს ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულების მცდელობის გარეშე. რაც შეეხება ე.წ თანათავდებობას, ის ხასიათდება მხოლოდ ძირითად მოვალესა და რამდენიმე თავდებს (სოლიდარული მოვალეები) შორის წარმოშობილი ურთიერთობით. ეს ის შემთხვევაა, როცა რამდენიმე თავდები ერთიანდება ერთი და იმავე ვალდებულების უზრუნველყოფის გარშემო. ასეთ დროს მნიშვნელობა არ აქვს ისინი ამ ურთიერთობაში ერთობლივად ჩაებნენ თუ დამოუკიდებლად. სახეზე მაინც სოლიდარული ვალდებულება გვექნება და კრედიტორი უფლებამოსილი იქნება, შესრულება თითოეული მათგანისგან მოითხოვოს.

135. იმ შემთხვევაში, თუ თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები წინასწარ იქნება განსაზღვრული და ის ძირითად ვალდებულებაზე ნაკლები აღმოჩნდება, მაშინ საქმე გვაქვს არა სოლიდარულ, არამედ წილად ვალდებულებასთან. შესაძლებელია, რამოდენიმე სოლიდარულმა თავდებმა იკისროს ძირითადი ვალდებულების ნაწილის უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს უფლება ექნება, ნებისმიერი თავდებისგან მოითხოვოს იმ ოდენობის შესრულება, რაც მათ თანათავდებობით იკისრეს. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულების სრულ ღირებულებასთან მიმართებაში საქმე გვაქვს წილობრივ პასუხისმგებლობასთან, თანათავდებების მიერ ვალდებულების ნაკისრი წილის ფარგლებში, საქმე გვაქვს სოლიდარულ ვალდებულებასთან.

136. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი ყურადღებას ამახვილებს ძირითადი მოვალის გაფრთხილებაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევასა და ძირითადი მოვალის აშკარა გადახდისუუნარობაზე. აღნიშნული ნორმის დანაწესი განხილული უნდა იქნეს, როგორც თავდების ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, რათა მისი უფლებები უსაფუძვლოდ არ შეილახოს. ერთ-ერთი თავდების მიერ კრედიტორის სრულად დაკმაყოფილება ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ თავდებებსაც. თუ ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს დარჩენილი ნაწილის და არა მთლიანი ვალდებულების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმები.

137. როდესაც თავდებობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ სოლიდარულ ვალდებულებაზეა საუბრი, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულებების გარდა, წარმოეშობათ რიგი უფლებები, რომელითაც ისინი კრედიტორის წინაში იცავენ თავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 899-ე მუხლის დანაწესი თავდებს ანიჭებს უფლებას, რომ კრედიტორს წაუყენოს ის შესაგებლები, რომელიც ძირითად მოვალეს ეკუთვნის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავდები არ კარგავს შესაგებელზე უფლებას, თუ მასზე ძირითადმა მოვალემ უარი განაცხადა. მოვალე ფიზიკური პირის გარდაცვალება, არ გამორიცხავს თავდების მიერ ზემოაღნიშნული შესაგებლით სარგებლობის უფლებას. განსხვავებულად რეგულირდება მემკვიდრისა და თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები. ძირითადი მოვალის

მემკვიდრე, პასუხს აგებს მხოლოდ სამკვიდროს აქტივის ფარგლებში, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო. ანუ გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრის მიმართ მოქმედებს შეზღუდული პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, ძირითადი მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე და ის მაინც იმ ფარგლებშია პასუხისმგებელი, რასაც თავდებობის ხელშეკრულება ითვალისწინებს. (***შდრ. სუსგ №ას-1172-2018, 08 თებერვალი, 2019; სუსგ №ას-171-160-2017, 18 აპრილი, 2017).*** შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 2017 წლის 30 იანვრის შეთანხმებით, ადგილი არ ჰქონია სოლიდარული თავდებობის წარმოშობას.

138. პირველი კასატორი მიუთითებს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2017 წლის 30 იანვრის ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით ადგილი ჰქონდა სსკ-ის 449-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, კერძოდ, „ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს.“ ამდენად, ის ფაქტი, რომ რ.ფ. და ქ.ჩ. ბანკის თანხმობის საფუძველზე გავიდნენ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებიდან და მათ მიმართ აღარ გავრცელდა დასახელებული ხელშეკრულებების პირობები, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადგილი ჰქონდა მხარეთა შორის ვალის გადაკისრების ხელშეკრულების გაფორმებას **(იხ. წინამდებარე განჩინების პ.52).**

139. საკასაციო პალატა იმ გარემოების გათვალისწინებით, რადგან განსახილველ საქმეში დადგენილია, რომ **მხარეთა შორის არ არის წარმოშობილი სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება, ამიტომაც მიზანშეწონილად არ მიიჩნევს** იმსჯელოს პირველი კასატორის მითითებული საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიების შედეგებზე. თუმცა საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორი ვალის პატიებით მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან, ხოლო დანარჩენების მიმართ იტოვებს მოთხოვნის უფლებას, **ასეთ შემთხვევაში დადგება შემდეგი სამართლებრივი შედეგი:** ის სოლიდარული მოვალე, რომელსაც კრედიტორის მხრიდან ვალი ეპატია, სრულად თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან და მის მიმართ აგრეთვე შეწყდება დანარჩენ მოვალეთა უკუმოთხოვნის უფლებაც (სსკ-ის 473-ე მუხლი). დანარჩენ სოლიდარულ მოვალეებს კი, თავის მხრივ, უწყდებათ ვალდებულება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ვალის პატიებით კრედიტორმა შესაბამისი სოლიდარული მოვალე გაათავისუფლა. გამომდინარე აქედან, კრედიტორს დარჩენილი სოლიდარული მოვალეებს მიმართ უნარჩუნდება მოთხოვნა ინ ნაწილში, რა ნაწილიც ნაპატიები ვალდებულების წილის გამოკლებით რჩება სახეზე, რომლის დაკმაყოფილების მიზნითაც, მას უფლება აქვს, მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს (**შდრ**. *გ.სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 449, ველი5, www.gccc.ge).*

140. **საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების სამართალურთიერთობის თავისებურებებზე:**

141. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ (პირადად) ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას ვალდებულებას – მოვალე თუ მესამე პირი. მისთვის მთავარია მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება (მაგ., დაუბრუნდეს ვალი). თუმცა, კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ე.წ. პირდაპირი კავშირი (vinculum iuris) არ ქრება საბოლოოდ და ცხადია, რომ რაღაც დოზით მუდამ იარსებებს. ***(იხ. დამატებით:*** *ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, 30-; Staudinger/Bittner §267, Rn 6; Palandt/Heinrichs, §267, Rn 4; Pruting/Jud, §267, S. 419-420; Münch Komm, BGB/Kruge, §267, Rn 1.).*

142. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 371 I მუხლის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც (**იხ.დამატებით:** ქ. მესხიშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 371, ველი 1. www.gccc.ge).

143. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი მოიცავს სამი სახის სამართალურთიერთობას. პირველ ჯგუფში შედის მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევები; მეორე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება ნებაყოფლობით; მესამე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შემთხვევები ნორმატიული აქტების ძალით.

144. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულება ხდება, როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი შეთანხმებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის. მოვალესა და მესამე პირს შორის შესრულების შესახებ შეთანხმების ფაქტი არ

ხელყოფს კრედიტორის ინტერესებს, რამეთუ კრედიტორის მოთხოვნის უფლება განისაზღვრება არა ამ შეთანხმებით, არამედ მისი მოვალესთან შეთანხმებით. (**შდრ.** *Weiler,* Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn 9. *Faust*, Burgerliches Gezetzbuch Allgemeiner Teil, 3 Auflage, 2013, S. 145).

145. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება კრედიტორისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს სხვადასხვაგვარი ფორმით. ხშირად მესამე პირი შესაბამის დოკუმენტებში (გადახდის ქვითარი, საგადასახადო დავალება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) მიუთითებს იმის შესახებ, რომ შესრულება ხდება მოვალის ნაცვლად. ზოგჯერ, მესამე პირი ან თვითონ მოვალე წერილობით ატყობინებს კრედიტორს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. დავის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, თუკი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევაში, კრედიტორს გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითებული იქნება იმ ვალდებულების შესახებ, რომელსაც მესამე პირი ასრულებს, ასევე მესამე პირის ზუსტი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი (გარიგება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.), და სხვა. ამით შემდგომში თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაურკვევლობა. (**შდრ.** *Ermann*(herausg.)/*Ebert*, §267, Handkommentar zum BGB, Band I, 13 Auflage, 2011, Rn 8.).

146. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის დაინტერესების პრეზუმფციიდან გამომდინარე, გამოყოფენ მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის სამ კონცეფციას: 1) პროკრედიტორული; 2) პრომოვალური; 3) მაბალანსირებელი.

147. ვალდებულებით სამართალში პროკრედიტორულ კონცეფციას იზიარებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მოვალის თანხმობა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებაზე საჭირო არ არის. უფრო მეტიც, მესამე პირს შეუძლია შეასრულოს მოვალის ნაცვლად ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოვალე ამის წინააღმდეგია ანდა უცნობია მისი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, მიიღოს ასეთი შესრულება, რომელიც იწვევს მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტას. ამგვარად, პროკრედიტორული კონცეფცია სრულ იგნორირებას უკეთებს მოვალის ნებასურვილს, რომლის უარიც მესამე პირის მიერ მის ნაცვლად ვალდებულების შესრულებაზე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ კრედიტორის მიერ. კრედიტორს შეუძლია, არ მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია, ასეთ შემთხვევაში კრედიტორი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.

148. პრომოვალური კონცეფცია ძირითადად იცავს მოვალის ინტერესებს, მოითხოვს რა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის

აუცილებელ თანხმობას ან მოწონებას. ეს მიდგომა ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით, ყველაზე გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. შესაბამისად, პრომოვალური კონცეფციის ამოსავალ წერტილს მოვალის ინტერესის დაცვა წარმოადგენს და მოვალის თანხმობის გარეშე შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას არაჯეროვან შესრულებად განიხილავს.

149. მაბალანსირებელი კონცეფცია მიზნად ისახავს შესაბამის სამართალურთიერთობაში მონაწილე სამივე პირის ინტერესების დაცვას და აგებულია გარკვეულ კომპრომისზე. ის შეიძლება ზოგადად დაყოფილ იქნეს სამ ძირითად მიდგომად: 1) პირველი მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მესამე პირს შეუძლია შეასრულოს მოვალის ნაცვლად ვალდებულება, ხოლო კრედიტორი ვალდებულია, მიიღოს შესრულება, თუკი მესამე პირს აქვს სხვისი ვალდებულების შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი (სსკ-ის 372-ე მუხლი); ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (მუხლი 7:106) ავალდებულებენ კრედიტორს, მიიღოს მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, იმის მიხედვით, გააჩნია თუ არა მესამე პირს შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი, შეასრულებდა თუ არა მოვალე ვალდებულებას ანდა, ცხადია, რომ იგი ვერ შეასრულებდა ვალდებულებას დათქმულ ვადაში; 2) მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მოვალეს შეუძლია, შეეწინააღმდეგოს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, თუკი მოვალე დაამტკიცებს, რომ ასეთი შესრულებით მას ზიანი ადგება (**შდრ**. *Principles of European Contract Law, Parts I and II, Ed. By Lando/Beale, 2000, P. 340.);* 3) მესამე მიდგომა დაკავშირებულია სუბროგაციის არარსებობასთან, თუკი შესრულება განხორციელდა მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე (სუბროგაცია – დამზღვევის უფლებების გადასვლა ზიანის ანაზღაურების შესახებ მზღვეველზე სსკ--ის 832-ე მუხლი).

150. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნას სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტისაგან, როგორიცაა ვალის გადაკისრება (სსკ-ის 203-ე მუხლი). ვალის გადაკისრება წარმოადგენს სანივთო-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც აბსოლუტურად ცვლის სამართლებრივი ურთიერთობის თავდაპირველ სუბიექტებს. გარდა ამისა, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი თანხმობას არ განაცხადებენ ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულებისას, უზრუნველყოფის საშუალებები ძალას არ კარგავენ და ისინი წარმოადგენენ მოვალის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის უფლების დაცვის რეალურ გარანტიებს. ***(იხ.დამატებით:*** *ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, გვ. 143).*

151. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის თითოეულ

მონაწილეს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ეკონომიკური თვალსაზრისით კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეასრულებს მოვალის ვალდებულებას (გადასცემს ნივთს, გადაიხდის საფასურს, ქირას, გასამრჯელოს, ვალს და ა.შ.). კრედიტორის უარი შესრულების მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ვალდებულების შესრულებას ახდენს არა მოვალე, არამედ მესამე პირი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. ამიტომაც ვალდებულებითი სამართლის ნორმები ავალდებულებს კრედიტორს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს მოვალის ნაცვლად მესამე პირისგან შეთავაზებული ვალდებულების შესრულება. ამასთან, კრედიტორის ეს მოვალეობა ვალდებულებითი ურთიერთობების შეფარდებითი ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს კრედიტორის ვალდებულებას მოვალის და არა მესამე პირის წინაშე. მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, ათავისუფლებს მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. მესამე პირის მიმართ მოვალის ვალდებულებები განისაზღვრება მასსა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობით (***იხ.დამატებით:*** *გ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 211.).*

152. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, **როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა კი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება,** მესამე პირს აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სსკ-ის 976 II გ მუხლის **თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე.** ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი ვალდებულების შესრულებისას შეცდომით ფიქრობდა, რომ ასრულებდა თავის ვალდებულებას, თუმცა კი შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულება არ წყდება და მესამე პირს შეუძლია მოვალეს წაუყენოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა სსკ-ის 371-ე, 976-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 986-ე მუხლების - ***პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება,*** *საფუძველზე.* მითითებული ნორმის მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება. (***იხ.დამატებით:*** *გ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, 305.)* ***(შდრ. სუსგ № ას- 1298-2018, 22 მარტი, 2019).***

153. **საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 2017 წლის 30 იანვრის მხარეთა შორის შეთანხმებიდან, არ გამომდინარეობს სსკ-ის 371-ე მუხლის დანაწესის გამოყენების შესაძლებლობა, რადგან არ მომხდარა მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება.**

154. საკასაციო პალატა 2017 წლის 30 იანვრით დათარიღებულ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი პირობების **№ ... (იხ. ტ.1, ს.ფ.43**) სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე გონივრული განსჯის შედეგად, **სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ აღნიშნული შეთანხმებით, ადგილი ჰქონდა სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებულ ე.წ. „პრივატული" ვალის გადაკისრებას (იხ. წინამდებარე განჩინების პპ.34-36), შემდეგ გარემოებათა გამო:**

155. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების თავდაპირველი მხარეები შეიძლება შეიცვალონ სხვა პირებით. ვალდებულებაში შეიძლება შეიცვალოს როგორც კრედიტორი, ასევე მოვალეც. კრედიტორის შეცვლას ეწოდება მოთხოვნის დათმობა, ანუ ცესია, ხოლო ვალდებული პირის შეცვლას კი ეწოდება ვალის გადაკისრება. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულებაში პირთა შეცვლასთან. (***იხ. დამატებით:*** *Flessner, Assignement in European Private international Law, Cambridge, Cambridge university press, 2008, P. 42).* **საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულია ვალის გადაკისრების ორი საკანონმდებლო შემადგენლობა:** 1) მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება 2) მოვალესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება.

156. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმისდა მიხედვით, თავისუფლდება თუ არა თავდაპირველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისაგან, **განასხვავებენ ვალის გადაკისრების ორ სახეს: 1) პრივატული ვალის გადაკისრება და 2) კუმულატიური ვალის გადაკისრება.** პრივატული ვალის გადაკისრების დროს, თავდაპირველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე. (სსკ-ის 203-ე მუხლი). რაც შეეხება კუმულატიური ვალის გადაკისრებას, ასეთ დროს თავდაპირველი მოვალე არ თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან, ხოლო მესამე პირი კი კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის მოვალის სახით (ე.წ. „ვალის დელეგირება"). (***იხ. დამატებით:*** *ზ. ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, თბილისი, 2004, გვ.115).*

157. სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. სსკ-ის 203-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ

შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული **ხელშეკრულების** (და არა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა) საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე და იგი, როგორც წესი, არ საჭიროებს მოვალის თანხმობას. (***იხ.დამატებით**: თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 198-199).* აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და შესაბამისად, კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, აუცილებელია ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს კრედიტორის ნება მასზედ, რომ მესამე პირმა მოვალის ადგილი დაიკავოს.

158. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 203-ე მუხლი გამორიცხავს **ე.წ. „ექსპრომისიის“** შესაძლებლობას, (როდესაც მესამე პირი, მართალია, კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებას კისრულობს, თუმცა, იგი თავდაპირველი მოვალის ადგილს კი არ იკავებს, არამედ თავდაპირველ მოვალესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.), კერძოდ, თუ დადგინდა ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობა სსკ-ის 203-ე მუხლის კონტექსტში, ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე მეტყველებს სსკ-ის 205-ე მუხლის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც, ახალ მოვალეს უფლება არა აქვს გაქვითოს ის მოთხოვნები, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე აპელირებს ასევე ამავე კოდექსის 206-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ამდენად, სსკ-ის 203-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, სახეზე უნდა იყოს კრედიტორსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულება. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ვალის გადაკისრება დასაშვებია კრედიტორსა და მესამე პირს შორის ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

159. განსახილველ შემთხვევაში, შპს ,,ფ-მა“ (ახალი მოვალე) 2011 წლის 05 იანვრის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის 24 ივნისს სს „ს-სა“ და რ.ფ–ას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულება N..... –ში, რომლის საფუძველზეც მსესხებლებზე გაიცა 17500000 აშშ დოლარი, კრედიტის ვადა 36 თვე, წლიური საპროცენტო განაკვეთი - 12,5%, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5% (იხ. ტ.2.ს. ფ.42, 3.1.2.), დაიკავა თავდაპირველი მოვალის - რ.ფ–ას ადგილი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ დავის

ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელშიც თვითონ მოსარჩელე აღნიშნავს, რომ რ.ფ. და ქ.ჩ. გავიდნენ მითითებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან.(იხ. ტ.1.ს.ფ.4, მე-2 ფაქტობრივი გარემოება), **შესაბამისად, გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ბანკსა და შპს ,,ფ-ს" შორის 2017 წლის 30 იანვრის შეთანხმება ექცევა სსკ-ის 203-ე მუხლის მოწესრიგების ფარგლებში.**

160. პირველი კასატორის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეები ეყრდნობიან მოქმედ სამართალს და არსებულ პრაქტიკას, რაც ვალის გადაკისრების შემთხვევაში ნიშნავს თავდებობის და გირავნობის შეწყვეტას, თუ სახეზე არ არის გირავნობის საგნის მესაკუთრის ან თავდების თანხმობა სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების თაობაზე. ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა კანონმდებლის ცალსახა ნება - სსკ-ის 206-ე მუხლის შინაარსი, რომელიც ასევე გამყარებულია აღნიშნული ნორმის კომენტარით. სააპელაციო სასამართლომ კი ფაქტობრივად დისკრიმინაციულად გამოაცხადა სსკ-ის 206-ე მუხლის დეფინიცია და განსაზღვრა, რომ გირავნობის საგნის მესაკუთრის და თავდების მიმართ მოქმედი რეგულაცია, აუცილებლად უნდა მოქმედებდეს იპოთეკის საგნის მესაკუთრეზეც. კანონის ანალოგიის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების დასადგენად, პირველ რიგში, უნდა განიმარტოს სსკ-ის 206-ე მუხლის სამართლებრივი ბუნება. დასახელებული მუხლის შინაარსით უდავოდ დასტურდება, რომ ნორმა ატარებს საგამონაკლისო ხასიათს. სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები), არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ანალოგიით **(იხ.დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, ტ.3.ს.ფ.45.).**

161. საკასაციო პალატა პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველ კასატორს აღნიშნული გარემოება არც სარჩელში, არც სასამართლოს მოსამზადებელ სხდომასა და არც სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტების ეტაპზე, (იხ.საქმის მასალები) არ მიუთითებია. თუმცა რადგან ზემოაღნიშნული საკასაციო პრეტენზია შეეხება სამართლის საკითხს, ამიტომაც საკასაციო პალატა დეტალურად იმსჯელებს განსახილველ შემთხვევაში სსკ-ის 206-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

162. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 206-ე მუხლის სამართლებრივ დანაწესზე, რომლის თანახმად, „ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე". საკასაციო პალატის მოსაზრებით, კანონის ამგვარი დანაწესი განპირობებულია იმით, რომ უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის, მოვალის პიროვნება მნიშვნელოვანია როგორც გადახდისუნარიანობის, აგრეთვე ვალდებულების ჯეროვნად და

კეთილსინდისიერად შესრულების ნდობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სსკ-ის 206-ე მუხლის მიზანია, ვალის გადაკისრების შემთხვევაში თავდებისა და დამგირავებლის ინტერესების დაცვა. თავდები და დამგირავებელი (როდესაც ხდება მესამე პირის მოძრავი ნივთის ან/ და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დაგირავება შდრ. გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 254, ველი 9, თბილისი, 2018), კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფაზე თანხმობას აცხადებენ მოვალის პიროვნების გამო, რადგან მას ენდობიან არა მხოლოდ იმის გამო, რომ ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს, არამედ იმის გამოც, რომ არის გადახდისუნარიანი. ეს რწმენა იკარგება ვალის გადაკისრების შემთხვევაში, რადგან ახალი მოვალე შეიძლება აღმოჩნდეს არაკეთილსინდისიერი ან გადახდისუუნარო და ასეთ შემთხვევაში, მაღალია აქცესორული უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა, ამიტომაცაა გათვალისწინებული სსკ-ის 206-ე მუხლით თავდებისა და დამგირავებლის ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ვალის გადაკისრების შემთხვევაში აქცესორული უფლებების შეწყვეტით, კანონმდებელი კრედიტორის ინტერესის ერთგვარ იგნორირებას ახდენს, თუმცა ეს განპირობებულია იმით, რომ ვალის გადაკისრება მოხდა კრედიტორის თანხმობით და მისთვის ცნობილი იყო გადაკისრების სამართლებრივი შედეგები (**შდრ.** ზ. ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2010, გვ.133).

163. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი ითვალისწინებს ვალის გადაკისრებისას თავდებობისა და გირავნობის შეწყვეტას, ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე თავდებისა და დამგირავებლის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში და, არაფერს ამბობს იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც უძრავი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე (სსკ-ის 286 I, 291-მუხლი) - სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, საჭიროა თუ არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ახალ მოვალესთან მიმართებით იპოთეკის ურთიერთობის გაგრძელებაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენს შპს „ს“ -ის მიმართ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაციის ნაწილში, ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს.

164. პირველი კასატორის პრეტენზია სწორედ იმას შეეხება, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ დაუშვებელია სსკ-ის 206-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება. კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ რაც შეეხება იპოთეკის საგნის მესაკუთრის თანხმობას ვალის გადაკისრების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მიუთითეს, რომ „ვალის გადაკისრების“ შემთხვევაში, იმისათვის, რათა კრედიტორმა შესძლოს საკუთარი მოთხოვნის იპოთეკის საგნის რეალიზაციით დაკმაყოფილება, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იპოთეკის საგნის მესაკუთრესა და კრედიტორს შორის შეთანხმების არსებობა - იპოთეკის საგნის მესაკუთრის თანხმობა კვლავაც უზრუნველყოს მოვალის ვალდებულება. დასახელებული მუხლის შინაარსით

უდავოდ დასტურდება, რომ ნორმა ატარებს საგამონაკლისო ხასიათს. სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები), არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ანალოგიით, სკ-ის 206-ე მუხლით კი ცალსახად არის განსაზღვრული, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ გირავნობასა და თავდებობაზე (იხ. საკასაციო საჩივარი. წინამდებარე განჩინების პ.56).

165. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის მსჯელეობაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის, მოვალის პიროვნება მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფის საშუალებების გაცემას იგი დამოკიდებულს ხდის მოვალის გადახდისუნარიანობაზე და იმ ნდობაზე,რომ მოვალე თავის ვალდებულებებს შეასრულებს. იმის გამო, რომ ვალის გადაკისრების დროს, პრაქტიკულად საფრთხე შეიძლება შეექმნას კრედიტორის ინტერესებს, კანონი ითვალისწინებს კრედიტორის სავალდებულო თანხმობას. იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნის პირადი მოვალე და მესაკუთრე განსხვავებული პირები არიან, ვალის გადაკისრებისას შეიძლება საფრთხე დაემუქროს მესაკუთრეს. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადების დროს შპს ,,ს“-ის მხრიდან თანხმობა გაცხადებული არ ყოფილა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მსგავსად გირავნობისა, ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელი იყო მესაკუთრის - შპს ,,ს“-ისა და იპოთეკარის - ბანკის შეთანხმება, რადგან (მესაკუთრის) უძრავი ნივთი სხვა მოვალის (შპს ,,ფ–ის“) უზრუნველსაყოფად უნდა გამოყენებულიყო, თუმცა ასეთ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა შპს ,,ს“-ის მიმართ ბანკის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი (**იხ**. წინამდებარე განჩინების პ. 44).

166. **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება.** ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის გავრცობის საჭიროების შემოწმებას.

167. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განმარტება contra legem-ის შემთხვევაში სახეზეა კონფლიქტი ნორმის სხვადასხვა მიზანს შორის.

მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლიანი. განმარტება contra legem უპირატესობას ანიჭებს სამართალს, რომელიც გამომდინარეობს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან და უზრუნველყოფს კონკრეტული ურთიერთობის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას. ამ „სამართლის“ მოძიება და კონკრეტულ გადაწყვეტილებებში რეალიზაცია არის მართლმსაჯულების ფუნქცია. განმარტება contra legem შეუძლია არა „ჩვეულებრივ“ სამართლის შემფარდებელს, არამედ მხოლოდ მოსამართლეს. მოსამართლემ უნდა იმოქმედოს არა სამართლიანობის სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე, არამედ მხოლოდ მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში, იმ ღირებეულებების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლის სისტემას.

168. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნორმატიული რეგულირების მასშტაბები განუხრელად იზრდება. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ არ არსებობს იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც მოითხოვს სამართლებრივ გადაწყვეტას. როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსახლველი და გადასაწყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული და რეგულირებული კანონის არც ერთ ნორმაში, ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში. ნორმის შერჩევა მოითხოვს მართლწესრიგის მთელი სისტემის სათანადო ცოდნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის შემფარდებელი ვერ განსაზღვრავს, თუ რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული. ნორმის შერჩევა რთული აზრობრივი პროცესია. ნორმის შერჩევის პროცესი შეიძლება დამთავრდეს იმით, რომ ვერ იქნეს მოძიებული კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. სამოქალაქო დავა, რომელიც კანონით არაა პირდაპირ მოწესრიგებული, შეიძლება გადაწყდეს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის საფუძველზე. თუ სამართლის შემფარდებელი, სამართლის განმარტების ხერხების გამოყენების მიუხედავად, ვერ „პოულობს“ კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელ ნორმას, მან უნდა გამოიყენეოს ყველაზე უფრო მსგავსი შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა (analogia legis). მოსამართლე ვალდებულია საკითხი გადაწყვიტოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. (***იხ.დამატებით:*** *გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ.168).*

169. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის მე-5. I მუხლის თანახმად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). **ურთიერთობის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმის არარსებობისას, სსკ-ის მე-5 მუხლი, მოსამართლეს ანიჭებს ანალოგიური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენების უფლებას. აღნიშნული ნორმის მიზანია მოსამართლისათვის სსკ-ის მე-4 მუხლით დაკისრებული მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება, ანუ მოსამართლეს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა**

არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია. კანონის ხარვეზი კანონის საკანონმდებლო პროცესის ბუნებრივ თანამდევ მოვლენად ანდა სამართლის განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობად ითვლება. (*შდრ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, ველი. 2., დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ.61; Säcker, in MüKo.BGB, 4., Aufl., 2001, Rn.61).*

170. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა გამოსაყენებელ კანონში არ არის. **ანალოგიის ადრესატი არის მოსამართლე. მხოლოდ მას შეუძლია სამართალგამოყენების ამ მეთოდით სარგებლობა. კანონის ანალოგიის გამოყენების წინაპირობა არის კანონის ე.წ. დაუგეგმავი, ე.ი. წინასწარ გაუთვალისწინებელი არასრულყოფილება.** იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელს ურთიერთობა მოწესრიგების გარეშე შეგნებულად აქვს დატოვებული, კანონის ანალოგია არ გამოიყენება. ამიტომ უნდა შემოწმდეს, დადგენილ ხარვეზთან გვაქვს თუ არა საქმე. ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულოობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი.

171. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებისა და კანონის ნორმების თუ სამართლის ანალოგიით გამოყენების მოწესრიგება, კანონში ხარვეზების არსებობის არაპირდაპირ აღიარებადაც მიიჩნევა. (**იხ.** *დ.კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ.63).* სამოსამართლო სამართალი არის სამართლის შეფარდების და არა სამართალშემოქმედების აქტი. პრაქტიკული მნიშვნელობა სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს საკანონმდებლო ხარვეზის შევსებისას. *(შდრ. გ.ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 133).*

172. ნორმის შემფარდებელი კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს ავსებს არა თვითნებურად, არამედ განსაზღვრული მეთოდური მოთხოვნების დაცვით. ნორმის შემფარდებელმა, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს საკანონმდებლო ხარვეზის არსებობის ფაქტი. ხარვეზი სახეზეა მაშინ, როდესაც არ გვაქვს ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა. ანალოგია არ დაიშვება, თუ არსებობს ნორმის უშუალო, პირდაპირი შეფარდების შესაძლებლობა.

173. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხარვეზის შევსება უნდა მოხდეს შემდეგი მოთხოვნების დაცვით: ა) უნდა გაირკვეს, კანონმდებელმა შეგნებულად ხომ არ დატოვა სამართლებრივი რეგულირების მიღმა რომელიმე ურთიერთობა; ბ) ანალოგია უნდა განხორციელდეს მართლწესრიგთან მჭიდრო კავშირში და მართლწესრიგის ერთიან სისტემაში; გ) ანალოგია არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მოსაზრებეს. ანალოგიის დროს უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი წესი, რომლის საფუძველზეც გადაწყდება კონკრეტული შემთხვევა.

174. ანალოგია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკითხი ვერ წყდება სამართლის ნორმის განმარტების გზით. სამართლის შემფარდებელმა ანალოგიას უნდა მიმართთოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმის განმარტების საფუძველზე ვერ ხერხდება საკითხის იურიდიული გადაწყვეტა. (***იხ.დამატებით:*** *გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ.171).*

175. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ანალოგია მოითხოვს განსაკუთრებულ არგუმენტაციას. **ანალოგია უნდა განხორციელდეს ნორმის მიზნის ღირებულებითი შეფასების საფუძველზე.** ნორმის ღირებულებითი მასშტაბის გადატანა სხვა ურთიერთობებზე უნდა დასაბუთდეს არსებული მართლწესრიგიდან გამომდინარე და არა ინდივიდუალური, სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე. **ანალოგიის პროცესში ნორმის შემფარდებელი ერთმანეთთან ადარებს ურთიერთობას, რომელიც კანონითაა რეგულირებული და ურთიერთობას, რომელიც კანონით არაა რეგულირებული. მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, თუ სავარაუდოდ როგორ შეაფასებდა კანონმდებელი იურიდიულად მოუწესრიგებელ ურთიერთობას.** ამ შემთხვევაში შედარების მასშტაბის როლს ასრულებს სამართლის „შინაგანი სისტემა“, სამართლებრივი ნორმების სისტემა და არა ნორმის შემფარდებლის ინდივიდუალური შეფასების სისტემა. ანალოგია არ ნიშნავს ახალი ნორმის დადგენას. ანალოგიის დროს ნორმის შემფარდებელი ადგენს არა ახალ ნორმას, არამედ ცდლობს პოზიტიური სამართლის სისტემაში „იპოვოს“ კანონმდებლის რამდენადმე „დაფარული“, ბუნდოვნად ფორმულირებული შეფასება.

176. ანალოგიის დროს მოდავე მხარე, ჩვეულებრივ უარყოფს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის ფაქტს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ საქმე ეხება კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილს (Argumentum e contario - ანალოგიის საწინააღმდეგო ცნება, რომელიც გულისხმობს, რომ თუ რომელიმე ურთიერთობა სამართლებრივად მოწესრიგებული არ არის, მოქმედებს პრეზუმპცია, რომ იგი შეესაბამება კანონმდებლის ნებას.) ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს Argumentum per analogiam და Argumentum e contrario-ის მეთოდების შეპირისპირების საფუძველზე.

177. ანალოგიის სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს Argumentum a fortiori ad maius, რომელიც გულისხმობს, რომ კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე ურთიერთობებზეც.

178. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ანალოგიის წესით შეიძლება მხოლოდ ძალაში არსებული ნორმის გამოყენება. ძალადაკარგული კანონის ნორმის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია, თუნდაც რომ ძალადაკარგული კანონის ნორმა სრულყოფილად აწესრიგებდეს ამ ურთიერთობას. **ნორმა ანალოგიურია თუ არა, უნდა გადაწყდეს ნორმის განმარტების საფუძველზე**. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კანონის ანალოგიის საკითხის განხილვა, როგორც წესი, ხდება ნორმათა განმარტების მეთოდებისა და სახეების განხილვის პარალელურად. **კანონის ანალოგიის წესით მსგავსი ნორმის გამოყენებისას მნიშვნელოვანია კანონის მიზნის განსაზღვრა, რადგან სწორედ კანონის მიზანი იძლევა პასუხს კითხვაზე, შეიძლება თუ არა მოსაწესრიგებელი ურთიერთობის მიმართ ანალოგიური ნორმის გამოყენება.** ანალოგიით დაუშვებელია გამოყენებული იქნეს სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ე.წ. „საგამონაკლისო ნორმები". ასეთი ნორმები კანონმდებლის მიერ მიიღება მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით. (ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი შეზღუდვა არამართებულია, რადგან მოსამართლის გადასაწყვეტია ცალკეულ ვითარებაში ნებისმიერი ნორმის გამოყენება, მისი მოქმედების სფეროს სივიწროვის მიუხედავად. **იხ**. *დ.კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ.63).*

179. **საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონის ანალოგიის გამოყენებისას თვალსაჩინო ხდება სამართლის ფუნქციური დამოკიდებულება. თუ კანონი სამართლებრივი პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტის ფუნქციას ვერ ასრულებს, მაშინ საჭიროა მისი განვრცობა.** ასეთი ხარვეზის დადგენის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონის კონტექსტის შედარებითი ანალიზი: ხარვეზის დადგენა იწყება მაშინ, როცა გვხვდება კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევა, რომლის მოსაწესრიგებლადაც მართებული იქნებოდა კანონით მოწესრიგებული მსგავსი შემთხვევის წესის გამოყენება. **ანუ ადგილი აქვს შემთხვევას, როცა არსობრივად ერთნაირს თანაბარი მოპყრობა არა აქვს. მსგავსი შემთხვევების თანაბარი მოპყრობის პრინციპი წარმოადგენს კანონის ხარვეზის აღმოფხვრის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.** საჭიროა თუ არა საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა (de laga lata), დამოკიდებულია იმაზე, რომ **მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება არა მხოლოდ კანონს, არამედ იმ სამართლებრივ პრინციპებსაც, რომლებიც მოცემულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, აგრეთვე სხვა სამართლებრივ წყაროებში ან გამოხატულებას ჰპოვებს „საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებულ წარმოდგენებში სამართლიანობის შესახებ"**. მოსამართლეებს უფლება ეძლევათ ამ „მართალი სამართლით" დაწერილი კანონები შემდგომ განავითაროონ არა მხოლოდ კანონთა ინტერპრეტაციის გზით, არამედ, ასევე, კანონის ხარვეზის შევსებისა და რესტრიქციის გზითაც. **„სამოსამართლეო სამართლის" მიერ სამართლის განვითარება დასაშვებია, თუ კანონის სიტყვითი მნიშვნელობა იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კანონმდებელმა ესა თუ ის**

პრობლემატური შემთხვევა არასაკმარისად გაიაზრა და ამიტომ იგი კანონის რეგულირების სფეროში არ გაითვალისწინა.

180. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონის ხარვეზის მნიშვნელოვან ტიპს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც სამართლის ნორმა არ მოიცავს ისეთ ურთიერთობას, რომელიც, სამართლიანობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ამ კანონის რეგულირების სფერო უნდა ყოფილიყო. **კანონის ანალოგიით გამოყენება გულისხმობს ამ ნორმის განზოგადებას, რომელიც ხდება შეფასებით: ნორმის შინაარსით დგინდება, რომ განსხვავება კანონით მოწესრიგებულ და მოუწესრიგებელ შემთხვევებს შორის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომელიც გაამართლებდა მათ განსხვავებულად გადაწყვეტას, ანუ გამოსაყენებელი ნორმის საერთო, ზოგადი ნიშნები, საკმარისი უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის გამოყენების დასასაბუთებლად.** ამით დასტურდება ის, რომ კანონის (სამართლის ნორმის) ანალოგიით გამოყენება, წარმოადგენს თანაბარი მოპყრობის პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას. აგრეთვე შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს ზღვარი, რომელიც კანონის ინტერპრეტაციასა და ხარვეზის შევსებას შორის არსებობს. ეს ზღვარი საკანონმდებლო დანაწესების შესაძლო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით არის გავლებული. კანონის სიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებში ხორციელდება ინტერპრეტაცია (ნორმის გამოყენების სფერო). სადაც ამ ზღვრის გადასვლა ხდება, ადგილი აქვს კანონის ხარვეზის დადგენასა და შევსებას. (სამართლებრივი პრინციპის მოქმედების სივრცე), ან დადგენილია, რომ ეს შემთხვევა ამ ნორმის გამოყენების სფეროდან უნდა იქნეს ამოღებული (რესტრიქცია - ქმედების საგამონაკლისო შემადგენლობა).

181. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **შემთხვევათა ერთგვაროვანი შეფასების საკითხი ყოველთვის ამა თუ იმ სამართლებრივი პრობლემის თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, რომელიც სამართლის ნორმამ უნდა გადაწყვიტოს.** ანალოგიის გზით ხარვეზის აღმოფხვრისათვის სამართლის ის ნორმა წარმოადგენს შედარების ბაზისს, რომლის ანალოგიით გამოყენებაც უნდა შემოწმდეს. **მოსამართლემ, უპირველესად უნდა გააცნობიეროს, ინტერპრეტაციის ან კანონის განვრცობის (ანალოგიის) რომელი ვარიანტი შეესაბამება საზოგადოების უმრავლესობის კონსენსუნარიან წარმოდგენებს სამართლიანობის თაობაზე.**

182. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დემოკრატიული წესწყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თანასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამართალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრებული და იგი გარანტირებულია არა ერთი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალიზაცია ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორიცაა შეჯიბრებითობა და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს

შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმთითებული მხარის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი განკუთვნადი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-ე, ასევე, 10--ე მუხლები). საკასაციო სასამართლო ეთანხმება პრინციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი, **ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „jura novit curia“ (სასამართლომ იცის კანონი)**. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა ასახული აღნიშნული მიდგომა *(პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხილეთ სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი).*

183. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 8-ე მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. „მუხლის მიზანი არის, ერთი მხრივ, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა წრის განსაზღვრა, ხოლო მეორე მხრივ, ამ ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის შეფასების უნივერსალური შეფასების დადგენა“. (***იხ***. *ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I., მუხლი 8., თბ., 2017, ველი 1-ლი).*

184. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული კერძო სამართლის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებით გამოიკვეთა ,,კეთილსინდისიერების" მნიშვნელობა. განვითარებული ქვეყნების სამართალში იგი წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედს. ქართულ სამოქალაქო სამართალშიც იმავე მიზანს ემსახურება კეთილსინდისიერების, როგორც სამართლებრივი ფასეულობის შემოღება. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. „კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რითაც მიღწეულ უნდა იქნეს სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა და სიმყარე". (**იხ**.*სუსგ №ას-23-18-2011, 24 მაისი, 2011).* კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის საერთო მიმართულებასაც. არა ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

185. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებშიც. კერძოდ, 1:201-ე მუხლის თანახმად, "თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით". აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ეს ზოგადი დებულებანი განხილულია ძირითადად ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით. (**იხ**. *Towards a European Civil Code, ed. by Hartkamp/ Hesselink/ Hondius/ Perron/ Vranken, Nijmegen, Dodrecht, Boston, London, 1994, 205-209.)* კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია აგრეთვე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის *(International Institute for the Unification of Private Law – UNIDROIT)* მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების (Principles of International Commercial Contracts) 1.7 მუხლშიც, კერძოდ, ,,თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო-სავაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოსნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება." (***იხ.*** *Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT), Rom, 1994,Uniform Law Rewiew, 2004,124).*

186. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კეთილსინდისიერი ქცევის დადგენა კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და მოსამართლის მიერ უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოსამართლის მიერ წარმოებული შეფასების ეს პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და დიდ დაკვირვებას მოითხოვს, რადგან კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე. აუცილებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინება. კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ზოგადსახელმძღვანელო პრინციპი, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არაერთ მუხლში. ამიტომაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით, არამედ იგი ამოსავალი და ფუნდამენტური ქცევის პრინციპია ზოგადად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

187. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეთა გულისხმიერებაზეც, კერძოდ, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

188. აღნიშნული ნორმის დანაწესი არ შეიცავს გულისხმიერების ვალდებულებათა ჩამონათვალს და არ აზუსტებს მის შინაარს. კანონმდებელი მხოლოდ ამ ვალდებულების აუცილებელ ნიშან-თვისებებზე მითითებით შემოიფარგლება, კერძოდ: ა) გულისხმიერების ვალდებულება გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან, მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არა მასზე მხარეები (naturalia negotii); ბ) გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია მოვალის ქონებრივი და არაქონებრივი status quo-ს შენარჩუნებაზე (განსხვავებით შესრულების ვალდებულებისაგან, რომელიც status quo-ს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად); გ) გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება ვალდებულების ორივე მხარეს.

189. სსკ-ის 316 II-ე მუხლის დანაწესით კანონმდებელი განმარტავს, რომ ზოგ შემთხვევაში მხარეს შესაძლოა იმაზე მეტი ვალდებულება ეკისრებოდეს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. გულისხმიერების ვალდებულება, როგორც ბუნებრივი ვალდებულება, ახასიათებს ყველა ვალდებულებით ურთიერთობას, რომელშიც ამ ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, მხარეებს ერთმანეთის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და **ქონებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა** აქვთ. ის გარემოება, რომ კანონმდებელი არა ჩვეულებრივ, არამედ „განსაკუთრებულ“ გულისხმიერებაზე მიუთითებს, მეტყველებს იმაზე, რომ სსკ-ის 316 II-ე მუხლით დადგენილი ქცევის სტანდარტი იმაზე მაღალია, ვიდრე სსკ-ის 992-ე მუხლის სტანდარტი. სტანდარტის სიმკაცრე, თავის მხრივ,

დამოკიდებულია ვალდებულების ხასიათზე. იგი მით უფრო მაღალია, **ა) რაც უფრო მაღალია ობიექტური ნდობის ხარისხი კონტრაჰენტთან მიმართებაში ბ) მაღალია დაინტერესებული მხარის ეკონომიკური და სამართლებრივი რისკები. რაც შეეხება ობიექტურ ნდობას, იგი განსაკუთრებით ინტენსიურია საბანკო და სადაზღვევო ურთიერთობებში.**

190. **შპს „ს"-მა,** 2017 წლის 25 დეკემბერს წარდგენილი მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ შესაგებლში მიუთითა, რომ საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა და მისი განკარგვის საკითხი, მესაკუთრის გარდა, სხვა პირის გადასაწყვეტი ვერ იქნება. ბანკმა ისე შეცვალა თავდაპირველი მოვალე სხვა პირით, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის არ მიუცია შესაძლებლობა, შეეფასებინა ახალი მოვალის ქონებრივი შესაძლებლობები და მისი გადახდისუნარიანობა, რისი უფლებაც კრედიტორს არ გააჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკის მიერ არ მომხდარა იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის ახალი მოვალის ცვლილების შეტყობინება და ეს ცვლილება არ დარეგისტრირებულა საჯარო რეესტრში, ეს ნიშნავს, რომ კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე, **ვინაიდან სრულიად შესაძლებელია, რომ ახალი მოვალე უფრო ნაკლებად გადახდისუნარიანი აღმოჩნდეს, ვიდრე თავდაპირველი მოვალე იყო (იხ. ტ.1.ს.ფ.244).**

191. საკასაციო სასამართლო ამიტომაც მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის დანაწესზე, რომლითაც განსაზღვრულია საკუთრების უფლების შინაარსი. „სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტიების გზით. ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე". (*იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/423.)* „საქართველოს კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ საკუთრება, არამედ მისი შეძენაც და გასხვისებაც. საკუთრების შინაარსა და ფარგლებს განსაზღვრავს არა კანონი, არამედ სამართლებრივი წესრიგი". *(იხ. გ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ.97).*

192. „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება არა მარტო ინდივიდის არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას". (*იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 2*

ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალქო ბრუნვას". (***იხ.*** *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/512).* „უნდა ითქვას, რომ მეწარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების უფლების გარეშე. იმდენად მჭიდროა მათი კავშირურთიერთობა, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მეწარმეობის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციით დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამეწარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი." *(**იხ.** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/411).* სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

193. „საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას." (***იხ.*** *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384).* "საქართველოს კონსტიტუციით დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება. საკუთრება კანონიერად მაშინ ჩაითვლება, თუ ის შეძენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით." (***იხ.*** *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/5/309).* „საკუთრების კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ბოჭვის ნებისმიერ შემთხვევაში საკუთრების არსება უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაგანი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს".(***იხ.*** *გ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ.105).*

194. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია, პირველ რიგში, ნიშნავს მესაკუთრის უფლებას, თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან მის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში, კერძოდ, მიმართოს სასამართლოს. „თუმცა, ამ უფლების გარანტირებულობა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე დაცვის უფლებით არ ამოიწურება, ის ამავდროულად ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას ეს უფლება." (***იხ.*** *საქართველოს საკონსტიტუციო*

სასამართლოს 2001 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384). „საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას. ამავე დროს სახელმწიფო პოზიტიურადაა ვალდებული, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოების წევრებს შორის. სახელმწიფოს გააჩნია დაცვის ვალდებულება, რომელიც მას გარკვეული ქმედების შესრულებას ავალდებულებს.“ (***იხ.*** *ფირცხალაიშვილი ა., სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1/12 თბ., 2012,49).* ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი - ყოველ ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება- ასევე მოიცავს მატერიალური ინტერესის არსებობას, როგორც საკუთრების უფლებით დაცვის ობიექტს. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1983 წელს საქმეში: *Bramelid and Malmström v. Sweden (განაცხადის N. 8588/79, 8589/79; 1983); იხ.აგრეთვე; შპს „J.A.Pye (Oxford) და შპს “J.A. Pye (Oxford) Land” გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადის N. 44302/02, §61, 30 აგვისტო, 2007). „იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილე პირების“ (**იხ.** გ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ.115).* „მესაკუთრესა და ნივთს შორის არსებული ურთიერთობა ვერ განხორციელდება, თუ არ არსებობს ამ ურთიერთობისადმი ყველას პატივისცემა. საკუთრების სანივთო უფლების რეალიზაცია შესაძლებელია სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის დონეზე. პატივისცემას ექვემდებარება საკუთრების როგორც სუბსტანცია, ისე მისი შინაარსი (**იხ.** *გ.ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბილისი, 2013, გვ.224).*

195. პირველი კასატორის მოსაზრებით, სსკ-ის 206-ე მუხლი წარმოადგენს საგამონაკლისო ე.წ. „სპეციალურ ნორმას“ და მისი ანალოგიით გამოყენება სსკ-ის 5. III მუხლის დანაწესის საფუძველზე, დაუშვებელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზუსტებას საჭიროებს თვითონ სპეციალური ურთიერთობისა და მათი მომწესრიგებელი ნორმების ცნება. ჩვეულებრივ, ასეთი ნორმები კანონმდებლის მიერ ექსკლუზიურად მიიღება და კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავს მიზნად. (***იხ.დამატებით:*** *ლ.ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 5, ველი 11, თბილისი, 2017).*

196. საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას განსახილველ შემთხვევაში სსკ-ის 206-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების დაუშვებლობასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

197. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონში მოცემული ზოგადი ცნებები ხშირად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. განმარტების ხერხები ემსახურება ნორმის ერთგვაროვანი შეფარდების მიზანს. სამართლის ნორმის განმარტება (ინტერპრეტაცია) გულისხმობს მისი შინაარსის გარკვევას, ე.ი. იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა. განმარტების პროცესში ხდება იმის გარკვევა, თუ კონკრეტული შემთხვევა რამდენად შეესაბამება ნორმით განსაზღვრულ ქცევის ზოგად წესს. ნორმის განმარტება ხორციელდება სამართლის შეფარდების პროცესში ანუ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში. სამართლის ნორმის განმარტება არ უნდა შემოიფარგლებეოდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევით. **ნორმის განმარტებას უნდა ჰქონდეს ზოგადი მნიშვნელობა - ნორმის განმარტებამ გონივრული შედეგი უნდა მოგვცეს სხვა, სავარაუდო შემთხვევების მიმართაც.** ნორმის განმარტება არ უნდა იძლეოდეს კანონის მოთხოვნების დაცვისაგან თავის არიდების ან მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ნორმის განმარტებამ, ასევე არ უნდა დაარღვიოს სამართლებრივი უსაფრთხოება.

198. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლწესრიგი ერთიანია, რამდენადაც მისი შემადგენელი ნორმები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იმყოფება და ერთიან სისტემას ქმნის. სისტემური განმარტება მოითხოვს, რომ სამართლის ნორმა გააზრებული უნდა იქნეს სხვა ნორმებთან კავშირში და არა იზოლირებულად. სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი ითვალისწინებს, რომ ვალის გადაკისრებისთანავე, თუ თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე, შეწყდება არა მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი პიროვნული საშუალება, როგორიცაა თავდებობა, არამედ შეწყდება მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი აქცესორული საშუალებაც, როგორიცაა გირავნობა.

199. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული მოწესრიგება, სტრუქტურულად განთავსებულია არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გირავნობის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებში (სსკ-ის 254-ე - 285-ე მუხლები), არამედ ვალის გადაკისრების მომწესრიგებელ ზოგადი ხასიათის ნორმების თავში (სსკ-ის 203-206-ე მუხლები). თავის მხრივ, გირავნობისა და იპოთეკის მომწესრიგებელი ნორმები სტრუქტურულად განთავსებულია ერთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეექვსე თავში - საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. ორივე უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას გააჩნია ერთი საერთო მიზანი - დატვირთული ქონებით კრედიტორის დაკმაყოფილება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ ვალის გადაკისრების შემთხვევაში, დამგირავებელი ან თავდები თანხმობას არ განაცხადებს ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის

უზრუნველსაყოფად გამოყენებული გირავნობის ან თავდებობის შეწყვეტა გათვალისწინებულია არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გირავნობისა და თავდებობის შეწყვეტის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით, არამედ სწორედ ზოგადი ხასიათის ნორმით, კერძოდ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესით. შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულებისა და სისტემური განმარტების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი არ წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ (ე.წ.“ საგამონაკლისო ნორმა“) ნორმას და მისი ანალოგიით გამოყენება იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართაც, დასაშვებია.

200. **საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი იქნებოდა საგამონაკლისო (ე.წ. სპეციალური) ნორმა იმ შემთხვევაში, თუ მასში საუბარი იქნებოდა მხოლოდ თავდებობის შეწყვეტაზე.** ასეთ შემთხვევაში, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ეს არის სპეციალური ნორმა (Argumentum e contario -კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი სხვა უზრუნველყოფებთან მიმართებით), შეეხება მხოლოდ თავდებს, რადგან თავდები უფრო მეტ საფრთხეშია, აგებს რა პასუხს ძირითადი მოვალის ვალდებულებისათვის, ის პრივილეგირდება, ხოლო გირავნობის ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე მესამე პირი (არა პირადი მოვალე), არ თავისუფლდება და ეს არის კანონმდებლის პრინციპული ნება. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ სსკ-ის 206-ე მუხლში საუბარია გირავნობაზეც, როგორც უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებაზე, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ როგორც რეგისტრირებული გირავნობის, აგრეთვე იპოთეკის შემთხვევაში, დამგირავებელი ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე (არაპირადი მოვალე), (იმის გათვალისწინებითაც, რომ როგორც რეგისტრირებული გირავნობა, აგრეთვე იპოთეკა იდება წერილობითი ფორმით და სამართლებრივ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან), პრინციპულად ერთნაირ სამართლებრივ მდგომარეობაში არიან. **ამიტომაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს ის „არაგეგმაზომიური“ ვაკუუმი („Planwidringen Regelungslücke“), რაც აუცილებელია კანონის ანალოგიით გამოყენებისათვის.**

201. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის, მოვალის პიროვნება მნიშვნელოვან და ამგვარი ხელშეკრულების დადების განმაპირობებელ გარემოებას წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფის საშუალებების გაცემას იგი უკავშირებს მოვალის გადახდისუნარიანობას და იმ ნდობას, რომ მოვალე თავის ვალდებულებებს ჯეროვნად შეასრულებს. იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა უზრუნველყოფილია არაპირადი მოვალის (მესამე პირი) საკუთრებით (მოძრავი ან უძრავი ნივთი, აგრეთვე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე), სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის გადაკისრებისას, შეიძლება საფრთხე დაემუქროს უზრუნველყოფილი ქონების მესაკუთრის ინტერესს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მსგავსად გირავნობისა, ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელია იპოთეკის საგნის

მესაკუთრის (არაპირადი მოვალე) და იპოთეკარის შეთანხმება, რომ არ შეწყდეს იპოთეკა. **(„სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრებისას, როდესაც მოვალე არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს, ამ შემთხვევაში კრედიტორმა და მოვალემ სარეგისტრაციო ცვლილებების მოთხოვნით უნდა მიმართონ მესაკუთრეს, ან მოვალისა და კრედიტორის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, მესაკუთრეს უნდა მიეცეს კანონით დადგენილი შესაძლებლობა, გაათავისუფლოს უსაფუძვლო იპოთეკის ჩანაწერისაგან მის საკუთრებაში არსებული ობიექტი“. იხ.დამატებით: თ.შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, გვ.105)**.

202. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო ნორმა - სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესი, უნდა შეფასდეს აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა აყალიბებს საზოგადოების ლეგიტიმურ მოლოდინს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას. სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, გირავნობის საგნის მესაკუთრის (დამგირავებელი) უფლების დაცვის უფრო მეტი გარანტიების დაწესება, ვიდრე ანალოგიურ ვითარებაში მყოფი იპოთეკის საგნის მესაკუთრისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინააღმდეგობაში მოვიდოდა თანაბარი მოპყრობისა და სამართლიანობის პრინციპებთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „ყოველ განსახილველ შემთხვევაში უნდა დაადგინოს, თუ რა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას ემსახურება სადავო რეგულაცია და რამდენად შეესაბამება იგი თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს“ *(იხ: 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746)* და, რომ „მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესებს წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგისა და სტაბილურობის დამყარება (მოწესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა)“. (*იხ. 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/531).*

203. **რაც შეეხება შპს „ს-ის“ მიერ მოხმობილ უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან მიმართებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს:** იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას, უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო გამოცდილებას მოცემულ საქმეზე გავლენა ვერ ექნება და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის - სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების დაფუძნება, არამართებულია. თუმცა განსახილველი საკითხის თავისებურებებთან დაკავშირებით საქართველოსათვის, როგორც გერმანული სამართლებრივი

სისტემის ქვეყნისათვის, ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, აგრეთვე საქმის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს შპს „ს-ის“ მიერ შესაგებელში მითითებულ ამ არგუმენტზეც.

204. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §418-ე არეგულირებს ვალის გადაკისრების შემთხვევაში, აქცესორული უზრუნველყოფის საშუალებების სამართლებრივ ბედს, თუ თავდები ან დამგირავებელი თანხმობას არ განაცხადებენ ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. აღნიშნული ნორმის დანაწესის თანახმად, ვალის გადაკისრების შემთხვევაში წყდება გირავნობა და თავდებობა, ხოლო იპოთეკა კი გარდაიქცევა მესაკუთრის იპოთეკად. (**შდრ**. *Heinemeyer, in MüKo.BGB, 8. Aufl., 2019, §418, RN.3).* ამ რეგულირების საფუძველი ისაა, რომ მოთხოვნის დათმობისაგან (ცესია) განსხვავებით (რომლის დროსაც აქცესორული უფლებები ძალაში რჩება და მოთხოვნასთან ერთად გადადის), ვალის გადაკისრების შემთხვევაში თავდაპირველი მოვალის შეცვლა უზრუნველყოფის მიმცემისათვის (თავდები, დამგირავებელი მესამე პირი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე) გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან შესაძლებელია, რომ ახალი მოვალე უფრო ნაკლებ გადახდისუნარიანი აღმოჩნდეს, ვიდრე ძველი იყო. **§418-ე შეიძლება ანალოგიით იქნეს გამოყენებული იპოთეკისა და სხვა არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალებების მიმართაც** (*შდრ. BeckOK BGB/Rohe, 50. Ed. 1.5.2019, BGB § 418 Rn. 2., Der Normzweck betrifft sämtliche Sicherheiten gleichermaßen. Die Norm ist deshalb entspr. Auf nicht akzeessorische Sicherhaiten wie die Sicherungsgrundschuld entspr. Anwendbar (BGHZ 115, 241 [244] = NJW 1992, 110 [111]; BGH NJW 2017, 2995 [2996]; .... Gleiches gilt für selbstständige rechtsgeschäftlich begründete Mobiliarsicherungsrechte wie Sicherungsübereignung und Sicherungsabtretung (BGH WM 1992, 1312 [1315]; MüKoBGB/Heinemeyer Rn. 2; Staudinger/Rieble, 2017, Rn. 16). ანალოგიურ დებულებას შეიცავს ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:157-ე მუხლიც).*

205. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ 2017 წლის 30 იანვრის ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელი იყო მესაკუთრის - შპს ,,ს“-ისა და იპოთეკარის - ბანკის შეთანხმება, რადგან მესაკუთრის უძრავი ნივთი თავდაპირველი მოვალე ფიზიკური პირის ნაცვლად, სხვა მოვალის (შპს ,,ფ–ის“) ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა გამოყენებულიყო.

206. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, სსკ-ის 206-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე („ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადეს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე“), სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრებისას, მოთხოვნის მფლობელი (კრედიტორი) ვალდებულია შეატყობინოს თავდებს, დამგირავებელს, ან იპოთეკის საგნის მესაკუთრეს,

თავდაპირველი მოვალის ნაცვლად ახალი მოვალისათვის ვალის გადაკისრების თაობაზე და, განუსაზღვროს გონივრული ვადა ურთიერთობის გაგრძელებაზე თანხმობის განცხადებისათვის.

207. საკასაციო პალატა განმარტავს, სსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული თანხმობისათვის საჭიროა, რომ ვალის გადაკისრების განზრახვის თაობაზე კრედიტორის შეტყობინება მიუვიდეს თავდებს ან სანივთო უზრუნველყოფის შემთხვევაში, დატვირთული ქონების (მოძრავი თუ უძრავი) მესკუთრეს. შეტყობინების მიღებად კი, ბუნებრივია ის მომენტი უნდა ჩაითვალოს, როდესაც ადრესატმა (დამგირავებელი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე, თავდები) ნახა და გაეცნო მას. შეტყობინების ადრესატთან მისვლას, შინაარსის გაცნობასა და თანხმობას შორის, შეიძლება იყოს დროის გარკვეული შუალედი (გონივრული ვადა). **გაბატონებული მოსაზრებით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფის საშუალება ძალაში დარჩეს, აუცილებელია ვალის გადაკისრებამდე უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების მესაკუთრის წინასწარი თანხმობა.** (***შდრ.*** *MüKoBGB/Heinemeyer, 8. Aufl. 2019, BGB § 418 Rn. 8; Schreiber*, in *Soergel Kommentar zum BGB, 13. Aufl., § 418 Rn. 4; RG HRR 1933 Nr. 1742).* ეს განპირობებულია სამართლებრივი მდგომაროების სიცხადის აუცილებლობით, ცალსახა უნდა იყოს, არის თუ არა უზრუნველყოფა (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა) ძალაში, რადგან ეს უზრუნველყოფა მერყევად ბათილი ვერ იქნება. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმისათვისაც, რომ ზუსტად განისაზღვროს თავდებობის, გირავნობის თუ იპოთეკის შეწყვეტის მომენტი. თუ ამ წინასწარი თანხმობის არარსებობის გამო (თანხმობა გაცემული იქნება ვალის გადაკისრების შემდეგ) უზრუნველყოფა გაუქმდა, შემდეგ აუცილებელია მისი თავიდან დადგენა.

208. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში, თავდების ან დატვირთული ქონების (უძრავი თუ მოძრავი) მესაკუთრის თანხმობა ურთიერთობის გაგრძელებაზე, როგორც წესი, საჭიროებს წერილობით ფორმას (მტკიცების ტვირთის მიზნებიდან გამომდინარე), თუმცა არ საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. საკასაციო პალატა იზიარებს იმ მოსაზრებასაც, რომ ვალის გადაკისრებისას ურთიერთობის გაგრძელებაზე, ცალკეულ შემთხვევებში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case), მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით დატვირთული ქონების მესკუთრის კონკლუდენტური თანხმობის არსებობა, საკმარისია. (***შდრ.*** *Die Einwilligung, also die vor Abschluss des Übernahmevertrages erklärte Zustimmung des Sicherungsgebers (vgl. § 183),* ***kann formlos und konkludent erfolgen*** *(MüKoBGB/Heinemeyer, 8. Aufl. 2019, BGB § 418 Rn. 6). Die Einwilligung kann ausdrücklich oder* ***konkludent erfolgen und ist formfrei*** *(BGH NJW 2015, 2872 [2873]; MüKoBGB/Heinemeyer Rn. 6; BGH NJW 2015, 2872 [2873]; Erman/Röthel Rn. 4; BeckOK BGB/Rohe BGB § 418 Rn. 8).*

209. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების შემთხვევაში,

როდესაც კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია მესამე პირის (არა პირადი მოვალე) უძრავი ქონებით, შესაძლებელია სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესის ანალოგიით გამოყენება.

210. **პირველი კასატორი ერთ-ერთ საკასაციო პრეტენზიად იმას მიუთითებს, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა გამოყენებული სსკ-ის 286 III მუხლის დანაწესი, რადგან 2017 წლის 30 იანვრის შეთანხმებით, არ შეცვლილა მოთხოვნა, არც მისი არსი და არც მისი ოდენობა.** პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოვალის ცვლილების გაიგივება მოთხოვნის ცვლილებასთან, წინააღმდეგობაში მოვა არამხოლოდ სსკ-ის 286-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსთან, არამედ ზოგადად მოთხოვნის სამოქალაქო-სამართლებრივ განმარტებასთან. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ მოთხოვნის ცვლილებას კანონმდებელი უკავშირებს მოთხოვნის გაზრდას ან/და შემცირებას, ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მოთხოვნის წარმოშობას და ა.შ. განსახილველ შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების არცერთ პუნქტში ცვლილება არ შესულა, ვინაიდან, უცვლელი დარჩა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში გაცემულ კრედიტებსაც უზრუნველყოფდა იპოთეკა. შესაბამისად, პირველი კასატორისთვის გაუგებარია, რა ცვლილება უნდა წარედგინა კრედიტორს საჯარო რეესტრისათვის, როდესაც იპოთეკის ხელშეკრულების არც ერთ პუნქტს ე.წ „ვალის გადაკისრების“ ხელშეკრულება არ ეხებოდა **(იხ.წინამდებარე განჩინების პ.59).**

211. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იპოთეკა არის აქცესორული ხასიათის სანივთო რეალიზაციის უფლება და შესაბამისად, მისი დადგენისათვის აუცილებელია უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა, რომელიც მთავარი (ძირითადი) მოთხოვნაა და რომელთანაც განუყოფლადაა შეზრდილი იპოთეკა. უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი და იპოთეკარი (უზრუნველყოფილი კრედიტორი) იდენტური პირი უნდა იყოს. (გამონაკლისი გათვალისწინებულია სსკ-ის 297-ე მუხლის დანაწესით). იპოთეკა გადაიცემა უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის გზით (სსკ-ის 201I, 295-ე მუხლი). უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება ხდება იპოთეკით დატვირთული საგნის რეალიზაციით (სსკ-ის 301-ე, 302-ე მუხლები) ან კრედიტორის საკუთრებაში გადასვლით (სსკ-ის მე-300-ე მუხლი) (***იხ.დამატებით:*** *ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ.61; გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 286, ველი 1-2, თბილისი, 2018).* იპოთეკით შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული (კონკრეტული საფუძვლისა და ოდენობის მქონე) ან განსაზღვრადი ფულადი მოთხოვნი(ები)ს უზრუნველყოფა. გამონაკლის შემთხვევებში, იპოთეკა შესაძლებელია, რომ გამოყენებული იქნეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნასთან დაკავშირებითაც, თუ იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შესაძლებელია ამ მოთხოვნის განსაზღვრა. (სსკ-ის 286 II-ე მუხლი). თუ უზრუნველსაყოფი მოთხოვნა არ არის საკმარისად განსაზღვრული,

რეგისტრაციის შემდეგ იპოთეკა მესაკუთრის იპოთეკად გარდაიქმნება (სსკ-ის 288-ე მუხლი).

212. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს, თუკი იგი იმავდროულად არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე, დატვირთული ნივთის რეალიზაციის თმენის ან იპოთეკარისათვის საკუთრების გადაცემის ვალდებულება ეკისრება მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. **ამის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრეს აძლევს თავდაცვის შესაძლებლობას და მას ანიჭებს იპოთეკარის მიმართ ყველა იმ შესაგებლის გამოყენების უფლებას, რომლებიც პირად მოვალეს აქვს (სსკ-ის 291.1 მუხლი).** მესაკუთრის შესაგებლები შეიძლება მრავალი სახის იყოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, თუ რომელ სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობა მესაკუთრის შესაგებელი. მართალია, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს აქვს მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლები, თუმცა ამისათვის საჭიროა შესაბამისი მტკიცებულებების არსებობაც.

213. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია მესაკუთრის შესაგებლების გამოყენების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გასხვისება სასყიდლით (ნასყიდობა) თუ უსასყიდლოდ (ჩუქება). იწვევს თუ არა საკუთრების უფლების გადასვლა ავტომატურად შესაგებლების გადასვლას იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის შემძენზე? იპოთეკა, როგორც რეგისტრირებული სანივთო უფლება გადადის ახალ მესაკუთრეზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შესაგებლების გამოყენების უფლება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს გააჩნია, ამიტომაც იპოთეკის საგნის შემძენზე (ახალ მესაკუთრეზე), გადადის ის შესაგებლებიც, რომლებიც იპოთეკის საგნის წინა (ძველ) მესაკუთრეს ჰქონდა ***(შდრ. სუსგ №ას-5-2019 , 15 მარტი, 2019).***

214. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 286 III მუხლის თანახმად, ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში. მითითებული ნორმა ამარტივებს კრედიტის უზრუნველყოფას იპოთეკის მეშვეობით, ითვალისწინებს რა უზრუნველყოფილი მოთხოვნის სხვა მოთხოვნით ჩანაცვლების შესაძლებლობას ხელშეკრულების საფუძველზე, იპოთეკის გარდაქმნისა ან შეწყვეტის გარეშე მისი თავიდან დადგენის გარეშე. მოთხოვნის ჩანაცვლება დასაშვებია როგორც იპოთეკარი კრედიტორის ცვლილებით, ისე მის გარეშე. ნორმის დანაწესი ვრცელდება ყველა ტიპის იპოთეკაზე, მათ შორის მესაკუთრის იპოთეკაზე. არაიპოთეკარი პირადი მოვალის თანხმობა აუცილებელი არ არის. მისი დაცვა უზრუნველყოფილია სსკ-ის 299 II მუხლის მიხედვით. მოთხოვნის

შეცვლის მომენტისათვის თავდაპირველად უზრუნველყოფილი მოთხოვნა ჯერ კიდევ სახეზე უნდა იყოს (სხვა შემთხვევაში მოქმედებს სსკ-ის 288-ე მუხლის დანაწესი), ხოლო შემცვლელი უზრუნველსაყოფი მოთხოვნა კი უნდა აკმაყოფილებდეს სსკ-ის 289 I წინაპირობებს. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი მოთხოვნა ძველს არ აჭარბებს. სხვა შემთხვევაში ამ მოთხოვნის ჭარბი წილის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მომდევნო რიგის იპოთეკით. **მოთხოვნის შეცვლა არის იპოთეკის საგნისა და იპოთეკის განკარგვა (შინაარსის ცვლილება)** (***შდრ. სუსგ №ას-737-699-2015, 29 დეკემბერი, 2015).*** შეცვლის შემდეგ იპოთეკა მხოლოდ ახალ მოთხოვნას უზრუნველყოფს, ხოლო ძველი მოთხოვნის სამართლებრივი ბედი განისაზღვრება ზოგადი წესების მიხედვით.

215. განსახილველ საქმეში უდავოდ დადგენილია, რომ ერთის მხრივ სს „ს-ს“, ხოლო მეორეს მხრივ რ. ფ-ასა და ქ.ჩ–ს შორის 2011 წლის 05 იანვარს გაფორმდა № .... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება. საკრედიტო ხაზის მოცულობად განისაზღვრა 5000000 აშშ დოლარი (იხ.ტ.1.ს.ფ.22). 2013 წლის 08 აპრილის მხარეთა შეთანხმებით საკრედიტო ხაზის მოცულობა განისაზღვრა - 8000000 აშშ დოლარით (იხ.ტ.1.ს.ფ.33); 2014 წლის 18 თებერვლის მხარეთა შეთანხმებით საკრედიტო ხაზის მოცულობა განისაზღვრა - 15000000 აშშ დოლარით (იხ.ტ.1.ს.ფ.34); 2014 წლის 26 თებერვლის მხარეთა შეთანხმებით საკრედიტო ხაზის მოცულობა განისაზღვრა - 20000000 აშშ დოლარით (იხ.ტ.1.ს.ფ.35); 2015 წლის 24 ივნისის მხარეთა შეთანხმებით საკრედიტო ხაზის მოცულობა განისაზღვრა - 40000000 აშშ დოლარით (იხ.ტ.1.ს.ფ.39); 2011 წლის 05 იანვარს გაფორმებული № .... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე 17500000 აშშ ოდენობის სესხი, კრედიტის ვადა 36 თვე, წლიური განაკვეთი -12,5% სარგებლით, პირგასამტეხლო ყოველვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%, საბოლოოდ რ. ფ-ზე სესხი გაიცა 2015 წლის 24 ივნისს (იხ.ტ.1.ს.ფ.44-45).

216. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას, რომ 2017 წლის 30 იანვრის შეთანხმებით, არ შეცვლილა მოთხოვნა, არც მისი არსი და არც მისი ოდენობა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე დადგენილი გარემოებები გამორიცხავს, განსახილველი შემთხვევის მიმართ სსკ-ის 286 III მუხლის დანაწესის გამოყენების შესაძლებლობას.

217. **პირველი კასატორის ერთ-ერთ პრეტენზია ეხება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოსარჩელისათვის “M. L“-ის (მ. ლ.) მიმართ გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებლად უარის თქმას.** კასატორი აღნიშნავს, რომ გირავნობით დატვირთული აქტივის რეალიზაციაზე უარის თქმის საფუძვლად თბილისის

სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 14 თებერვლის განჩინების 35-ე გვერდზე მიუთითა, რომ სს „ს-ს“ “M- L“-ს (მ.ლ.) სახელზე რეგისტრირებულ საწარმოს წილებზე არ წარმოშობია გირავნობის უფლება. კასატორი აღნიშნავს, „თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიმეორა თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა საჭირო არ არის. რეგისტრირებული გირავნობის დროს პუბლიკაცია მიიღწევა გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში (სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის შემთხვევაში - სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში) რეგისტრაციის გზით. თავად გირავნობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით (სსკ-ის 258 I). აღნიშნული ფორმის დაუცველობის შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია“. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას, ვინაიდან, მხარეთა მიერ გამოხატულ იქნა ნება, რომ M- L-ის საკუთრებაში არსებული აქტივით უზრუნველყოფილიყო სს "ს-ს", რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს შორის 2011 წლის 5 იანვარს გაფორმებული N..... გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები. აღნიშნული საკითხი არ არის სადავო. წინა ინსტანციების სასამართლოების მიერ დაუსაბუთებლად არ იქნა გაზიარებული მყარად დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის N2ბ/5318-15 გადაწყვეტილების მიხედვით - „კანონმდებლის რეალური მიზანი, რასაც მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენდა უძრავ ნივთებთან მიმართებაში უფლებათა საჯაროობის უზრუნველყოფა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა. პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, უძრავ ნივთებზე გარიგების დადებისათვის ამ გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულო პირობაა, თუმცა, ამგვარი რეგისტრაციის არარსებობა ხელშეკრულებას ავტომატურად იურიდიულ ძალას არ უკარგავს. იგი მოქმედებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის, მაგრამ ძალა ვერ ექნება მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ რა თქმა უნდა, მათთვის ცნობილი არ არის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, დავა მიმდინარეობს უშუალოდ ხელშემკვრელ მხარეებს შორის, სწორედ, ამიტომ სადავო ხელშეკრულებები, მიუხედავად იმისა, **რომ რეგისტრირებული არ არის კანონის მოთხოვნათა დაცვით, არ ბოჭავს მოსარჩელეს წარადგინოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-343-326-2013)“. მითითებული განმარტება უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა ასევე №ას-797-764-2016 საქმეზე განჩინების მიღებისას. ხელშეკრულების შესაბამის რეესტრში**

რეგისტრაციის ნამდვილობა ეჭვქვეშ დგება მხოლოდ მესამე პირთან დავისას, წარმოუდგენელია, რეგისტრაციის არარსებობის ფაქტმა ხელშეკრულებას დაუკარგოს ძალა, აღნიშნული არ არის კანონმდებლის ნება, რომელმაც რეგისტრაციას დაუქვემდებარა გარკვეული ხელშეკრულებები. **(იხ.საკასაციო საჩივარი, წინამდებარე განჩინების პ.60).**

218. სარჩელის ფაბულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის შეფასებით, პირველი კასატორის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს შპს „M. L"-ს მიმართ წარმოადგენს სსკ-ის 254-ე და 276-ე მუხლების დანაწესები.

219. საკასაციო პალატა პირველი კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ გირავნობის ცნება მოცემულია სსკ-ის 254 I-ელ მუხლში, რომლის თანახმადაც, მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირისათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით - მის საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. (***იხ.დამატებით:*** *ლ.ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ.121 და შემდგ., ბ.ზოიძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 200-, გვ.283 და შემდგ., გ.რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 254, ველი 1, თბილისი, 2018).

220. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გირავნობა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას. იგი მთლიანად არის დამოკიდებული უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე და მის გარეშე არ არსებობს. გირავნობის შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას მოვალის მხრიდან უზრუნველყოფს მოძრავი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მოძრავია ყველა ნივთი, რომელიც არ მიეკუთვნება სსკ-ის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ნივთებს. თუმცა, ყველა მოძრავი ნივთი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გირავნობის საგანი (მაგალითად, პასპორტი, მართვის მოწმობა, სტუდენტის ბილეთი და ა.შ.). დაგირავება დაიშვება მხოლოდ ისეთი მოძრავი ნივთების, რომელთა გადაცემაც შეიძლება სხვა პირისათვის. რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, სსკ-ის 152-ე მუხლის თანახმად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რამე. მაშასადამე, დაიშვება არა ნებისმიერი მოთხოვნის ან უფლების დაგირავება, არამედ მხოლოდ ქონებრივი ხასიათის, გადაცემადი და გასხვისებადი უფლების ან მოთხოვნისა. გირავნობის საგანი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდებიც. (***იხ.დამატებით***: *გ.რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 254, ველი 12, 13, 23, თბილისი, 2018).

221. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გირავნობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი (მოგირავნე) და გირავნობის საგნის დამგირავებელი. უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი და მოგირავნე ყოველთვის ერთი და იგივე პირია, მაგალითად, გამსესხებელი (კრედიტის გამცემი). გირავნობის საგნის დამგირავებელი და უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე შეიძლება განსხვავებული პირები იყვნენ. ამ განსხვავების აღსანიშნავად, სამოქალაქო კოდექსი იყენებს „მოვალის ან მესამე პირის ცნებას“. „მესამე პირი“, რომელიც აგირავებს ქონებას (გირავნობის საგანს), არ წარმოადგენს კრედიტორის (მოგირავნის) პირად მოვალეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას არ ევალება კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულების შესრულება.

222. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს გირავნობის რამდენიმე სახეს: სახელშეკრულებო გირავნობა; კანონისმიერი გირავნობა; მფლობელობითი გირავნობა; რეგისტრირებული გირავნობა. განსხვავებების მიუხედავად, გირავნობის ყველა ნაირსახეობას აქვს ერთი საერთო: ისინი წარმოადგენენ უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას ცალკეულ მოძრავ ნივთებზე თუ უფლებებზე.

223. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რეგისტრირებული გირავნობა, როგორც დამგირავებლისათვის, ისე მოგირავნესათვის, გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე მფლობელობითი გირავნობა. რეგისტრირებული გირავნობა უზრუნველყოფს დამგირავებლისათვის მფლობელობის შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საგნის რამდენჯერმე დაგირავების შესაძლებლობას (სსკ-ის 267-ე მუხლი), განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან. **გარდა ამისა, არამატერიალური ქონებრივი სიკეთის (მოთხოვნა, უფლება, წილი სამეწარმეო საზოგადოებაში) დაგირავება მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის ფორმით (სსკ-ის 259-ე მუხლი) არის შესაძლებელი,** ისევე როგორც სამომავლო ქონების (სსკ-ის 254 V-ე მუხლი). (შდრ.*გ.რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 254, ველი 13, 23, გვერდი 327, 331, თბილისი, 2018). მფლობელობითი გირავნობისაგან განსხვავებით, რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში შესაძლებელია მოგირავნის დაკმაყოფილება გირავნობის საგანზე საკუთრების მოპოვებით (სსკ-ის 260[1]-ე მუხლი). რეგისტრირებული გირავნობა თავის მხრივ მოგირავნეს იცავს, დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის მესამე პირზე დაუტვირთავად გასხვისების რისკისაგან.

224. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამართალი არის მართლწესრიგისა და სამართლიანობის ხელოვნება (“Ius est ars boni et aequi”, იხ. Corpus Juris Civilis, დიგესტები,1.1.) სამართალმა უნდა უზრუნველყოს სადავო საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა. ეს მიზანი გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში.

225. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის

სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები, ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული და, როგორც წესი, ეძებს კომპრომისს სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის, რომელიც სამართლიანია. ასეთი თვალსაზრისები აისახებიან გადაწყვეტილებათა ანალიზის ზოგად სქემებში, რომლებიც, ასევე, გამოყენებული უნდა იქნას საკანონმდებლო ხარვეზის შევსების პროცესესშიც. სამართალი უნდა ემსახურებოდეს მიზნების განხორციელებას, ე.ი. განსაზღვრული სიკეთეების მოპოვებას ან შენარჩუნებას და ამ სიკეთეებზე ორიენტირებული ინტერესების დაკმაყოფილებას. ამისათვის საჭიროა, წინასწარ შეიქმნას შემლებისდაგვარად ფართო წარმოდგენა იმ სიკეთეებზე, რომლებზეც გადაწყვეტილებამ, ერთი მხრივ, პოზიტიურად, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს. ამ ზემოქმედების „სასურველი“ და „არასასურველი“ შედეგი ყოველი დაცული სიკეთისათვის ცალ-ცალკე დგინდება. გარკვეულ როლს თამაშობს ის ღირებულება, რომელიც კონკრეტულ სიკეთეს დაცვის ქვეშ მყოფ სხვა სიკეთეებთან შედარებით გააჩნია. გადაწყვეტილების განსაზღვრული ალტერნატივა აერთიანებს სავარაუდო შედეგის პოზიტიურ და ნეგატიურ ნაწილებს. გადაწყვეტილებათა ალტერნატივების შედარება კი შეიძლება მანამ, ვიდრე არ მივიღებთ ოპტიმალურ და სამართლიან კომპრომისს ზიანსა და სარგებელს შორის. მინიმალური მიზანია, რომ პოზიტიური ელემენტები ნეგატიურს სჭარბობდეს („თანაზომიერების“ პრინციპი). სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ. ***(იხ. დამატებით:*** *რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 10-ე გადამუშავებული გამოცემა,GIZ 2009, გვ.73-74).*

226. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ

კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „სისტემური“ ინტერპრეტაციის მიზანია, რომ ცალკეული სამართლებრივი თვალსაზრისები სამართლებრივი სისტემის ერთიან კონტექსტში იქნეს განხილული.

227. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში. მკაცრი გაგებით, ყოველი საინტერპრეტაციო ნორმის ზღვარი არის „სიტყვის შესაძლო მნიშვნელობა“. თუ სამართლიანი თანაბარი მოპყრობის მიზნით საჭიროა ამ წესიდან გადახვევა, ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის განვრცობითი ან „სამართლის განვითარების“ საფუძველზე. სარგებლიანობის სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

228. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რეგისტრირებული გირავნობის დროს გირავნობის საგანი რჩება დამგირავებლის მფლობელობაში, მაგრამ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ამ ნივთის (თუ უფლების) დატვირთვა **გირავნობით ფორმდება მარეგისტრირებელ ორგანოში** (საჯარო რეესტრი ან შსს მომსახურების სააგენტო) **რეგისტრაციით.** განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, სსკ-ის 258-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **რეგისტრირებული გირავნობის ნამდვილობისათვის აუცილებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმება და გირავნობის უფლების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში - საჯარო რეესტრში ან მომსახურების სააგენტოში.** მოგირავნეზე ნივთის გადაცემა კი არ არის სავალდებულო. (***შდრ.*** *ლ.ჯანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 122-124;* ***138.,*** *გ.რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 254, ველი 6, მუხლი 255, ველი 3, თბილისი, 2018).

229. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით. გრამატიკული განმარტებისას ნორმის შინაარსის დადგენა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით. კანონის ტექსტში გამოყენებულ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა

მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება გაირკვეს არა იზოლირებულად, არამედ ტექსტთან კავშირში(კონტექსტში). გრამატიკული განმარტება არკვევს არა ერთმანეთისაგან იზოლირებული სიტყვების, არამედ მთლიანად წინადადებების მნიშვნელობას. გრამატიკული განმარტება, ასევე ითვალისწინებს სიტყვათა შორის ლოგიკურ კავშირს და მთლიანად წინადადების ლოგიკურ სტრუქტურას. გრამატიკული განმარტების დროს, ასევე გასათვალისწინებელია სასვენი ნიშნების განლაგება, ვინაიდან იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილზეა დასმული წერტილი, მძიმე, ორი წერტილი, ტირე და სხვა, შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული ნორმის შინაარსი.

230. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განმარტების გრამატიკული მეთოდის მეშვეობით ხდება კანონის ნორმის, მისი ცალკეული წინადადების გამოკვლევა გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის, სიტყვათა წყობისა და გრამატიკის ზოგადი წესების მიხედვით. ამ დროს მხედველობაში მიიღება როგორც ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის ზოგადი (ენობრივი) გამოყენება, ისე იურიდიული, უპირატესად შესაბამის კანონში მინიჭებული მნიშვნელობა. (**იხ.დამატებით:** *დ.კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 66.).*

231. გრამატიკული განმარტების მეთოდის გამოყენების შედეგად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 258 I-ე მუხლის დანაწესით, ადგილი აქვს კუმულაციას და არა ალტერნატივას, ანუ რეგისტრირებული გირავნობის ნამდვილობისათვის (მოგირავნის მოთხოვნის უფლების წარმოშობა) საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა (მოგირავნე - დამგირავებელი) წერილობითი შეთანხმება, არამედ ასევე სავალდებულოა გირავნობის უფლების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში.

232. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ქონებაზე სანივთო უფლებათა წარმოშობის პროცესში, რეგისტრაციის ინსტიტუტი კონსტიტუციური მნიშვნელობით დამკვიდრდა ქართულ კანონმდებლობაში. სსკ-ის 310-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შეტანის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

233. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგება ძალაში შედის გარიგებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის ფაქტზე დამოკიდებულია როგორც უფლების წარმოშობა, ასევე საჯარო რეესტრში წარსადგენი გარიგების ძალაში შესვლა (კონსტიტუციური მნიშვნელობა). (***იხ. დამატებით:*** *თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, გვ.443).* საჯარო რეესტრის სტრუქტურაში ხორციელდება რამდენიმე სახის რეესტრის წარმოება: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი; საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო

გირავნობის/იპოთეკის რეესტრი; **მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრი;** მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი; სამისამართო რეესტრი; ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრი. (საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-4 მუხლი).

234. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ სიკეთეზე უფლებათა რეესტრი არის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაციის, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების და უფლების შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება გირავნობა. **გირავნობის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. (შდრ.** *საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-16 I მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 16 II ნაწილი).* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311^1-ე მუხლის თანახმად, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესი.

235. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 311^1-ე მუხლის დანაწესის მიზანია, უფლების რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრში წარდგენილი გარიგების მატერიალური და ფორმალური წინაპირობების დადგენა. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტარციის საფუძველია სამართლებრივი აქტი (უფლების დამდგენი დოკუმენტი). რეგისტრაციას დაქვემდებარებული უფლების წარმოშობისათვის საკმარისი არ არის მხარეთა შეთანხმება, არამედ საჭიროა უფლების წარმოშობის შესახებ პირთა ნების გამოვლენა, დადასატურებული იქნეს საჯარო აქტით. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი გარიგება უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო რეესტრში უფლების საფუძვლად არსებული გარიგება წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. **საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს არა მხოლოდ ქონებაზე უფლების წარმოშობას, არამედ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგებები ძალაში შედის ამ გარიგებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. შედეგად, უფლების წარმოშობა და გარიგების ძალაში შესვლა ხდება ერთდროულად რეგისტრაციის დასრულებისთანავე.** ***(იხ.დამატებით:*** *თ.შოთაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ველი 24., თბილისი, 2018, გვერდი 618.).* **რეგისტრირებული გირავნობისას გირავნობის უფლებისათვის რეგისტრაციას კონსტიტუციური და არა მხოლოდ დეკლარატორული მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ის წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.** (***შდრ.*** *გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 258, ველი 5,6, თბილისი, 2018).*

236. საკასაციო პალატა არარელევანტურობის გამო არ იზიარებს კასატორის მიერ მითითებულ სასამართლო პრაქტიკას (სუსგ №ას- 797-764-2016, 0- ოქტომბერი, 2016, სუსგ №ას-343-326-2016, 08 სექტემბერი, 20.. **რადგან ორივე განჩინება შეეხება იჯარის ხელშეკრულების** საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხს, მაშინ, როდესაც, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2015 წლის 06 ნოემბერს „M– L"-სა და სს „ს-ს" შორის წერილობითი ფორმით გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელის სასარგებლოდ დაგირავებული იქნა „M- L"-ის არამატერიალური აქტივი - A-ს 10%-იანი წილი, **(იხ.ტ.1.ს.ფ.85),** ხოლო 2016 წლის 22 აგვისტოს გაფორმდა გირავნობის მეორე ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელის სასარგებლოდ დაგირავებული იქნა „M- L"-ის არამატერიალური აქტივი - შპს „რ–ის" 10% -ანი წილი. **(იხ.ტ.1.ს.ფ.105).**

237. „ M- L"-ის წარმომადგენელმა შესაგებლითა **(იხ.ტ.1.ს.ფ.253-262)** და სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ როგორც 2015 წლის 06 ნოემბერის, ასევე 2016 წლის 22 აგვისტოს გირავნობის ხელშეკრულებები ბათილია, რადგან ჯერ ერთი, „ M- L"-ს არ ჰქონდა უფლებამოსილება დაედო აღნიშნული გარიგებები და სს „ს–ისთვის" ცნობილი იყო უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ კი, ვინაიდან არ მომხდარა გირავნობის რეგისტრაცია შესაბამისი წესით, აღნიშნული ხელშეკრულებები არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს **(იხ. ტ.1.ს.ფ.41, პ.2.4).**

238. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ გარემოებას, რომ „M- L"-ს არა აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილების ნაკლის გამო აღნიშნული გირავნობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და შემოიფარგლა მხოლოდ ახსნა-განმარტებით **(იხ.ტ.1.ს.ფ.258),** თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელის (პირველი კასატორი) მიერ არ მომხდარა 2015 წლის 06 ნოემბერის, ასევე 2016 წლის 22 აგვისტოს გირავნობის ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. აღნიშნული დაადასტურა მოსარჩელის წარმომადგენელმაც **(იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმი, 10:45:33 წთ, ტ,1.ს. ფ.23).**

239. საკასაციო პალატა **დამატებით ყურადღებას გაამახვილებს 2016 წლის 22 აგვისტოს მხარეთა შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულების 5.13-ე და 7.1.3-ე პუნქტებზე,** კერძოდ, 5-13-ე პუნქტის მიხედვით (დ) **რეესტრი** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი. 7.1.3 -ე პუნქტის მიხედვით კი, „დამგირავებელს უფლება აქვს ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისა და საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, თუ გირავნობის უფლების შეწყვეტა, **მათ შორის შეწყვეტის რეგისტრაცია რეესტრში**, დამოკიდებულია ბანკის ქმედებაზე, მოსთხოვოს მას ამ

ქმედების შესრულება“. (**იხ.ტ.1.ს.ფ.105, 107).** მხარეთა შორის 2015 წლის 06 ნოემბერს დადებული წილის გირავნობის ხელშეკრულების 3-ე მუხლით, ასევე გათვალისწინებული იქნა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის გირავნობის რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება **(იხ.ტ.1.ს.ფ.89).**

240. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, **რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.** ამიტომაც საკასაციო პალატა შეფასების გარეშე ტოვებს კასატორის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს წარმოდგენილ განცხადებაში მითითებულ ახალ გარემოებებს და განცხადებაზე დართულ ახალ მტკიცებულებებს, რომლითაც კასატორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ 2019 წლის 25 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერით, **რომლის საფუძველიცაა ნოტარიუს ი. შ-ის მიერ 2019 წლის 16 ივლისს დამოწმებული გირავნობის ხელშეკრულება,** (და არა საქმეში განთავსებული სადავო გირავნობის ხელშეკრულებები) 2019 წლის 25 ივლისის მდგომარეობით სჯარო რეესტრში რეგისტრირებულია შპს „რ-ში“ „M- L”-ის საკუთრებაში არსებულ 10%-იან წილზე პირველი კასატორის სასარგებლოდ რეგისტრირებული გირავნობა.

241. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელეს (პირველი კასატორი) „M- L”-ის სახელზე რეგისტრირებულ საწარმოს წილებზე არ წარმოშობია 2015 წლის 06 ნოემბერის და 2016 წლის 22 აგვისტოს ხელშეკრულებებების საფუძველზე გირავნობის უფლება, რაც გირავნობის საგნის რეალიზაციის ნაწილში საკასაციო საჩივრის (შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

242. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ როგორც ფაქტების მითითების, აგრეთვე მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით, უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს

როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო **თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.**

243. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო შესაგებლის სტადიაზე, მით უმეტეს, მტკიცების სტადიაზე არ უნდა გადავიდეს, თუ მოსარჩელემ არ მიუთითა ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას.

244. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ წინამდებარე განჩინების პ.53-55, 57-60 ში აღნიშნული გარემოებები, მოსარჩელის მიერ (პირველი კასატორი) **არ არის მითითებული არც სარჩელში, არც საქმის მომზადების სტადიაზე გამართულ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმში**. უფრო მეტიც, პირველი კასატორი საქართველოს უზენაესს სასამართლოში 2019 წლის 19 სექტემბერს წარმოდგენილ წერილობით შემაჯამებელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ **„განსახილველ შემთხვევაში, ბანკმა არ ჩათვალა საჭიროდ სარჩელში თანხმობის ფაქტის მითითება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანხმობა არსებობდა, როგორც წინასწარი სახით, ისე შემდგომი - კონკლუდენტური მოქმედებით. ბანკის აღნიშნული ქმედება იყო სრულიად შეგნებული, რადგან მოქმედი კანონმდებლობისა და დოქტრინის გათვალისწინებით, მას ჩამოუყალიბდა სამართლებრივი პოზიცია, რომლის თანახმადაც, თანხმობის არსებობა/არარსებობა არ არის იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ქმედების შემადგენლობის ელემენტი და შესაბამისად, არ შედის მტკიცების საგანში**.(იხ. შემაჯამებელი სიტყვა, პ.5, 2019 წლის 19 სექტემბერი). შესაბამისად, სსსკ-ის მე-4 მუხლის და 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს იმ გარემოებებზე, რაც მოსარჩელეს არ მიუთითებია სარჩელში.

245. პირველი კასატორის საპროცესო-სამართლებრივი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მომწესრიგებელი ნორმების გაუგებარი გამოყენებით, საფუძველი გამოაცალა სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, კანონმდებლობა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. გასაჩივრებული განჩინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გააზრებული გამოყენებული ნორმების მიზანი და უგულვებელყოფილი იქნა კეთილსინდისიერი მხარის ინტერესი. დავის არსიდან და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან გამომდინარე, იგი განხილული უნდა იქნეს, როგორც პრეცედენტის შემქმნელი გადაწყვეტილება სადავო საკითხებთან

დაკავშირებით. სასამართლოს მიერ პრეცედენტული გადაწყვეტილების შექმნის პროცესში კი მნიშვნელოვანია გააზრებული იქნეს სადავო საკითხის მასშტაბურობა, ვინაიდან, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამართლის ძირითადი პრინციპების სწორად გააზრების გარეშე, ვიღებთ მართლწესრიგისა და ეკონომიკური სტაბილურობისათვის საფრთხის შემცველ გადაწყვეტილებას. საქმის განმხილველი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ფართოდ უნდა იაზრებდეს კანონმდებლის მიზანს და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არ უნდა იყოს სასამართლოს განჭვრეტადობისათვის საფუძვლის გამომცლელი. (იხ.დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, ტ.3.ს.ფ.31. წინამდებარე განჩინების პ.61).

246. საკასაციო პალატა განსახილველ შემთხვევაში არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას მხარისათვის განჭუვრეტადი შედეგის დადგომასთან მიმართებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

247. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამრთლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც

წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

248. საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაზე კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. კანონის ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა დადგა საქმეში ALBU AND OTHERS v. ROMANIA *(Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი)* §§*: 34 (III, IV),* რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც იმპლიმენტირებულია კონვენციის ყოველ მუხლში და ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს. სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, დასახელდა *სამართლებრივი სტაბილურობის inter alia,* გარანატად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას სასამართლოების მიმართ. სასამართლო გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოსდგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. (მსგავს საკითხებზე აგრეთვე იხ., *Iordan Iordanov and Others*, §-47; *Ştefănică and Others*, §-31). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა **შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას** (Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [GC] *(Application no. 13279/05),* 21 ოქტომბერი, 2011 წელი, §§59-96) და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

249. სამოქალაქო სამართალწარმოებაში სამართლებრივი განჭვრეტადობის საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი - ***„სამართლებრივი განჭვრეტადობისა და ლეგიტიმურ მოლოდინთა დაცვის მოთხოვნა, არ მოიაზრებს საკუთარ თავში მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკისაგან გადახვევის დაუშვებლობის უფლებას.“*** (შდრ. Unédic v. France (უნედიჩი საფრანგეთის წინააღმდეგ), N 20153/04, § 74.).

250. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დანაწესი, რომელიც მოიცავს საქმის სამართლიანი განხილვის უფლების პროცედურულ გარანტიებს, კერძოდ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, თავისთავად არ გადასცემს პირს უფლებას ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე. ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში მოცემული განმარტებების შესაბამისად, „სასამართლო პრაქტიკის განვითარება, როგორც ესეთი, არ მოდის წინააღმდეგობაში მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებასთან, ვინაიდან დინამიური და მუდმივად განვითარებადი მიდგომის შეუნარჩუნებლობა ამ მიმართულებით შესაბამის პროგრესსა და გაუმჯობესებას შეუშლიდა ხელს.“ (***შდრ.*** *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [GC], N 13279/05, § 58, 20 **ოქტომბერი** 2011; Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [GC], N 76943/11, § 116, 29 ნოემბერი 2016.*). „სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნების შესაძლებლობა თავისი ბუნებით ყველა ისეთი სასამართლო სისტემის თანმდევი შედეგია, რომელიც შესაბამისი ტერიტორიული იურისდიქციის მქონე, რამდენიმე ინსტანციის სასამართლოთა ქსელზეა დაფუძნებული. ამგვარი არაერთგვაროვნება შეიძლება სახეზე გვქონდეს ერთსა და იმავე სასამართლოს პრაქტიკაშიც. თუმცა, აღნიშნული გარემოება ავტომატურად ვერ მიიჩნევა კონვენციის საწინააღმდეგოდ.*“* რაც შეეხება უშუალოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლს ეროვნულ დონეზე არაერთგვაროვანი პრაქტიკის შეფასების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ *„პრინციპში მისი როლი არ მოიცავს იმ ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებების შედარებას, რომელთა დამოუკიდებლობასაც ვალდებულია, პატივი სცეს იმ შემთხვევებშიც კი, რომლებიც ერთი შეხედვით შესადარებელი ან დაკავშირებული არიან.“ (**შდრ.*** *Santos Pinto v. Portugal, N 39005/04, § 41, 20 მაისი 2008.).*

251. შესაძლოა რიგ შემთხვევებში სახეზე გვქონდეს საქმეები, რომლებშიც სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნება წარმოადგენდეს სტრასბურგის სასამართლოს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევის დადგენის საფუძველს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ერთ-ერთ საქმეში, უმაღლესმა ეროვნულმა სასამართლომ მიიღო “რადიკალურად ურთიერთსაპირისპირო“ გადაწყვეტილებები და ერთგვაროვანი პრაქტიკის გარანტორი, ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი მექანიზმები დროულად არ გამოიყენა, რის შედეგადაც სამართლებრივი განჭვრეტადობის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა. (***შდრ.*** *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [GC], N 76943/11, § 116-135, 29 ნოემბერი 2016.).* სხვა საქმეში, რომელშიც უზენაესმა სასამართლომ „გადაუხვია“ როგორც ქვედა ინსტანციებში, ისე თავად უზენაეს სასამართლოში დადგენილ პრაქტიკას, სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „სათანადოდ ჩამოყალიბებული პრაქტიკის არსებობა ერთგვარ ვალდებულებას აკისრებს უზენაეს სასამართლოს უფრო დასაბუთებულად მიუთითოს ის მიზეზები, რომლებითაც მის მიერ პრაქტიკიდან „გადახვევას“ ამართლებს.“ (***შდრ.*** *Atanasovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia, N 36815/0-, § 38, 14 იანვარი 2010.).*

252. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით,

სამართლებრივი განჭვრეტადობის დარღვევას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ახდენს დადგენილი სასამართლო პრაქტიკისაგან გადახვევას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. "კანონმდებლს აკისრია ვალდებულება, რომ მოსამართლე უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, გარდაუვალობას, იმავდროულად, მოქალაქეს უქმნიან წარმოდგენას, თუ რა ზომები იქნება მის მიმართ გატარებული". (***იხ**. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/384).*

253. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. **ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.**

254. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლენი, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

255. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე- 4 და მე-5

მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

256. სსსკ-ის მე–4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, **უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.** მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ–ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

257. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178–ე მუხლის „ ე“ ქვეპუნქტში, **რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს,** აგრეთვე სსსკ-ის 201–ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178–ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები.

258. **საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრიციპი გამოხატულია სსსკ-ის 102–ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.**

259. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

260. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები.

261. პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

262. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

263. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

264. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. **მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი**

ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვნადობის პრინციპების მოთხოვნა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

265. სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) გარემოებები, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს (ე.წ. აწმყოს ფაქტები) და ამიტომ შესაძლებელია მათი გრძნობადი აღქმის გზით დადგენა და ბ) გარემოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში და ამიტომ მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით, მტკიცებულების გამოყენებით.

266. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. მაგალითად, სსსკ-ის 102–ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივივ გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება და ა.შ.

267. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლო (საპროცესო) მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, თუ ვინ არის სასამართლო მტკიცების სუბიექტი. სასამართლო მტკიცების სუბიექტებად სამოქალაქო პროცესში გვევლინებიან მხარეები - მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თანამონაწილეები.

268. **საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცება წარმოადგენს სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა.**

269. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ

მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

270. შესაბამისად, **სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება–გამართლების მიზნით.** რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება,ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. **მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.**

271. შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგნის განსაზღვრის დროს უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ სარჩელისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის მითითებული ფაქტებით, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც კანონის თანახმად არ აქვს მნიშვნელობა ამ მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. თუ ეს ფაქტები იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნას (შესაგებელს) – სასამართლომ არ უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

272. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცომა ფაქტების მითითების დროს, **შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოაწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე–4 მუხლი)“.** (*იხ. თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).*

273. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, **ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.**

274. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევი: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. **მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას.** თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. **ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები.** თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“. (***იხ.*** *თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4).* „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. **შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (*****იხ.*** *ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 200-, გვ.64).* შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? **იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად,**

სასამართლოს ეს არ შეუძლია. (***იხ.დამატებით:*** *თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ.87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 200-, გვ.64*).

275. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. **ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.**

276. ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს საოჯახო საქმეების განხილვის დროს. სსსკ-ის 354-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა–განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. ის რაც დასაშვებია საოჯახო–სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას, დაუშვებელია სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვისას.

277. გაცილებით უფრო აქტიურ როლს ასრულებს სასამართლო მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში. სსსკ-ის მე–4 მუხლის მე–2 ნაწილი, ამკვიდრებს ორ მთავარ იდეას: ა) საქმის გარემოებათა, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების (მტკიცების საგნის) გასარკვევად სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა, ბ) სასამართლოს ინიციატივის ფარგლები არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს შეჯიბრებითობის პრინციპის არამართლზომიერი შეზღუდვა ან დარღვევა. სასამართლოს ინიციატივის ფარგლები განსაზღვრულია კანონით, რაც უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპის, მისი შინაარსის სრულყოფლად რეალიზაციას. როგორია სასამართლოს ინიციატივის კანონით განსაზღვრული ფარგლები? პირველი – თუ სასამართლოს შეხედულებით მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია ან ვერ პასუხობენ მტკიცებულებათა განკუთვნადობის თუ დასაშვებობის მოთხოვნებს, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი

მტკიცებულებები (სსსკ-ის 10--ე მძუხლი). მეორე – მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები, მაგრამ თუ მათ, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ვერ შეძლეს საჭირო მტკიცებულებათა პირადად მიღება და მათი სასამართლოში წარდგენა იმის გამო, რომ პირი, რომელმაც ეს მტკიცებულება უნდა გასცეს, უარს ამბობს მხარისათვის მის გადაცემაზე, მაშინ ამ მხარის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს ეს მტკიცებულება ამ პირისაგან სსსკ–ით დადგენილი წესით (სსსკ 134-ე, 136-ე, 154-ე 156-ე და 203-ე მუხლები). მესამე – სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მოახდინოს ადგილზე დათვალიერება იმ წერილობითი, თუ ნივთიერი მტკიცებულებებისა, რომელთა სასამართლოში წარდგენა მათი მოცულობის თუ ოდენობის გამო ძნელია ან შეუძლებელია. მეოთხე – სასამართლოს შეუძლია საქმის მომზადების წესით ან საქმის ზეპირი განხილვის დროს თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა, თუ საჭიროა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოების დადგენა, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს (სსსკ-ის 162-ე, 203-ე მუხლები). ასეთია მხარეთა შეჯიბრებაში სასამართლოს ინიციატივისა და მისი აქტიური როლის ფარგლები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, რის გამოც უზრუნველყოფილია შეჯიბრებითობის მტკიცედ და განუხრელად გატარება, მისი დაღრვევის თავიდან აცილება.

278. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 4 I-ელ მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინიციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს თავის მხრივ შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამარტო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოობას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან

არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

279. "მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით..." (*შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).*

280. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი.

281. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

282. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება. შესაგებელი, ისევე როგორც სარჩელი,

ყველა შემთხვევაში წერილობითი ფორმით (როგორც წესი ნაბეჭდი სახით) უნდა იყოს შედგენილი.

283. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებიდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

284. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკასა თუ დოქტრინაში შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას უთანაბრდება (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ), ანუ სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას - მოსამართლე სარჩელში მითითებულ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეუდავებლად (დამტკიცებულად) მიიჩნევს, ამასთან, თუ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხე ვერ განახორციელებს ფაქტობრივ შედავებას, მათ შორის მტკიცებულებათა წარდგენას (სსსკ-ის 232[1] მუხლი), შესაბამისად, მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შედავების უფლება რჩება. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები_ დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში

მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევია მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოიწურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; **მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და** ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია,თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

285. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაკნელის ნების ავტონომის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

286. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

287. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და

დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). **სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე.** სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (***შდრ.*** *სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).*

288. ***მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი*** - ამ ტიპის შეპასუხების წარდგენის დროს მოპასუხე სადავოდ არ ხდის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, იგი ფაქტობრივად ეთანხმება მოსარჩელეს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებში, თუმცა, მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა მისი მხრიდან ვალდებულების სრულად შესრულების გამო (ასეთი მოცემულობის პირობებში მტკიცების საგანში შედის მხოლოდ ერთი გარემოება _ „ვალდებულების შესრულება“, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ ვალდებულება არ შესრულებულა (მითითების ტვირთი), რომლის გაქარწყლება და დამტკიცებაც მოპასუხის მხარესაა.

289. ***მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი*** _ ამ ტიპის შედავების წარდგენის დროს მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაჟღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი). მოთხოვნის შემაფერხებელ შესაგებელთან გვაქვს საქმე ასევე, როდესაც მოპასუხე უთითებს მოსარჩელის მხრიდან საპასუხო მოქმედების შესრულებაზე (სსკ-ის 369-ე მუხლი), შესრულების ვადის დაუდგომლობაზე (სსკ-ის 361.2 მუხლი).

290. *მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი* - ამ ტიპის შეპასუხების დროს მოპასუხე არ ეთანხმება მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ ფაქტებს (მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს), შესაბამისად, თუ მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს სადავო (დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე) გარემოებებს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის წარმატება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირობების მითითება/დადასტურებაზეა დამოკიდებული, ასეთი შედავების დროს მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამორიცხავენ, საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამორიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას.

291. შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (***შდრ.*** *მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.*) კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

292. სსსკ-ის 4.1 მუხლის მიხედვით, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს ავისმოთხოვნებს. მოხმობილი ნორმები განსაზღვრავენ მხარეთა ტვირთს ფაქტების მითითების თაობაზე. განსხვავებით მტკიცების ტვირთისაგან, რომელსაც მოსამართლე აქტიურად ხელმძღვანელობს და კარნახობს მხარეებს, თუ ვინ უნდა ამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი, იგი პასიურია ფაქტების მითითებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე ვერ დაეხმარება მხარეს სარჩელის/შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთების შედგენაში. **მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს.**

293. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და

თითეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

294. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე.

295. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ **მოთხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების (გამომრიცხავი ნორმების)** შემოწმება მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად: **ა)** მოპასუხის მიერ ასეთი შესაგებლის განხორციელების შემთხვევაში **უპირველესად უნდა იქნეს მოძიებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა,** რომელიც შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოსარჩელის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; აღნიშნული სამართლებრივი ნორმა, ისევე, როგორც მოსარჩელის სტადიაზე მოსაძიებელი მოთხოვნის საფუძველი, უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან. **ბ)** შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მოპასუხის ახსნა-განმარტებების შემოწმება ზუსტად ისე, როგორც მოსარჩელის განმარტებების შემოწმება ხდება მოსარჩელის სტადიაზე. კერძოდ, მოპასუხის შესაგებელი მოწმდება ზემოხსენებულ საპირისპირო ნორმასთან მიმართებით. ამრიგად, ამ ეტაპზე **მოპასუხის განმარტებები უნდა ასაბუთებდეს ამ საპირისპირო ნორმის დისპოზიციის არსებობას და ამ კუთხით უნდა იყოს გამართული.** **გ)** მესამე ეტაპზე უნდა შემოწმდეს უკვე **მოსარჩელის პასუხი, რამდენად სათანადოდ (საკმარისად) ედავება იგი საპირისპირო ნორმის შედეგის დამფუძნებელ გარემოებებს.**

296. იმ შემთხვევაში, თუ **მოპასუხე** სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს **საპირისპირო ნორმის**

წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე **სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას** და **თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო;** თუ მოპასუხე **სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას** და ასევე **საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ** მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

297. **შპს ,,ს"-მა 2017 წლის 25 დეკემბერს წარდგენილი მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით, სარჩელი დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი გარემოებების გამო:** მართალია მხარეებს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, თუმცა, მოპასუხის ქონება დაიტვირთა ფიზიკური პირების რ. ფ-ასა და ქ.ჩ–ს მიერ გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე გასაცემი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით და არა შპს ,,ფ–ის" სესხის უზრუნველყოფისათვის. იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, შესაბამისად, იპოთეკის საგნის მესაკუთრე პირისათვის, რომელიც არ არის მსესხებელი, დიდი მნიშვნელობა გააჩნია, თუ ვინ წარმოადგენს მსესხებელ მხარეს. ქონების იპოთეკით დატვირთვისას მესაკუთრე ყოველთვის რისკის ქვეშ არის, რადგან უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საფრთხის ქვეშ დგება მისი ქონება, რის გამოც ყოველი პირი, ასეთი ნაბიჯის გადადგმისას აფასებს, რამდენად კეთილსინდისიერია მსესხებელი და ამასთან ერთად, მისი ფინანსური მდგომარეობა იძლევა თუ არა კრედიტის დაფარვის შესაძლებლობას. შპს ,,ს"-ის დირექტორის და იმ დროს დამფუძნებელი პირის მიერ სწორედ რ.ფ–ას და ქ.ჩ–ს კეთილსინდისიერება და ფინანსური მდგომარეობა იქნა შეფასებული და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა არპირადი მოვალე იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიერ მსესხებლის ვალის უზრუნველყოფის მიზნით ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე თანხმობის გაცემა. სს „ს–ის" მიერ კი, ისე, რომ ამის შესახებ იპოთეკის საგნის მესაკუთრე შპს ,,ს"-ისათვის ცნობილი არ ყოფილა, მოხდა მოვალე პირების ჩანაცვლება, კერძოდ კი 2017 წლის 30 იანვარს რ. ფ-ასა და ქ.ჩ–ს ნაცვლად მოვალე მხარედ ჩაენაცვლა შპს ,,ფ–ი", ისე რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ამაზე თანხმობა არ განუცხადებია. სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, ამისათვის საჭირო იყო მესაკუთრისა და კრედიტორის

შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რაც არ განხორციელებულა. მითითებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ იმგვარად, რომ სიტყვა „სხვა მოთხოვნა“ გულისხმობს მხოლოდ ახალი საფუძვლით თუ ახალი გარიგებით წარმოშობილ სხვა მოთხოვნას. აქ იგულისხმება ის შემთხვევაც, როდესაც იცვლება მოვალე პირი, ანუ მოთხოვნა წარდგენილია არა თავდაპირველი, არამედ ახალი მოვალის მიმართ. რადგან იპოთეკა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა და უზრუნველყოფის გამცემი პირისათვის მოვალის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამომდინარე იქიდან, რომ ურთიერთობების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მოვალის გადახდისუნარიანობაზე და ნდობაზე, რომ ის შეძლებს თავისი ვალდებულების შესრულებას. **ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრეს ეცნობოს, რათა რეალურად შეფასებული იქნეს ახალი მოვალე პირი შეძლებს თუ არა ვალდებულების შესრულებას და მესაკუთრე ეთანხმება თუ არა უზრუნველყოს ახალი მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა.** სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი, სწორედ იპოთეკის საგნის მესაკუთრის დამცავი ნორმაა და სავალდებულოს ხდის მის თანხმობას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ ვისთან უნდა დადონ ხელშეკრულებები, ვინ იქნება მათი კონტრაქტორი მხარე და ვისთან უნდა შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობებში. მესაკუთრე, როდესაც ის არ არის მოვალე, სამართლებრივ ურთიერთობაში შედის როგორც კრედიტორთან, ასევე მოვალესთან. მას შეიძლება მომავალში იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნები წარმოეშვას მოვალესთან და შესაბამისად, **მესაკუთრის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება, თანაც ის, რომ არაფერი ჰკითხონ მოვალის ცვლილებასთან დაკავშირებით, არ გამომდინარეობს კანონიდან. ამას მოწმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ვალის გადაკისრებისას ანუ მოვალის ცვლილებისას, შეწყვეტილად ითვლება თავდებობა და გირავნობა და ამ კონტექსტში სრულიად წარმოუდგენელია არ იყოს გათვალისწინებული იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლებები, მით უმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც უძრავი ქონების დაცვის უფრო მაღალ გარანტიებს აწესებს სახელმწიფო, თუნდაც საჯარო რეესტრის არსებობით და კეთილსინდისიერი შემძენის ცნებებით.** სსკ-ის 206-ე მუხლის დანაწესმა არ მოიცვა იპოთეკის ხელშეკრულება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იპოთეკის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური ფორმა და გარიგების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საკმარისი ვერ იქნება მესკუთრის მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი, ან კონკლუდენტური ფორმის თანხმობის განცხადება, (რაც თავდებობისა და გირავნობისათვის საკმარიასია) და ამიტომაც სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს, რომ საჭიროა ასევე რეესტრში

რეგისტრაციაც. საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა და მისი განკარგვის საკითხი მესაკუთრის გარდა, სხვა პირის გადასაწყვეტი ვერ იქნება. სს „ს–მა“ ისე შეცვალა მოვალე პირი, რომ იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის არ მიუცია შესაძლებლობა, შეეფასებინა ახალი პირის ქონებრივი შესაძლებლობები და მისი გადახდისუნარიანობა, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. ბანკი არ იყო უფლებამოსილი, ასე ჩარეულიყო შპს „ს“-ის უფლებებში. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სს „ს–ის“ მიერ მოხდა მოვალე პირის ცვლილება და ეს ცვლილება იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან არ შეუთანხმებია და არ დაურეგისტრირებია საჯარო რეესტრში, ნიშნავს, რომ კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე, შესაბამისად, ბანკის მოთხოვნა შპს „ფ–ს ნ–ის“ მიმართ არ არის უზრუნველყოფილი შპს „ს“-ის უძრავი ქონებით.

298. შპს „ს“-მა აგრეთვე მიუთითა, რომ მის მიერ მოძიებული იქნა ქართულ კანონმდებლობასთან ყველაზე ახლოს მდგომი სამართლის - გერმანიის სამოქალაქო კოდექსისი შესაბამისი ნორმები და აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლი ანალოგიურად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს, ვინაიდან მოვალის შეცვლა უზრუნველყოფის მიმცემისათვის (თავდები, დამგირავებელი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე) გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვინაიდან სრულიად შესაძლებელია, რომ ახალი მოვალე უფრო ნაკლებად გადახდისუნარიანი აღმოჩნდეს, ვიდრე თავდაპირველი მოვალე იყო.

299. შპს „ს“-მა აგრეთვე მიუთითა, გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების დროს წარმოდგენილი იქნა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, სადაც სესხის მაქსიმალურ მოცულობად მითითებული იყო კონკრეტული თანხა 5000000 მილიონი აშშ დოლარი და სწორედ ამ ფარგლებში გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულებაც; აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ნომერი და არ არის აღნიშნული, რომ მასში ცვლილებები იქნა შეტანილი რომელიმე სხვა დამატებითი შეთანხმებით, მაშინ როდესაც გირავნობის საგნის მესაკუთრე შპს „მ-ესთან“ გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებაში მითითებულია ყველა იმ შეთანხმების ნომერი და თარიღი, რომელიც გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების შემდეგ. ამის გათვალისწინებითაც არ უნდა მოხდეს შპს „ს“-ის ქონების რეალიზაცია მოსარჩელის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ს–მა“ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში ახალი მოვალის ჩანაცვლებით უარი თქვა შპს „ს“-თან გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაზე, ამიტომაც არ არსებობს ქონების რეალიზაციის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი (იხ. დეტალურად შპს „ს“-ის შესაგებელი, ტ.1.ს.ფ. 237-250).

300. **საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში დადგენილად ცნობილ გარემოებებზე,** რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ 2018 წლის 9 მარტის განჩინებით დანიშნა საქმეზე მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 16 აპრილს

(იხ.ტ.1.ს.ფ.339). აღნიშნული განჩინება პირველ კასატორს ჩაბარდა 2018 წლის 12 მარტს (იხ.ტ.1.ს.ფ.341). საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2018 წლის 16 აპრილს (იხ.ტ.2.ს.ფ.1). საქმეზე მთავარი სხდომა ჩატარდა 2018 წლის 25 აპრილს (იხ.ტ.2.ს.ფ.22). ანუ მოპასუხის მიერ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენიდან საქმეზე მოსამზადებელი სხდომის ჩატარებამდე (2017 წლის 25 დეკემბერი - 2018 წლის 16 აპრილი) გავიდა რამდენიმე თვე, თუმცა კი ბანკს შპს „ს-ის“ შესაგებელის ჩაბარების შემდეგ, არ უსარგებლია სსსკ-ის 83-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, არ წარუდგენია დაზუსტებული სარჩელი, არც სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მიუთითებია წინამდებარე განჩინების პპ.53-60 -ში მითითებული გარემოებები. „შპს ს“-მა 2018 წლის 09 ოქტომბერს წარადგინა სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი, სადაც არ დაეთანხმა აპელანტი ბანკის მოსაზრებას სასამართლო გადაწყვეტილების განუჭვრეტადობასთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ მოპასუხეს ყველა ეს გარემოება და საფუძველი მითითებული ჰქონდა სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში. სწორედ მითითებული არგუმენტები გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლომ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციაზე ბანკის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ამიტომაც არ უნდა ყოფილიყო მოსარჩელე აპელანტისათვის მოულოდნელი და განუჭვრეტადი, მიღებული გადაწყვეტილება. (იხ.ტ.2.ს.ფ.250).

301. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას, განსახილველ შემთხვევაში მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების განუჭვრეტადობასთან დაკავშირებით.

302. რაც შეეხება შპს „რ–ის“ (მეორე კასატორი) საკასაციო საჩივარს, მეორე კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, კერძოდ, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში - სსსკ-ის) 102-ე და 10--ე მუხლები და საქმის განხილვისას მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც, რომლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ან დავალების საფუძველზე, მაგრამ ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს მინდობილობაში. მეორე კასატორის განმარტებით, წესდების მიხედვით, მოპასუხე კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა პარტნიორთა საერთო კრება, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებას სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფაზე და არა საზოგადოების გენერალური დირექტორი. შესაბამისად, 2014 წლის 18 თებერვლის სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება ვერ ჩაითვლება სამართლებრივი ვალდებულების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მოპასუხის დირექტორმა, რომელსაც წესდებით შეზღუდული ჰქონდა ამგვარ გარიგებაზე

ხელის მოწერა და საჭიროებდა მინდობილობას. მეორე კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა შპს „ფ–ის“ მიერ კრედიტის დაფარვის გრაფიკი, მაშინ, როდესაც ბანკის მიერ წარმოდგენილი ცნობა დავალიანების შესახებ, მხოლოდ ცალმხრივად მიუთითებდა სარჩელით მოთხოვნილი ფულადი თანხის ოდენობას. ამასთან, მოსარჩელემ არ მიუთითა ვალდებულების დარღვევის ზუსტი პერიოდი, თუმცა, ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა, რომ მოპასუხეს გაეგზავნა და ჩაბარდა გაფრთხილების წერილები, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. ამას ადასტურებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის დოკუმენტები (**იხ**. მეორე საკასაციო საჩივარი).

303. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მეორე კასატორის (მოპასუხე) ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ პირველ კასატორთან 2014 წლის 18 თებერვალს დადებულ თავდებობის ხელშეკრულებას ხელს არაუფლებამოსილი პირი (დირექტორი) აწერს, რის გამოც, მეორე კასატორის მიმართ სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

304. საკასაციო პალატა მეორე კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით აღნიშნავს, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 10-ე მუხლის პირველი ნაწილით, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს, ან წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. სამეწარმეო სუბიექტებს შორის დადებული გარიგებების დროს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კანონის საფუძველზე გააჩნიათ დირექტორებს. თავდებობის ხელშეკრულებას მოპასუხის მხრიდან ხელს აწერდა დირექტორი მ.კ--ი, რომელიც გარიგების დადების მომენტისათვის იყო მოპასუხის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი. კომპანიის ყოფილი დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას რაც შეეხება, კერძოდ, მოქმედებდა თუ არა ის დამფუძნებელი პარტნიორის მითითებით და თანხმობით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ კონკრეტულ შემთხვევისათვის სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, რადგანაც მოსარჩელეს შეუძლია დაეყრდნოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3 მუხლი), რომლის გაქარწყლების გარეშე მოპასუხე დასახულ მიზანს ვერ აღწევს. თავდებობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მოპასუხის დირექტორმა მ.კ-მა დაადასტურა, რომ ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა ან/და მინდობილობა. ამასთან, მართალია, მოპასუხე აღნიშნავს, რომ კომპანიის დირექტორს დამფუძნებლის თანხმობის გარეშე არ შეეძლო თავდებობის ხელშეკრულების დადება მესამე პირის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა, მოპასუხეს თავდებობის ხელშეკრულების

ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ამ პირობებში, თავდებობის ხელშეკრულება მიიჩნევა ნამდვილად, რის გამოც, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა.

305. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც „მეწარმე სუბიექტთან გარიგების დადება მუდმივად არ უნდა იყოს დაკავშირებული რისკთან, რომ დირექტორის უფლებამოსილება შესაძლოა შეზღუდული აღმოჩნდეს. მესამე პირი, რომელიც შედის საწარმოსთან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის ვალდებული, შეამოწმოს საწარმოს შიდაკორპორაციული დოკუმენტები. მესამე პირებს უნდა შეეძლოთ დამატებითი შემოწმებებისა და დოკუმენტაციის მოძიების გარეშე მიიჩნიონ, რომ საწარმოს დირექტორი უფლებამოსილია, დადოს გარიგება საწარმოს სახელით. შეუძლებელი იქნებოდა ეფექტიანი სამოქალაქო ბრუნვის არსებობა, თუ ყველა კონტრაჰენტს მოვთხოვდით გარკვეულიყვნენ კონკრეტული საწარმოს შიდა პროცედურებში და საწარმოს ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნაში. ასეთი მიდგომა დააბრკოლებდა გარიგებების მარტივად და ეფექტიანად დადების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა მხარეების ტრანზაქციულ ხარჯებს.“

306. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4 მუხლის თანახმად, დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. აღნიშნული ნორმის თანახმად, საწარმოს დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებულ იქნა გარიგება, რომელმაც გარკვეული ზიანი მიაყენა საზოგადოებას, ამოქმედდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლით დაწესებული ნორმა საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ. გარე ურთიერთობებში, ანუ მესამე პირებთან ურთიერთობებში გამგეობა და დირექტორატი შეუზღუდავია და არც შეიძლება შეიზღუდოს თავის წარმომადგენლობით უფლებებში. საზოგადოების შიგნით, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობაში კი იგი ვალდებულია მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ე.ი. იმ ფარგლებში რომლებიც დაწესებულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული ხელშეკრულებით. დირექტორის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ის არ იწვევს მათთან დადებული გარიგებების ბათილობას.

307. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის მიხედვით, შპს-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა

შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 9.2 მუხლის მიხედვით კი, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხოლო თუ მესამე პირის თანხმობა ხელშეკრულების ან სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ინსტრუმენტის მეშვეობითაა გათვალისწინებული, ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა კონტრაჰენტის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, ანუ იმ გარემოებაზე, იცოდა თუ არა მან გარიგების დადებისას მისი ხელშემკვრელი მხარის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე. იურიდიული პირის შემთხვევაში, ამგვარი შეზღუდვა რეგისტრირებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, ან მესამე პირმა, რომლის თანხმობის გარეშეც დაიდო გარიგება, უნდა დაამტკიცოს, რომ ხელშემკვრელი მხარეები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და თანხმობის აუცილებლობის თაობაზე მათთვის ცნობილი იყო. ამ ნორმის სწორად განმარტება კი, სამეწარმეო სუბიექტებთან მიმართებით უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან, კონკრეტულ საზოგადოებას თავისი წესდებით შეუძლია დააწესოს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ყველა პარტნიორის თანხმობის აუცილებლობა ისეთ საკითხებზეც, რომლებზეც კანონით ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. მესამე პირებისათვის ამგვარ შეზღუდვას ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ იგი სამეწარმეო რეესტრში იქნება რეგისტრირებული. (*შდრ. სუსგ №ას-898-848-2015, 09 მარტი, 2016).*

308. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 პუნქტში დასახელებულ პირებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საზოგადოების მიმართ გააჩნიათ ფიდუციური მოვალეობები, ერთი მხრივ, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით არ გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

309. კანონმდებლობის თანახმად, აქციონერს (ამ უფლებით უმეტესად სწორედ უმცირესობაში მყოფი აქციონერები სარგებლობენ), აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ გააკონტროლონ დირექტორის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ „დერივაციული“ სარჩელი კორპორაციული მართვის ამოცანების განხორციელების მიზნებსაც ემსახურება. კორპორაციულსამართლებრივ კონტექსტში ხელმძღვანელი (დირექტორი) საწარმოს და არა მისი აქციონერების / პარტნიორების მინდობილი პირი - მისი

ფიდუციარია. აქციონერების /პარტნიორების ურთიერთობა კი განპირობებულია სწორედ „საწარმოს საუკეთესო ინტერესით“, ვინაიდან სწორედ აქციონერია /პარტნიორია საწარმოს წარმატების მთავარი მოსურნე და მისი მთავარი მოსარგებლე (ბენეფიციარი) *(იხ.,გ. ჯუღელი., დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა. ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“; აგრეთვე, Emanuel S., Emanuel L., Corporations, Aspen Publishers Online, New York, 2009, 46-78; Modern Company Law for a Competitive Economy Final Report (London: DTI, 2001), paras. 6.19-6.40, Shareholder Litigation: Common Law, 212-249).* დერივაციულ (არაპირდაპირ) სარჩელს უწოდებენ აქციონერის/პარტნიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. კორპორაციული მართვის პრინციპებით სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება წარმოადგენს ინვესტორთა რწმენის გაზრდის საფუძველს და აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად, რაც ზოგადად კორპორაციულ მართვაში მცირე აქციონერთა/მინორიტარ პარტნიორთა ჩართულობას უზრუნველყოფს და ეფექტური კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზეც აისახება *(იხ., ს. მაჭავარიანი ს. დისერტაცია: კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში”. თბილისი, 2015, 143, 144).*

310. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. დირექტორს გონივრულად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ფიდუციური მოვალეობის საფუძველი, კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია ***(იხ.დამატებით: ლ.ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 202-203, 256, 302, 384-386, 405-407; დ. მაისურაძე, სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ.ი.ბურდული, თბ., 2011, 113-117. ი.***

ბურდული, ნ.ზუბიტაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 37, ველი 5-6, თბ., 2017.).

311. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამეწარმეო განსჯის წესს“ ანუ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია. დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექნიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დერივაციული სარჩელის აღძვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case).

312. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების რაიმე ფორმით შეზღუდვა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა, ამასთან, მართალია, მოპასუხე აღნიშნავს, რომ დირექტორს საწარმოს დამფუძნებლის თანხმობის გარეშე არ შეეძლო თავდებობის ხელშეკრულების დადება მესამე პირის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა დადგენილია, რომ მოპასუხეს თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს. ამ პირობებში კი, თავდებობის ხელშეკრულება მიიჩნევა ნამდვილად, შესაბამისად, არ უნდა იქნეს გაზიარებული მოპასუხის მითითება დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვაზე, რაც მეორე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

313. სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

314. კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს–ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „რ–ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;
4. კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე - **ზ. ძლიერიშვილი**

მოსამართლეები: **ე. გასიტაშვილი**

ბ.ალავიძე